

წლიური ანგარიში

2017



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წლიური ანგარიში

2017

სარჩევი

კომისია	6
კომისიის შესახებ	7
ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში	8
კომისიის თავმჯდომარის არჩევა	9
კომისიის აპარატის რეორგანიზაციის პროცესი	9
კომისიის სტრუქტურა	10
კომისიის საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლები	11
ელექტრონული კომუნიკაციები	13
სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირება	14
მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფების LRIC მოდელით გაანგარიშება	14
ავტორიზებული პირების შემოსავლებისა და ხარჯების განცალკევებულად აღრიცხვისა და ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია	15
მობილურ და ფიქსირებულ ქსელში დატვირთულ კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი	15
ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი	15
ინტერნეტ მომსახურების ხარისხის კონტროლი	16
საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარების პროექტი	16
„დაძმობილების“ (Twinning) პროექტი „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხარდაჭერა ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწასა და ინსტიტუციონალურ გაძლიერებაში“	17
ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურების ტარიფები	17
პორტირება	18
სტატისტიკა	19
რადიოსიხშირული სპექტრი	20
რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა	21
FM სიხშირეთა თავისუფალი რესურსი	21
რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგი	21
ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელების ანალიზის პორტალი	22
აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირება	23
მაუწყებლობა	24
მედიაწიგნიერება	24
წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი	25
სახელმძღვანელო რეკომენდაციები - სოციალური რეკლამის განთავსება	26
რადიომაუწყებლობის პრიორიტეტები	27
სტატისტიკა	27

საერთაშორისო ურთიერთობები	29
GeolGF-Tbilisi	30
ლატვიასა და საქართველოს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი როუმინგული ტარიფები შემცირების თაობაზე	30
ურთიერთგაგების მემორანდუმი ხორვატიის ელექტრონული კომუნიკაციებისა და ფოსტის მარეგულირებელ ორგანოსთან	30
ურთიერთგაგების მემორანდუმი მაკედონიის (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა) ელექტრონული კომუნიკაციების ოფისთან	31
შეხვედრა პოლონეთის რესპუბლიკის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისსა და კომისიას შორის	31
აღმოსავლეთ პარტნიორობის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების ქსელი - EU4Digital - EaPeReg	31
ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებლების 4 პლატფორმის შეხვედრა/სამიტი სხვა საერთაშორისო აქტივობები	32
მომხმარებელთა უფლებების დაცვა	35
2017 წლის საჩივრების სტატისტიკა თემატიკის და რეაგირების სტატუსის მიხედვით	36
საჩივრების სტატისტიკა პროვაიდერი კომპანიების მიხედვით	37
საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის რეაგირების შედეგები	37
ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის დარგების ბანკითარების ტენდენციების მიმოხილვა	38
ზოგადი მიმოხილვა	39
შენატანები სახელმწიფო ბიუჯეტში	39
რეგულირებას დაქვემდებარებული მოქმედი პირები	40
მობილური კომუნიკაციები	41
მობილური ინტერნეტი	44
მობილური ინტერნეტის ფასების მიმოხილვა / ბენჩმარკინგი	46
პორტირება	48
ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება	50
ფიქსირებული ფართობლოვანი მომსახურება	53
ფიქსირებული ინტერნეტის ფასების მიმოხილვა / ბენჩმარკინგი	58
მაუწყებლობის ტრანზიტი	61
მაუწყებლობა	65

დანართები	66
------------------	-----------

კომისია

კომისიის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების დარგებს არეგულირებს. კომისია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოა, რომელიც არც-ერთ სახელმწიფო უწყებას არ ექვემდებარება. კომისიის რეგულირებაში შედის ტელე და რადიომაუწყებლობა, მაუწყებლობის ტრანზიტი, ფიქსირებული და მობილური სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურებები.

კომისიის საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

- კონკურენტული გარემოს შექმნა;
- უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით;
- მომხმარებელთა ინტერესების დაცვა;
- მომხმარებლებისთვის მომსახურების ფართო არჩევანისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- გამჭვირვალე მარეგულირებელი გარემოს ჩამოყალიბება;
- ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მონოპოლიური საქმიანობის დაუშვებლობა;
- სიხშირული სპექტრის ეფექტიანი განაწილება.

კომისიის საქმიანობის ძირითადი ფუნქციებია:

- ამონურვად რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემა/მოდერნიზაცია/მოქმედების ვადის გაგრძელება/გადაცემა-გადაპირებაზე თანხმობის გაცემა/შეჩერება/განახლება/გაუქმება;
- მაუწყებლობის ავტორიზაციის გაცემა/მოდერნიზაცია/შეჩერება/განახლება/გაუქმება;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის გაცემა/შეჩერება/განახლება/გაუქმება;
- რადიოსიხშირული სპექტრის მართვა;
- ნუმერაციის რესურსით და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ნებართვების გაცემა;
- მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებების შემუშავება, მათ განხორციელებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
- საავტორო და მომიჯნავე უფლებების, მათზე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის, აგრეთვე რეკლამის შესახებ საკანონმდებლო აქტების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
- კომისიის რეგულირებას დაქვემდებარებულ პირებს, ასევე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი დავების გადაწყვეტა;
- სატელეკომუნიკაციო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტის კვლევა და ანალიზი, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების განსაზღვრა და მათთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება;
- სატელეკომუნიკაციო ქსელებთან და ინფრასტრუქტურასთან დაშვების რეგულირება;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სტანდარტიზაციის, სერტიფიცირებისა და მეტროლოგიური მომსახურების სისტემის დანერგვის ხელშეწყობა;
- საქართველოს კანონმდებლებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება საკომუნიკაციო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვის კონტროლი და შესაბამისი რეაგირება;
- საზოგადოებაში მედიაინჟინერების განვითარების ხელშეწყობა;
- მედიაინჟინერების განვითარების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმის დამტკიცება და აღსრულება;
- საზოგადოებაში მედიაინჟინერების განვითარების დონის შეფასება, გამონწვევების იდენტიფიცირება;
- საჯარო ინსტიტუტებთან, მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროებში შესაბამისი ბაზრების მონაწილეებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთთანამშრომლობა მედია ინჟინერების განვითარების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმის შესასრულებლად;
- მედიაინჟინერების ამოცანების შესასრულებლად კომისია უფლებამოსილია კომისიის ბიუჯეტიდან გამოყოს შესაბამისი თანხები, მოიპოვოს გრანტები და დაფინანსების სხვა წყაროები, აგრეთვე კომისიის ბიუჯეტიდან დააფინანსოს მედიაინჟინერების ხელშეწყობის პროგრამები და პროექტები;
- კომისია უფლებამოსილია დააფუძნოს მედიაინჟინერების სასწავლო-კვლევითი ცენტრი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ხუთი წევრისგან შემდგარი კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოა. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობას შორის კანდიდატურების შეთანხმების კონტრასიგნაციისა და პრეზიდენტის მიერ წარდგენის შემდეგ, კომისიის წევრებს 6 წლის ვადით საქართველოს პარლამენტი ირჩევს. კომისიის თავმჯდომარე, რომელიც კომისიის აპარატს მართავს და წარმომადგენლობით ფუნქციებს ახორციელებს, 3 წლის ვადით თავად კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით აირჩევა. კომისიასთან მოქმედებს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება. კომისიის შემოსავლის მთავარ წყაროს მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ გადახდილი რეგულირების საფასური წარმოადგენს. რეგულირების საფასურის ოდენობა მაუწყებლებისთვის მათი შემოსავლის (დღგ-ს გარეშე) 0.5%-ს, ხოლო ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირებისთვის შემოსავლის (დღგ-ს გარეშე) 0.75%-ს შეადგენს.

ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში

2017 წელს საქართველოს კონსტიტუციას დაემატა ნორმა, რომელიც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიას ამყარებს. კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება განისაზღვრა.

კონსტიტუციის მე-17 მუხლი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა:

მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები

1. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.
3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.
4. ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.
5. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.
6. კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისაგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან.
7. მედია პლურალიზმის დაცვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზების, მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომხმარებელთა და მენარმეთა უფლებების დასაცავად შექმნილი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობა გარანტირებულია კანონით.

კომისიის თავმჯდომარის არჩევა

2017 წლის 2 მაისს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ თავმჯდომარედ კახი ბექაური ერთხმად აირჩია, რომელიც კომისიას 2020 წლის 24 იანვრამდე უხელმძღვანელებს. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს, სამი წლის ვადით, ირჩევს თავად კომისია, სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. კომისიონერის თავმჯდომარედ არჩევა მხოლოდ ერთი ვადითაა შესაძლებელი. კახი ბექაურის კანდიდატურა კომისიის თავმჯდომარის არჩევნებზე კომისიის დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კომისიის წევრებმა ერთობლივად წარადგინეს.

კახი ბექაურმა კომისიის თავმჯდომარის პოზიციაზე ვახტანგ აბაშიძე შეცვალა, რომელიც კომისიას 2014 წლის 19 მაისიდან ხელმძღვანელობდა. ვახტანგ აბაშიძე კომისიის წევრის რანგში უფლებამოსილებას 2020 წლის 16 აპრილამდე გააგრძელებს.

კომისიის აპარატის რეორგანიზაციის პროცესი

კომისიის ორგანიზაციული ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, 2015 წლიდან ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. 2015-2016 წლებში დაიგეგმა და განხორციელდა ორგანიზაციული ცვლილებების დიაგნოსტიკის, დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპები, რომლის საფუძველზეც დეტალურად იქნა შესწავლილი კომისიის წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები, შემუშავებული გეგმის შესაბამისად, განხორციელდა კონკრეტული აქტივობები (იხ. 2016 წლის რეორგანიზაციის ანგარიში). 2017 წლის განმავლობაში, კომისიის ეფექტიანობის გაზრდისთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შიდა სამუშაო პროცესებისა და ადამიანური რესურსების მართვის პრინციპების დანერგვას.

სამუშაო პროცესების იდენტიფიკაცი-ოპტიმიზაციის პროექტის ფარგლებში, 2017 წლის თებერვლიდან, კომისიამ USAID-ის პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა დაიწყო. ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტის (HICD) ფარგლებში, USAID-მა კომისიის 70 სამუშაო პროცესის აღწერა დააფინანსა. კომისიის თავმჯდომარისა და წევრების, კომისიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) კონსულტანტების მონაწილეობით, კომისიის 73 სამუშაო პროცესი გაიწერა. მიმდინარე წლისთვის წარმოდგენილი იქნება თითოეული პროცესის რუკა, ასევე სამუშაო სტანდარტული პროცედურების აღწერა და რეკომენდაცია ძირითადი 20 სამუშაო პროცესის ოპტიმიზაციისათვის.

#653/22 გადაწყვეტილებით კომისიის აპარატში კონკურსის ჩატარების წესი დამტკიცდა, რომელიც ახლად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომისიის

ფარგლებში კადრების შერჩევისთვის საჯარო და გამარტივებული საჯარო კონკურსების ჩატარებას, ასევე, საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების მუშაობის პროცესს განსაზღვრავს.

#754/22 გადაწყვეტილებით „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის“ შინაგანაწესი დამტკიცდა, რომელიც კომისიის შიდა მართვისა და საკადრო საკითხებს არეგულირებს, ასევე განსაზღვრავს როგორც შიდა საოპერაციო პროცედურებს, ასევე კომისიაში დასაქმებულთა ეთიკის კოდექსს.

#816/22 გადაწყვეტილებით „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, მისი აპარატის სახაზო (სამტატო) პოზიციებისა და კომისიის სხვა დამხმარე ხასიათის მუდმივი (არასამტატო) ფუნქციების განმახორციელებელი პოზიციების ნუსხა და კომისიის ახალი გრაფიკული სტრუქტურა“ დამტკიცდა. დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი პოზიციების ფარგლებში, იდენტიფიცირებულ იქნა მუდმივმოქმედი და მოკლევადიანი დახმარე ფუნქციები, კონკრეტული ვადიანი ამოცანის შესასრულებლად.

2017 წლის 1 ივლისიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, მოხდა საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება. 2017 წლის ივნისში, კომისიის წინადადებით, პარლამენტმა იმსჯელა და დაამტკიცა „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება, რომლის მიზანია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებების გავრცელება ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების აპარატის თანამშრომლებზე, იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც დამახასიათებელია ეროვნული




მარეგულირებელი ორგანოებისთვის და რაც უზრუნველყოფს აღნიშნული ორგანოების დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, მათ შორის, საკადრო უფლებამოსილებების განხორციელების ნაწილში.

აღნიშნული კანონის საფუძველზე, 2017 წელს კომისიამ 11 საჯარო და 3 გამარტივებული კონკურსი გამოაცხადა. აქედან ჩაშლილად 4 საჯარო კონკურსი გამოცხადდა. დანარჩენ პოზიციებზე კომისიამ 2017 წელს 10 ახალი თანამშრომელი დაიქირავა.

ორგანიზაციული ეფექტიანობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, კომისიას აუცილებლად მიაჩნია ადამიანური რესურსებისა და სამუშაო პროცესების აუდიტის მართვის გაძლიერება. ამ მიზნით, დაგეგმილია ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის, შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის, სამოტივაციო პოლიტიკის, პოზიციათა რანჟირების სისტემის და პროცესების ოპტიმიზაცია.

კომისიის სტრუქტურა

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში და კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში სულ 107 ადამიანი იყო დასაქმებული, 2017 წლის 31 დეკემბრისთვის კი კომისიასთან შრომითი ურთიერთობები ჰქონდა 108 ადამიანს. მათ შორის: 5 არის კომისიის წევრი, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი და მისი ოთხი თანამშემწე, ხოლო 8 არასამტატო თანამშრომელი დროებითი და არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად.



კომისიის საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლები

ჩატარებული სხდომები	143 სხდომა
მიღებული გადაწყვეტილებები	842 გადაწყვეტილება
მიღებული დადგენილებები	8 დადგენილება
შემოსული კორესპონდენცია	9705 კორესპონდენცია
საჯარო ინფორმაციის მოთხოვა	118 წერილი
პასუხგაცემული წერილები	116 წერილი
წერილები წარმოებაში	2 წარმოებაში
ავტორიზაცია	
• ავტორიზაცია მაუწყებლობის სფეროში	12 პირი (იხ. დანართი 1)
• მაუწყებლობის ავტორიზაციის მოდიფიცირება	10 პირი (იხ. დანართი 2)
• მაუწყებლობის ავტორიზაციის განახლება	1 პირი - შპს საინფორმაციო ცენტრი შპს „კოლხეთი 89“
• მაუწყებლობის ავტორიზაციის შეჩერება	10 პირი (იხ. დანართი 3)
• მაუწყებლობის ავტორიზაციის გაუქმება	6 პირი (იხ. დანართი 4)
• ავტორიზაცია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში	54 პირი (იხ. დანართი 5)
• ავტორიზაციის განახლება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში	1 პირი - შპს კომინეტ ავდ
• ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის შეჩერება	63 პირი (იხ. დანართი 6)
• ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის გაუქმება	44 პირი (იხ. დანართი 7)
ლიცენზირება	
• რადიომაუწყებლობის ლიცენზიის გაცემა/კონკურსი	10 ლიცენზია/10 კონკურსი (იხ. დანართი 8)
• რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოდიფიცირება	6 ლიცენზია (იხ. დანართი 9)
• რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება	6 ლიცენზია (იხ. დანართი 10)
• რადიომაუწყებლობის ლიცენზიის გადაცემაზე თანხმობის გაცემა	0
• რადიომაუწყებლობის ლიცენზიის გაუქმება	გაუქმება - 8 ლიცენზია ნაწილობრივ გაუქმება - 1 ლიცენზია (იხ. დანართი 11)
• რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა	4 ლიცენზია (იხ. დანართი 12)
• რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მოდიფიცირება	4 ლიცენზია (იხ. დანართი 13)
• რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება	2 ლიცენზია (იხ. დანართი 14)
• რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გადაპირება	3 ლიცენზია (იხ. დანართი 15)
• რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაუქმება	5 ლიცენზია (იხ. დანართი 16)
კერძო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსის ჩაშლა	4 კონკურსი (იხ. დანართი 17)
სანებართვო საქმიანობა	
• ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვის გაცემა	79 ნებართვა (იხ. დანართი 18)
• არავტორიზებადი საქმიანობისთვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ნებართვის გაცემა	243 ნებართვა (იხ. დანართი 19)
მინიჭებები	
• რადიოსიხშირების მინიჭება	2 მინიჭება (იხ. დანართი 20)
• ნუმერაციის რესურსი - დამისამართების პრეფიქსის მინიჭება	5 მინიჭება
• ეროვნული სასიგნალო წერტილის კოდების მინიჭება	3 მინიჭება
წილის/საოპერაციო აქტივის შეძენაზე, კომპანიების შერწყმაზე თანხმობის გაცემა	
• წილის შეძენაზე თანხმობა	12 თანხმობა (იხ. დანართი 21)
• საოპერაციო აქტივის შეძენაზე თანხმობა	4 თანხმობა (იხ. დანართი 22)
• წილის შეძენასა და კომპანიების შერწყმაზე თანხმობა	8 თანხმობა (იხ. დანართი 23)
ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა	(იხ. დანართი 24)
• მოთხოვნის დაკმაყოფილება	13 მოთხოვნა
• მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება	4 თანხმობა

განხილული დავები	23 დავა (იხ. დანართი 25)
ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება	84 სანქცია (იხ. დანართი 26)
მაუწყებლის მიმართ	33 სანქცია
• გაფრთხილება	31
• ფულადი ჯარიმა	2
ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირის მიმართ	51 სანქცია
• გაფრთხილება	41
• ფულადი ჯარიმა	10
დანყვებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა	22 (იხ. დანართი 27)
ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე (დავების განხილვის მიზნით/ დადგენილების მიღების მიზნით დანყვებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოებები)	8 (იხ. დანართი 28)
სასამართლო დავები	65 დავა (იხ. დანართი 29)
მაუწყებლებთან	9 დავა
• დასრულდა კომისიის სასარგებლოდ	5 დავა
• მიმდინარე	4 დავა
ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირებთან	54 დავა
• დასრულდა კომისიის სასარგებლოდ	16 დავა
• მიმდინარე	38 დავა
სხვა პირებთან	2 დავა

ელექტრონული კომუნიკაციები



სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირება

მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფების LRIC მოდელით გაანგარიშება

კომისიის გადაწყვეტილებით მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფები ოთხჯერ შემცირდა. მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ზარის დასრულების ტარიფის გაანგარიშება ევროკომისიის 2009 წლის 7 მარტის N2009/396/EC რეკომენდაციის მიხედვით განხორციელდა. LRIC მოდელით გაანგარიშებული ურთიერთჩართვის ტარიფები აქტივების მიმდინარე ღირებულებას ეყრდნობა, შეიცავს მხოლოდ ურთიერთჩართვის მომსახურებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და არ შეიცავს ოპერატორის იმ დანახარჯებს, რომლებიც ქსელის არაეფექტური ექსპლუატაციის რაოდენობრივი შედეგია.

საქართველოში არსებული ტექნოლოგიის და ქსელის ტოპოლოგიის საფუძველზე, მობილური და ფიქსირებული ქსელის ოპერატორისთვის LRIC მოდელის მიხედვით ზარის ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულება) ტარიფების გაანგარიშების მიზნებისათვის, კომისიამ ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში გამარჯვებულმა საკონსულტაციო კომპანიამ „Ernst & Young“ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მობილურ და ფიქსირებულ ქსელებში სატელეფონო ზარის წამოწყების და დასრულების მომსახურების ტარიფების გაანგარიშების LRIC მოდელის შედეგების წარმოდგენა უზრუნველყო.

მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის არსებული ტარიფი 3.5 თეთრი (გადასახადების ჩათვლით) შემდეგი გრაფიკის მიხედვით შემცირდება.

ურთიერთჩართვის მომსახურება	2018 წლის 1 ივლისიდან	2019 წლის 1 იანვრიდან
ზარის წამოწყება, თეთრი (გადასახადების გარეშე)	2.16	1.44
ზარის დასრულება, თეთრი (გადასახადების გარეშე)	1.81	0.75

ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის არსებული ტარიფი 2 თეთრი (გადასახადების ჩათვლით) შემდეგი გრაფიკის მიხედვით შემცირდება.

ურთიერთჩართვის მომსახურება	2018 წლის 1 ივლისიდან	2019 წლის 1 იანვრიდან
ზარის წამოწყება ადგილობრივ დონეზე, თეთრი (გადასახადების გარეშე)	1.04	0.38
ზარის წამოწყება ტრანზიტულ დონეზე, თეთრი (გადასახადების გარეშე)	1.05	0.41
ზარის დასრულება ადგილობრივ დონეზე, თეთრი (გადასახადების გარეშე)	0.99	0.28
ზარის დასრულება ტრანზიტულ დონეზე, თეთრი (გადასახადების გარეშე)	1.01	0.32

ავტორიზებული პირების შემოსავლებისა და ხარჯების განცალკევებულად აღრიცხვისა და ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია

2017 წელს კომისიამ „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები“ (შემდგომში „დადგენილება“) დაამტკიცა. ახალი დადგენილებით დაიხვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი გახდა ავტორიზებული პირების მიერ შემოსავლების, დანახარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების განცალკევებულად აღრიცხვის სპეციფიკური მარეგულირებელი პრინციპები და განისაზღვრა ანგარიშგების მომზადების წესი. ახალი მეთოდოლოგიური წესები მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირისთვის დაკისრებული სატარიფო რეგულირების, დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის, მოსამზადებელი მომსახურების დანახარჯთა კალკულაციის პრინციპების, კრიტერიუმებისა და წესების უფრო დეტალურად ჩამოყალიბებას და მისი მომზადების პროცესებისა და პროცედურებისთვის ახსნა-განმარტებების უზრუნველყოფას. დადგენილებაზე მუშაობის პროცესში კომისიასთან ერთად ჩართული იყო ტენდერში გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია „Ernst & Young“.

მობილურ და ფიქსირებულ ვსელში დატვირთულ კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი

კომისიამ 2017 წელს მობილური და ფიქსირებული ქსელებისთვის კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულების (WACC-ის) განაკვეთები დაადგინა. მობილური ქსელისთვის დაბეგვრამდე კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულება (WACC) 13.72 პროცენტის ოდენობით, ხოლო ფიქსირებული ქსელისთვის დაბეგვრამდე კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულება - 13.69 პროცენტის ოდენობით დამტკიცდა.

კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულება საკუთარი კაპიტალისა და ნასესხები კაპიტალის (ვალდებულებების) შენონილი ღირებულების საფუძველზე იანგარიშება.

ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ „Ernst & Young“, მობილური და ფიქსირებული ქსელებისთვის კაპიტალის საშუალო შენონილი ღირებულების გაანგარიშების მეთოდოლოგიისა და გაანგარიშების შედეგების კომისიაში წარმოდგენა უზრუნველყო. WACC-ის გაანგარიშების პრინციპები ევროპის სატელეკომუნიკაციო სექტორის მარეგულირებელი ორგანოების მიერ დადგენილ საუკეთესო პრაქტიკასთან სრულ შესაბამისობაშია.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი

ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებისა და მათი ურთიერთქმედების სრულყოფა სატელეკომუნიკაციო სექტორში, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა დარგებში, დღის წესრიგში აყენებს ელექტრონული ბიზნესის განვითარების აუცილებლობას. თუმცა, ტექნოლოგიურ განვითარებას თან ახლავს გარკვეული რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებელთა უფლებებისა და საჯარო ინტერესების დაცვასთან. აღნიშნული ტენდენციებისა და რისკების გათვალისწინებით, კომისიამ შეიმუშავა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებელსა და მომხმარებელს შორის გარიგების დისტანციურად გაფორმების მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც ემსახურება ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებლის მიერ იდენტიფიცირებული, რეალურად არსებული და მომსახურების მიღების მსურველი აბონენტებისთვის მომსახურების მიწოდებას და, ამასთანავე, მიზნად ისახავს მომხმარებლის მიერ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიღების გამარტივებას.

ინტერნეტ მომსახურების ხარისხის კონტროლი

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის¹ შესაბამისად, კომისიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებელი ავტორიზებული პირების მიერ ბოლო მომხმარებლებისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა. ამასთან, ამავე კანონის 62-ე მუხლის შესაბამისად, კომისია ადგენს მომსახურების განვითარების ხარისხს და ზედამხედველობს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებლების მიერ ამ ხარისხის დაცვას.

2017 წლის განმავლობაში კომისიამ შეისწავლა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პრაქტიკა და რეგულაციები, რომლის მიხედვითაც კოლეგა მარეგულირებელი ორგანოები ინტერნეტ მომსახურების ხარისხის მონიტორინგსა და მომხმარებლებისთვის მიწოდებული მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობას აფასებენ.

2017 წლის ნოემბერში კომისიამ განხილვისთვის გამოაქვეყნა ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხარისხის და მისი შემოწმების წესების შესახებ დადგენილების პირველადი პროექტი. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე, ყველა დაინტერესებულ პირს მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა და მოსაზრებები წარმოედგინა აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით. კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი ეფუძნება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2015 წლის რეგულაციასა (EU 2015/2120) და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ევროპული მარეგულირებელი კომისიების გაერთიანება - BEREC-ის მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო დოკუმენტს.

საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარების პროექტი

2016 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და კომისიის ერთობლივი პროექტის - „საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის განვითარება“ განხორციელება დაიწყო. პროექტის მთლიანი ღირებულება 630 000 ევროს შეადგენს, საიდანაც 90 პროცენტს სლოვაკეთის მთავრობა, ხოლო 10 პროცენტს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აფინანსებს.

აღნიშნული პროექტი, რომელსაც „Grant Thornton Advisory“, „Analysys Mason“ და „Pierstone“-სგან შემდგარი კონსორციუმი ახორციელებს, სამ მიმართულებას მოიცავს. კერძოდ:

- საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია;
- ე.წ. მომავალი თაობის ქსელებთან დაშვების (NGA) რეგულირება;
- სექტორის სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებების განვითარება;
- ბაზრების ანალიზი;
- მონოპოლიის წარმოქმნის პირობებში მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ჩარჩოს შემუშავება;
- რადიოსიხშირული სპექტრის მართვა-განაწილების პრაქტიკის შესწავლა, რეკომენდაციების/პროცედურების შემუშავება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების ძირითადი ნაწილი 2017 წელს განხორციელდა. კერძოდ: დასრულდა ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებით განსაზღვრულ დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გამოწვეული საკანონმდებლო ცვლილებების ძირითადი პაკეტის მომზადება; ასევე, მომზადდა ბაზრების ანალიზისა და შერწყმა/გაერთიანებების რეგულირების მეთოდოლოგია და რადიოსიხშირული სპექტრის მართვა-განაწილების ახალი მიდგომებით გამოწვეული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის სამუშაო ვერსია.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის განმავლობაში პროექტის უცხოელმა ექსპერტებმა გამართეს არაერთი შეხვედრა სატელეკომუნიკაციო ბაზრის ოპერატორებთან, სადაც განხილულ იქნა სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის არსებული ვითარება და შემდგომი თაობის ქსელების განვითარების პერსპექტივები. აღნიშნულის შედეგად, კონსულტანტების მიერ მომზადდა შემდგომი თაობის ქსელებთან დაშვების (NGA) სარეკომენდაციო დოკუმენტი.

¹ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი

„დაძმობილების“ (Twinning) პროექტი „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხარდაჭერა ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწასა და ინსტიტუციონალურ გაძლიერებაში“

2017 წლის 12 დეკემბერს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დაძმობილების პროექტი - „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხარდაჭერა ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწასა და ინსტიტუციონალურ გაძლიერებაში“ - ოფიციალურად გაიხსნა, რომელიც 18 თვის განმავლობაში გაგრძელდება. პროექტის ძირითადი პარტნიორია ლიტვის რესპუბლიკის კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანო, ხოლო თანაპარტნიორები - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკისა და ენერჯეტიკის სამინისტრო და პოლონეთის რესპუბლიკის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისი.

პროექტი ექვსი კომპონენტისგან შედგება და თითოეულ მათგანში სამივე პარტნიორი ქვეყნის ექსპერტები და კომისიის აპარატის თანამშრომლები მონაწილეობენ. პროექტის მიმართულებებია:

- საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის სიღრმისეული შესწავლა და მისი ევროკავშირის მარეგულირებელ ნორმატიულ ბაზასთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ფიქსირებული და უსადენო ფართობოლოვანი მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისი რეგულაციების შემუშავება;
- ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრების განსაზღვრა;
- რადიოსიხშირული სპექტრის მინიჭების მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ინტერნეტ მმართველობასა და ქსელის უსაფრთხოების საკითხებში კომისიის როლის გაძლიერება;
- საერთაშორისო როუმინგის რეგულირება.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც ექსპერტული მისიები, ასევე სამუშაო შეხვედრები კომისიის აპარატის თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებისთვის. ახალი ევრორეგულაციების დასანერგად, ჩატარდება ფიქსირებული და მობილური ფართობოლოვანი მომსახურებების ანალიზი და შემუშავდება სამოქმედო გეგმა მათი განვითარებისთვის აუცილებელი მარეგულირებელი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად. ევროპული რეკომენდაციების შესაბამისად, ხელახლა განისაზღვრება წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრები. ასევე, შემუშავდება სამოქმედო გეგმა ინტერნეტ-მმართველობისა და ქსელის უსაფრთხოების რეგულირების საკითხებში, მარეგულირებლის კომპეტენციისა და იურისდიქციის გათვალისწინებით, როუმინგის ცალმხრივი და მრავალმხრივი რეგულირების მეთოდოლოგია. პროექტში ჩართული დაინტერესებული პირები სიხშირეთა აუქციონების ჩატარების თანამედროვე მოდელებს გაეცნობიან და მათთვის სასწავლო სიმულაციები ჩატარდება.

ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურების ტარიფები

2017 წლის განმავლობაში ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურების მიმწოდებელ ავტორიზებულ პირებთან კომისიის მიერ წარმოებული სამუშაო პროცესის შედეგად, ინტერნეტის საბითუმო მომსახურების ტარიფები² ფაქტიურად განახევრდა. ცხრილში წარმოდგენილია ამ მომსახურების ყველაზე დიდი პროვაიდერების შპს „კავკასუს ონლაინისა“ და სს „სილქნეტის“ შეთავაზებები.

² კომისიის 2015 წლის 29 იანვრის N 57/9 გადაწყვეტილებით ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურებაზე დადგინდა ზედ ბღვრული ტარიფი 32 ლარის ოდენობით, გადასახადების გარეშე.

სიმძლავრე მბ/წმ-ში	2017 წლის პირველ ივნისამდე (ლარი)	2017 წლის პირველი ივნისიდან (ლარი)	2018 წლიდან (კავკას. ონლ.) (ლარი)	2018 წლიდან (სილქნეტი) (ლარი)
1-50	32	28	19	18
51-100	32	27	18	17
101-200	31	26	17	16
201-500	30	25	16	15
501-2000	29	23	15	14
2001-10 000	29	22	14.5	14



კომისია, საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, აგრძელებს მუშაობას ინტერნეტის ქსელით მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კომპლექსური კვლევისა და ანალიზის მიმართულებით, რაც ინტერნეტის საცალო მომსახურებასთან მჭიდროდ დაკავშირებული საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების რეგულირებას ითვალისწინებს.

მათ შორის:

- მაგისტრალურ/ძირითად და ტრანზიტული გადაცემის ქსელთან დაშვებას;
- „DWDM“, „Ethernet“ მონაცემთა გადაცემის ტექნოლოგიებთან დაშვებას;
- ოპტიკურ-ბოჭკოვან წყვილებთან დაშვებას.

2017 წლის დეკემბერში კომისიამ გამოაცხადა ტენდერი NGA და NGN ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ზემოაღნიშნული საბითუმო მომსახურებების (მათ შორის: ოპტიკური კაბელის იჯარა, „Ethernet“ და „DWDM“ ტექნოლოგიების საშუალებით მონაცემთა გადაცემა) ტარიფების „LRIC“ მოდელით გაანგარიშების საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე. ტენდერში გამარჯვებული კომპანიის „PW-C“-ის სლოვაკეთის ოფისის დახმარებით და დაინტერესებულ პირებთან შესაბამისი კონსულტაციების წარმოების შესაბამისად, მოხდა მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების „LRIC“ მოდელის შემუშავება, რომლის საშუალებითაც, აღნიშნულ საბითუმო მომსახურებებზე ტარიფების გაანგარიშება ოპერატორის მიერ ეფექტურად განეული დანახარჯების საფუძველზე მოხდა.

პორტირება


„სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წელს მიღებულ N3 დადგენილებაში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, სააბონენტო ნომრის პორტირების სრული პროცესის დასრულების ვადად, სამი დღის ნაცვლად, 24 საათი განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2011 წლიდან 2017 წლის ჩათვლით ავტორიზებული პირების მიერ პორტირების მომსახურების უზრუნველყოფისთვის გადახდილი ჯამური წლიური თანხები (დღგ-ს გარეშე).

2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
6,336,877 ლ	6,689,811 ლ	5,908,434 ლ	4,516,576 ლ	1,277,753 ლ	1,317,923 ლ	659,947 ლ


სტატისტიკა

სამართალდარღვევის სახეები ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში
(სულ 60 სამართალდარღვევა)



- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის გარეშე საქმიანობისთვის;
- სამუწყებლო არხების არამართლზომიერი ტრანსლირება;
- კომისიის სტატისტიკური ანგარიშების ფორმის წარმოუდგენლობა;
- რეგულირების საფასურის გადაუხდელობა;
- რეგულირების საფასურის გაანგარიშებების კომისიაში წარმოუდგენლობა;
- კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე წილის გასხვისება;
- მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდება მომხმარებელთან წერილობითი სააბონენტო ხელშეკრულების დადების გარეშე;
- ოფერტის გამოუქვეყნებლობა;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის დაცულობის, ასევე საერთაშორისო კავშირის განხორციელების დროს გამოძახებული აბონენტის საერთაშორისო ნომრის გამჭირვალედ გადაცემის ვალდებულების დარღვევა.

სასამართლო დავები ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ კირებთან
(სულ 54 დავა)



- დასრულდა კომისიის სასარგებლოდ
- მიმდინარე

რადიოსიხშირული სპექტრი



რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა

კომისიამ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის ახალი ფორმა“ შეიმუშავა, რომლის პროექტიც კომისიის ვებგვერდზე 2016 წლის სექტემბერში განთავსდა. „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა პირველად 2006 წელს გამოქვეყნდა. დროთა განმავლობაში ახალი რადიო სისტემების, რადიოსიხშირეთა სპექტრის გამოყენებასთან დაკავშირებული საერთაშორისო დონეზე მიღწეული შეთანხმებების, ან ეროვნულ დონეზე ქვეყნის სპეციფიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, გეგმა მოდიფიცირდა და მასში ცვლილებები და დამატებები შევიდა. გეგმის ახალმა ვარიანტმა, რომელშიც ITU-ს მიერ

ორგანიზებული მსოფლიო რადიოსაკომუნიკაციო კონფერენციის WRC-15 შედეგები აისახა, მრავალმხრივი ექსპერტიზა გაიარა, მის მიმართ არ გამოთქმულა შენიშვნები და დაიმსახურა უცხოელი ექსპერტების მონაწილეობა. შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ 2017 წლის 9 თებერვალს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა.

FM სიხშირეთა თავისუფალი რესურსი

კომისია 2 წელიწადში ერთხელ ანაწილებს და აქვეყნებს 87.5-108 მჰც სიხშირულ დიაპაზონში თავისუფალ სიხშირულ რესურსს. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ, საქართველოში გამოთავისუფლდა ანალოგური სატელევიზიო მაუწყებლობის მე-4 და მე-5 არხებით დაკავებული მეტრული დიაპაზონის სიხშირული ზოლების ნაწილი, რამაც კომისიას FM მაუწყებლობის განხორციელებისთვის გათვალისწინებულ რადიოსიხშირულ ზოლში (87.5მჰც - 108მჰც) გამოთავისუფლებული სიხშირული რესურსის გამოყენების შესაძლებლობა მისცა. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2016 წლის 8 სექტემბერს

N614/19 გადაწყვეტილებით, კომისიამ დაამტკიცა და გამოაქვეყნა 87.5 მჰც - 108 მჰც სიხშირულ დიაპაზონში რადიომაუწყებლობის თავისუფალი სიხშირული რესურსი. გადაწყვეტილების მიღებამდე მიმდინარეობდა თავისუფალი სიხშირული რესურსის საერთაშორისო კოორდინაციისა და მემობელ სახელმწიფოებთან შეთანხმების პროცესი. პროცესი გრძელდება და მისი დასრულების შემდეგ, კომისია განახლებულ თავისუფალ სიხშირულ რესურსს გამოაქვეყნებს. (2018 წლის პირველი იანვრისთვის სიხშირეთა თავისუფალი რესურსი იხ. დანართი 30)

რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგი

2017 წლის განმავლობაში შეიქმნა და დაინერგა:

- უსადენო დაშვების ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელების ხარისხობრივი ასპექტების შეფასების მეთოდოლოგია, ასევე (GSM, UMTS, LTE) ქსელების მონიტორინგის პრინციპები;
- ციფრული მინისზედა სატელევიზიო ქსელებისა და რადიოსამაუწყებლო FM სადგურების ტექნიკური პარამეტრების ლიცენზიების პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მეთოდიკა;
- ინტერნეტ მომსახურებაზე ავტორიზებული პირების მიერ წარმოსადგენი ფორმა 10.4., Wi-Fi ტექნოლოგიის წვდომის წერტილების განლაგების შესახებ ინფორმაციის მონაწილეობა-განახლების მიზნით;
- თანამგზავრული კავშირის დედამიწის სადგურის ტექნიკური მონაცემების შესახებ - ფორმა N 10.6.



აიგო წავკისის რადიომონიტორინგის ანდა. ამასთანავე, ამერიკული კომპანია TCI International, Inc.-ის დახმარებით, აპარატურით აღიჭურვა და ექსპლუატაციაში გაეშვა შავნაბადის სტაციონალური სადგური. ურთის მთის რადიომონიტორინგის სადგური დაკომპლექტდა ახალი პროგრამული უზრუნველყოფით და სადგურზე მომუშავე პერსონალს შესაბამისი ტრენინგები ჩაუტარდა. შედეგად, შესაძლებელი გახდა ურთის რადიომონიტორინგის სადგურზე ინსტალირებული "Rohde & Schwarz"-ის მიმღები რადიომონიტორინგით სიხშირული სპექტრის მონიტორინგის შედეგების ასახვა

Scorpio-ს (ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა) ერთიან მონაცემთა ბაზაში. ხოლო, რადიომონიტორინგის სისტემის თბილისის სტაციონალური სადგურების (ლოტკინი, შავნაბადა, წავკისი) სრულყოფილად ამოქმედებით, შესაძლებელი გახდა 20მპც-დან 3გპც-მდე დიაპაზონში ე. თბილისსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედი გადამცემი რადიოელექტრონული მონაცემების ადგილმდებარეობის დაფიქსირება და გასხივებული სიგნალის პარამეტრების განსაზღვრა შესაბამისი ანალიზის ჩატარების მიზნით.

ფიჭური კავშირგაბმულობის ესელების ანალიზის პორტალი

2017 წელს კომისიამ ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელების ანალიზის პორტალი MCA.gncc.ge შექმნა, სადაც მინიმალური, საშუალო და მაქსიმალური სიჩქარეების მნიშვნელობები და სხვადასხვა ტექნოლოგიების მიხედვით სიგნალის დონე აისახება. პორტალი FTP და HTTP პროტოკოლისთვის მონაცემთა გადაცემის სიჩქარეების დათვლის საშუალებას იძლევა.

2017 წლის 31 მაისს, პორტუგალიაში, ქალაქ კაშკაიში, ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ სამიტზე, საქართველოს დელეგაციის პრეზენტაციის ფარგლებში, პირველად მოხდა MCA პროგრამული უზრუნველყოფის დემონსტრაცია ევროპული მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლების წინაშე. სპექტრის ექსპერტთა ჯგუფის (SEWG) შეხვედრის ფარგლებში, კომისიის მხრიდან MCA პროგრამული

უზრუნველყოფის დემონსტრირებისას, ექსპერტებმა MCA დანერგვის მიზანშეწონილობა აღიარეს და მომდევნო 3 წლის სამუშაო გეგმის ერთ-ერთ პუნქტად (EaPeReg-ის პლენარულ სხდომაზე წარსადგენად) განერეს. SEWG-ის ჯგუფის მუშაობის თანათავმჯდომარედ კვლავ საქართველოს კომუნიკაციების კომისიის წარმომადგენელი რჩება.

MCA პორტალის დანერგვის შესაძლებლობა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მაგალითზე შეთავაზებული იყო ასევე ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU) აკადემიის მიერ (ITU-A) ორგანიზებულ სასწავლო კურსის მსვლელობისას, სადაც „უსადენო დაშვების ტექნოლოგიები ინტერნეტ ქსელებში: რეგულატორის ინსტრუმენტების“ საკითხი განიხილებოდა.

აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირება



10101111001010110101011011001001000010101001010010101110010
1001011010010001011101101100100110110011001100101101101
10010101001010100101010001011100110010100100100010100101000
11001101010011101010100101001000101010100100100100101100110
00100101101010010010100010010010010010110100101001001000001
10010010100111000101001101001001010000100100101110110111101
10101111001001100111010010010010010000111000101001001010000
01001001000001001001101010101001010000110010010100001110100
10100101001011001010010010110111010011001001001001010101010

მედიის რეგულირება

მედიის რეგულირება

2017 წელს კომისიამ პარლამენტს მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების წინადადება წარუდგინა, რომელიც ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს „აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ დირექტივით“ (2010/13/EC) არის გათვალისწინებული.

გამომდინარე იქიდან, რომ ევროპული მარეგულირებლების დიდი ნაწილისთვის მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა კანონისმიერი ვალდებულებაა, კომისიამ სიღრმისეულად შეისწავლა ევროპის მარეგულირებლების როგორც ნორმატიული ვალდებულები, ასევე, მათ მიერ განხორციელებული აქტივობები და მრავალმხრივი თანამშრომლობის პრაქტიკა, რასაც შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივა ეფუძნება.

კანონის ძირითადი მიზანია საზოგადოების აღჭურვა „ცოდნის იარაღით“, რომელიც დაეხმარება მას თანამედროვე ტექნოლოგიებისა და გადატვირთული საინფორმაციო ველის პირობებში შეძლოს ინფორმაციის გადამუშავება, კრიტიკული ანალიზი, შეფასება და ინფორმირებული არჩევანის გაკეთება. ასევე, პროპაგანდისა და მავნე ზეგავლენისაგან, თუ სხვა საფრთხეებისგან თავის დაცვა.

აღნიშნული გამოწვევებისა და მიზნების განხორციელების მიზნით, წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებები კომისიისთვის მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მხრივ დამატებითი ფუნქციებისა და ვალდებულებების გაჩენას ითვალისწინებს, რომლის შესაბამისადაც, კომისიამ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ფასილიტატორის როლი უნდა იკისროს და ის ქმედებები და აქტივობები განახორციელოს, რომლებიც გათვალისწინებულია „აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ დირექტივით“ (2010/13/EC) და ევროკომისიის 2009 წლის რეკომენდაციით „მედიის რეგულირება ციფრულ გარემოში უფრო კონკურენტული აუდიოვიზუალური და კონტენტის ინდუსტრიისთვის და ინკლუზიური ცოდნის მქონე საზოგადოებისთვის“. კერძოდ:

- მედიის რეგულირების დონისა და მისი პროგრესის სისტემატიური კვლევა;
- ისეთი მარეგულირებელი ინიციატივების შემუშავება და დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს თვითრეგულირების მექანიზმების განვითარებას და დახვეწას;
- ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და ტრენინგების განხორციელება და ამ მხრივ მომხმარებლების, განსაკუთრებით კი მოზარდებისა და ახალგაზრდების, მშობლებისა და მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება.

საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა ევროპული პრაქტიკა და აღნიშნული ცვლილება 2017 წლის დეკემბერში დაამტკიცა. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, 2018 წლიდან საქართველოს კომუნიკაციების კომისიის ფუნქციებში შედის:

- საზოგადოებაში მედიის რეგულირების განვითარების ხელშეწყობა;
- მედიის რეგულირების განვითარების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმის დამტკიცება და აღსრულება;
- საზოგადოებაში მედიის რეგულირების განვითარების დონის შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება;
- საჯარო ინსტიტუტებთან, მედიის რეგულირების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმის შესასრულებლად;
- მედიის რეგულირების ამოცანების შესასრულებლად კომისია უფლებამოსილია კომისიის ბიუჯეტიდან გამოყოს შესაბამისი თანხები, მოიპოვოს გრანტები და დაფინანსების სხვა წყაროები, აგრეთვე კომისიის ბიუჯეტიდან დააფინანსოს მედია წიგნიერების ხელშეწყობის პროგრამები და პროექტები;
- კომისია უფლებამოსილია დააფუძნოს მედიის რეგულირების სასწავლო-კვლევითი ცენტრი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს „წინასაარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ შესახებ დადგენილების თანახმად, კომისია უფლებამოსილია შეისყიდოს მედია მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო მომსახურება, ან უშუალოდ განახორციელოს მედია მონიტორინგი ან/და გამოიყენოს მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და სამოქალაქო სექტორის სუბიექტების მიერ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას ჩატარებული და ამ წესების რეგულაციური, საჯაროდ ხელმისაწვდომი მედია მონიტორინგის შედეგები.

წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგის მხარდაჭერის ფარგლებში, 2017 წლის 3 და 4 ივლისს, ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი - „მედიის თავისუფლების, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის გაძლიერება“ განხორციელდა. შემუშავდა წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგის სახელმძღვანელო წესები და რეკომენდაციები. უცხოელი ექსპერტების ჩართულობით ჩატარდა ტრენინგები როგორც მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის, ისე ყველა იმ სამაუწყებლო კომპანიის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ჩართულნი იყვნენ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებაში.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედია მონიტორინგი, კომისიამ დასაქმებულ პირებთან ერთად, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა განახორციელეს.

სამაუწყებლო კომპანიების მონიტორინგი 2017 წლის 23 აგვისტოს დაიწყო და 12 ნოემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავდა (არჩევნების მეორე ტურის ჩათვლით). მონიტორინგს დაექვემდებარა ყველა საერთო მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია. საანგარიშო პერიოდში მონიტორინგი ჩაუტარდა 41 სამაუწყებლო არხს, საერთო ლიცენზიის მქონე რადიომაუწყებლებს და 34 ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ გაზეთს³.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საბანს წარმოადგენდა:

- წინასაარჩევნო რეკლამა;
- წინასაარჩევნო დებატები;
- ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;
- წინასაარჩევნო აგიტაცია;
- საზოგადოებრივი აზრის კვლევები/გამოკითხვები.

მედიამონიტორინგის პროცესში გამოვლენილი დარღვევებისას, კომისია კონკრეტული საკითხის შესწავლის საფუძველზე, კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ატარებდა. მაუწყებლების მიერ საარჩევნო პერიოდში ვალდებულებების შეუსრულებლობის და დარღვევების გამო, კომისიამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 13 ოქმი შეადგინა. მათ შორის: 4 მაუწყებლის, 7 საინფორმაციო სააგენტოს და ერთი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული გაზეთის მიმართ. მაუწყებლების მიმართ გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული სანქციები, როგორც რეკლამის განთავსების წესების დარღვევის, ასევე საზოგადოებრივი პოლიტიკური გადაცემების არ ქონის გამო.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედია მონიტორინგის ფარგლებში კომისიამ სამი ანგარიში გამოაქვეყნა (<http://gncc.ge/ge/regulation/broadcasting/elections/adgilo-brivi-tvitmartvelobis-archevnebi-2017>).

³ საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების ზოგადი რეგულაციები მაუწყებლების გარდა ვრცელდება ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ გაზეთებზე, შესაბამისად წინასაარჩევნო პერიოდში კომისია აღნიშნული გაზეთების მონიტორინგსაც ახორციელებს.



2016 წელს პარლამენტის არჩევნების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგისას, გამოიკვეთა ხარვეზები, რომელთა გადანაცვლა კომისიის აზრით, შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებდა. გამოკვეთილი ხარვეზები დაკავშირებული იყო წინასაარჩევნო (პოლიტიკური) უფასო/ფასიანი რეკლამის შინაარსის, საზოგადოებრივი აზრის კვლევის და მისი გამოქვეყნების ვალდებულებების, სოციალური რეკლამის, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და, ასევე, პროგრამული შეზღუდვების საკითხებთან. კომისიამ მოამზადა და საქართველოს პარლამენტს წარუდგინა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტები, რომელთა საშუალებითაც ბუსტდება და უფრო მკაფიოდ განისაზღვრება მედიის ვალდებულებები წინასაარჩევნო პერიოდისთვის, მათ შორის არჩევნების მეორე ტურისთვისაც.

მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რიგი მნიშვნელოვანი საკითხების მომწესრიგებელ ნორმებს, კერძოდ:

კანონმდებლობაში არ არის მკაფიო მითითება იმის შესახებ, რომ პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას; მაუწყებელსა და პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის წარმდგენს შორის პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის კანონიერების თაობაზე დავის შემთხვევაში, რომელი ორგანოსთვის მიემართათ კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, რაც გაუგებრობას იწვევდა მაუწყებლებში, იწვევდა ნორმების არაერთგვაროვან განმარტებას და ადგილი ჰქონდა მათ მიერ კანონისმიერი ვალდებულებების შეუსრულებლობას.

კანონპროექტით იცვლება არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, რომელთა თანახმად, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მისი გამოქვეყნების მიმართ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა ეკისრება აღნიშნული კვლევის დამკვეთ მაუწყებელს, ხოლო მაუწყებელს, რომელიც აქვეყნებს სხვისი დაკვეთით შესრულებული საზოგადოებრივი აზრის კვლევას, დაეკისრება მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვის ვალდებულება.

ასევე, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლინდა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის ან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით წინასაარჩევნო პერიოდში ვიდეო რგოლის განთავსება არ გამოირჩეხავს მის წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის ცალკეული ნიშნების ირიბად მატარებელ ვიდეო რგოლად აღქმის შესაძლებლობას, რის გამოც დღის წესრიგში დგება ადმინისტრაციული ორგანოს ზემოაღნიშნული უფლების წინასაარჩევნო პერიოდში შეზღუდვის საკანონმდებლო რეგლამენტაციის აუცილებლობის საკითხიც. კანონპროექტით მაუწყებელს ეკრძალება არჩევნების დანიშნიდან არჩევნების დასრულებამდე სამაუწყებლო ბადეში ადმინისტრაციული ორგანოს ფასიანი სოციალური რეკლამის განთავსება.

რაც შეეხება მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებას, კანონპროექტით არჩევნების დანიშნიდან არჩევნების დასრულებამდე პერიოდში მაუწყებელი ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს (საარჩევნო ადმინისტრაციის გარდა) მიერ მისთვის წარდგენილი ინფორმაციის კანონთან შესაბამისობის დასადგენად მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში განათავსოს იგი ეთერში.

სახელმძღვანელო რეკომენდაციები - სოციალური რეკლამის ბანთავსება

კომისიამ სამაუწყებლო ბადეში სოციალური რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო რეკომენდაციები შეიმუშავა. რეკომენდაციების მიღების მიზანს სოციალური რეკლამის განთავსების საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილებებისა და მიდგომების თაობაზე, მაუწყებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ინფორმირება წარმოადგენს. რეკომენდაციები კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული (<http://gncc.ge/ge/news/socialuri-reklamis-samauwyeblo-badeshi-gantavsebastian-dakavshirebuli-saxelmdzgvanelo-rekomendaciebi.page>).


რადიომაუწყებლობის პრიორიტეტები

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კომისია ორ წელიწადში ერთხელ რადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს ადგენს, რომლის მიხედვითაც ხდება რადიომაუწყებლობის სფეროში კონკურსების გამოცხადება, გამარჯვებულების გამოვლენა და მათთვის ლიცენზიების გაცემა. დადგენილი პრიორიტეტების გათვალისწინებით, 2017 წელს კომისიამ კონკურსების საფუძველზე რადიომაუწყებლობის 10 ლიცენზია გასცა, ხოლო კერძო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად გამოცხადებული 4 კონკურსი ჩაიშალა.

სტატისტიკა

მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაცია


მაუწყებლობის სახეების/სახეობების/ქვესახეობების მიხედვით (ავტორიზაცია გაიარა სულ 12-მა პირმა)



- კერძო საერთო ტელემაუწყებლობა
- კერძო სპეციალიზებული ტელემაუწყებლობა
- კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობა

რადიომაუწყებლობის ლიცენზიების გაცემა


მაუწყებლობის სახეობების/ქვესახეობების მიხედვით (სულ 10 ლიცენზია)



- კერძო საერთო რადიომაუწყებლობა
- კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობა


სამართალდარღვევის სახეები რადიომუწყებლობის სფეროში

(სულ 33 სამართალდარღვევა)



- პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსების (Product Placement) წესების დარღვევით პროგრამის განთავსება;
- მხატვრული ფილმების არამართლზომიერი გადაცემა;
- საერთო მაუწყებლობის ავტორიზაციის პირობების დარღვევა;
- ავტორიზაციის პირობების შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა;
- არასათანადო რეკლამის განთავსება;
- საზოგადოებრივი პოლიტიკური გადაცემების არ ქონა;
- კერძო მაუწყებლობის სალიცენზიო გადასახდელის გადაუხდელობა;
- პოლიტიკური გაერთიანების მიერ დაფინანსება.

სასამართლო დავები მაუწყებლებთან (9 დავა)



- დასრულდა კომისიის სასარგებლოდ
- მიმდინარე

საერთაშორისო ურთიერთობები



GeolGF-Tbilisi

2017 წლის 12 სექტემბერს თბილისში რიგით მესამე ინტერნეტ მმართველობის ფორუმი გაიმართა. ფორუმში მონაწილეობა ინტერნეტ საზოგადოების (ISOC), ევროპის ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის - EuroDIG და ევროპის IP ქსელების საკოორდინაციო ცენტრის (RIPE NCC) ხელმძღვანელებმა მიიღეს. განხილული საკითხებიდან აღსანიშნავია: პროპაგანდა ინტერნეტში და საქართველო; დომენური სახელების ბაზრის შესაძლებლობები; ახალი რეგულაციები პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით; ასევე, საქართველოში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის საკითხები და თუშეთის ინტერნეტიზაციის პროექტი.

GeolGF-Tbilisi-ს - ფორუმის ფარგლებში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა და RIPE NCC-ს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მხარეთა შორის შემუშავდა ურთიერთთანამშრომლობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს RIPE NCC-ის სწავლებების გამართვას IPv6 განვითარებაზე დაინტერესებული პირებისა და აკადემიური სექტორისთვის. მხარეები ითანამშრომლებენ, ასევე, ინტერნეტის სტატისტიკურ-ანალიტიკური, ლოკალური და გლობალური მონაცემების გაცვლის მიმართულებით.

ლატვიასა და საქართველოს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი როუმინგული ტარიფების შემცირების თაობაზე

ევროპის კავშირის ქვეყნების საერთაშორისო როუმინგის ერთიან სივრცეში საქართველოს გაერთიანებისკენ პირველი ნაბიჯი 2016 წელს საქართველოს და ლიტვას შორის საერთაშორისო როუმინგული მომსახურების თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმებით გადაიდგა. აღნიშნული მემორანდუმი ლიტვასა და საქართველოს შორის როუმინგული მომსახურების (ხმოვანი მომსახურება, SMS, ინტერნეტი) ტარიფების თანდათანობით შემცირებას ითვალისწინებს.

2017 წლის ივნისში, ქ. რიგაში, როუმინგული ტარიფების შემცირების თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმი ლატვიასა და საქართველოს შორის გაფორმდა. საქართველოს მხრიდან მემორანდუმს ხელი კომისიისა და მობილური ოპერატორების წარმომადგენლებმა, ლატვიის მხრიდან კი - ლატვიის მარეგულირებელი ორგანოსა და ლატვიის მობილური ოპერატორების წარმომადგენლებმა მოაწერეს.

საქართველოს დელეგაცია გაეცნო ლატვიის გამოცდილებას ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიასა და პროგრამულ უზრუნველყოფაში. მხარეთა შეთანხმებით, ორ მარეგულირებელს შორის ამ მიმართულებითაც გაგრძელდება თანამშრომლობა.

ურთიერთგაგების მემორანდუმი ხორვატიის ელექტრონული კომუნიკაციებისა და ფოსტის მარეგულირებელ ორგანოსთან

2017 წლის სექტემბერში, ქ. თბილისში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა და ხორვატიის ელექტრონული კომუნიკაციებისა და ფოსტის მარეგულირებელ ორგანოს (HAKOM) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ხელს შეუწყობს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ორ მარეგულირებელს შორის თანამშრომლობას, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას, ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივი სემინარების, კონფერენციებისა და ფორუმების ორგანიზებას.

ურთიერთგაგების მემორანდუმი მაკედონიის (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა) ელექტრონული კომუნიკაციების ოფისთან

2017 წლის ნოემბერში, ქ. სკოპიეში, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა და მაკედონიის (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა) ელექტრონული კომუნიკაციების ოფისს (AEK) შორის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა მაკედონიის გამოცდილება ინტერნეტის ნეიტრალური ურთიერთჩართვის წერტილის (IXP) ინიცირებისა და ფორმირების, მობილური ქსელებითა და მულტიპლექს პლატფორმით განეული მომსახურების ხარისხის მონიტორინგის კუთხით და გადაწყდა, რომ აღნიშნულ საკითხებზე გამოცდილების გაზიარების მიზნით, მხარეთა ექსპერტები ითანამშრომლებენ.

ასევე, განხილულ იქნა ბალკანეთის 4 ქვეყანას შორის (მაკედონია, სერბეთი, მონტენეგრო, ბოსნია-ჰერცეგოვინა) საერთაშორისო როუმინგთან დაკავშირებით გაფორმებულ ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებაზე საქართველოს მიერ თების შესაძლებლობის პერსპექტივა.

შეხვედრა პოლონეთის რესპუბლიკის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისსა და კომისიას შორის

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ პოლონეთის რესპუბლიკის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისს (UKE) დელეგაციას უმასპინძლა. ვიზიტის ფარგლებში, პოლონეთის დელეგაციამ ქართულ მხარეს გამოცდილება ფიქსირებული ფართობოლოვანი ბაზრის, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის რეგულირების, მათ შორის, აქტიურ და პასიურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებისა და ინტერნეტის ხარისხის მონიტორინგის საკითხების თაობაზე გაუზიარა.

კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით, ორი ქვეყნის მარეგულირებელი ორგანო როუმინგის ტარიფების დანერგვის კუთხითაც ითანამშრომლებენ. პროცესში პოლონეთის რესპუბლიკასა და საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორები ჩაერთვებიან. ასევე, პოლონური მხარე ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდების პროცესში აქტიური და პასიური ინფრასტრუქტურის გაზიარებისა და ამ მიმართულებით ევროპის სივრცეში არსებული რეგულაციების დანერგვის თვალსაზრისით კომისიას გამოცდილებას გაუზიარებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების ქსელი - EU4Digital - EaPeReg

2017 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ აღმოსავლეთ პარტნიორობის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების ქსელის - EU4Digital - EaPeReg - ფარგლებში შექმნილი სექტრისა (SEWG) და შედარებითი ანალიზის (BEWG) ექსპერტთა ჯგუფების სამუშაო შეხვედრებს უმასპინძლა.

ექსპერტთა სამუშაო ჯგუფები, რომელშიც აღმოსავლეთ პარტნიორობის, ევროკავშირისა და ბალკანეთის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლები არიან გაერთიანებულნი, კომისიის ინიცირებით 2015 წელს შეიქმნა.

ექსპერტთა ჯგუფების მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრების დაახლოება ევროკავშირის ელექტრონული კომუნიკაციების ერთიან ბაზართან და, შესაბამისად, ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ასევე, კომისიის ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს როუმინგის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის (REWG) შეხვედრებში, რომლის მთავარი მიზანაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ერთიანი როუმინგული სივრცის შექმნაა.

როუმინგის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის დახმარების მიზნით, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული

პროექტი - HiQSTEP „Short term High Quality Studies to Support the Activities of the Eastern Partnership” დაიწყო. რომლის ფარგლებშიც, ევროკომისიის მიერ დაქირავებულმა კონსორციუმმა ექსპერტთა სამუშაო ჯგუფს ანგარიშის პროექტი წარუდგინა.

2017 წლის პლენარულ სესიებზე EU4Digital - EaPeReg-ის 2018-2020 სამოქმედო გეგმა დამტკიცდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე წარსადგენად. სამოქმედო გეგმის 5 მთავარი კომპონენტია: კანონმდებლობის დაახლოება; მარეგულირებლების დამოუკიდებლობის განმტკიცება; რადიოსიხშირული სპექტრის კოორდინაცია; როუმინგული ტარიფების ჰარმონიზაცია; სატელეკომუნიკაციო ბაზრების შედარებითი ანალიზი და ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარება.

ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებლების ოთხი პლატფორმის შეხვედრა/სამიტი

2017 წელს კომისიის წარმომადგენლებმა პორტუგალიაში, ქ. კაშკაში მონაწილეობა მიიღეს ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებლების 4 პლატფორმის (BEREC - ევროპის მარეგულირებლების გაერთიანება, EMERG - ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების მარეგულირებლების გაერთიანება, REGULATEL - ლათინურენოვანი ქვეყნების მარეგულირებლების გაერთიანება და EU4Digital - EaPeReg აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მარეგულირებლების გაერთიანება) გაერთიანებულ სამიტში. სამიტზე კომისიის წარმომადგენლებმა პრეზენტაციები წარადგინეს თემებზე: EU4Digital - EaPeReg-ის სამოქმედო გეგმა და კომისიის როლი EU4Digital - EaPeReg-ის განვითარებაში; საქართველოში DVB-T2-ის დანერგვა და მობილური ტექნოლოგიები. სამიტის ბოლოს მარეგულირებლების ოთხივე პლატფორმის თავმჯდომარეებმა ურთიერთთანამშრომლობის დეკლარაციას მოაწერეს ხელი.

სხვა საერთაშორისო აქტივობები

2017 წელს საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში კომისიამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა შეხვედრებსა თუ ღონისძიებებში, მათ შორის:

- კომისიის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა Geneva 06-ის გეგმის მოდიფიკაციით გათვალისწინებულ პროცედურებზე. ჩატარდა საკოორდინაციო პროცედურები ყველა „შეხვედრა“ მეზობელ ადმინისტრაციასთან.
- 2017 წლის 24-26 იანვარს, ქ. ანკარაში, შედგა რიგით მესამე ორმხრივი შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სადაც განხილული იქნა სასაზღვრო რეგიონებში შესაბამის სიხშირულ დიაპაზონებში მობილური ტექნოლოგიების (GSM, UMTS, LTE) გამოყენების საკითხები, და ასევე, 174-230 მჰც და 470-694 სიხშირულ ზოლებში ციფრული სატელევიზიო მიწისზედა სადგურებისათვის და 87.5-108 მჰც სიხშირულ ზოლში VHF/FM რადიო სამაუნყებლო სადგურებისათვის სიხშირულ მინიჭებებთან/გამოყოფებთან დაკავშირებული საკითხები. შეხვედრის შემდეგ ხელი მოეწერა შესაბამის პროტოკოლს.
- 2017 წლის 21 იანვარს, ქ. ბაქათალაში (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) და 29 სექტემბერს, ქ. თბილისში შედგა შეხვედრები აზერბაიჯანის რესპუბლიკის კავშირგაბმულობის და მაღალ ტექნოლოგიების სამინისტროს წარმომადგენლებთან სასაზღვრო რეგიონებში GSM, UMTS და LTE მობილური ტექნოლოგიებისათვის განკუთვნილი სიხშირული დიაპაზონების კოორდინაციასთან დაკავშირებით. შეხვედრებს წინ უძღოდა ერთობლივი რადიომონიტორინგი ორივე მხარის მობილური ოპერატორების მონაწილეობით. შეხვედრების შემდეგ ხელი მოეწერა შესაბამის პროტოკოლს.
- 2017 წლის 25-26 ოქტომბერს, თბილისში შედგა შეხვედრა სომხეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის, კომუნიკაციების და საინფორმაციო ტექნოლოგიების წარმომადგენლებთან სასაზღვრო რეგიონებში GSM, UMTS და LTE მობილური ტექნოლოგიებისათვის განკუთვნილი

სიხშირული დიაპაზონების კოორდინაციასთან დაკავშირებით. შეხვედრას წინ უძღოდა ერთობლივი რადიომონიტორინგი ორივე მხარის მობილური ოპერატორების მონაწილეობით. შეხვედრის შემდეგ ხელი მოეწერა შესაბამის პროტოკოლს.

- 2017 წლის მაისში, ძალაში შევიდა მინისზედა სამაუნწყებლო სადგურებისთვის სიხშირული მინიჭების კოორდინაციის საკითხებზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და რუსეთის ფედერაციის კავშირგაბმულობის ადმინისტრაციის ტექნიკურ ექსპერტებს შორის გამართული შეხვედრის ოქმი. შედეგად, რუსეთის ფედერაციამ მოხსნა თავისი თავდაპირველი წინააღმდეგობები საქართველოს 29 სატელევიზიო არხზე, რომელთაგან 21 უკვე შევიდა ჟენევა 06 გეგმაში (2017 წლის ბოლოს გამოქვეყნდა ITU-ს სიხშირეთა საერთაშორისო საინფორმაციო ცირკულარში - BR IFIC). რაც შეეხება რუსეთის ფედერაციასთან უკვე კოორდინირებულ დანარჩენ 8 სატელევიზიო არხს, მათი შეთანხმების პროცესი ამჟამად მიმდინარეობს სხვა „შეხებულ“ მეზობელ ქვეყნებთან.
- TCI International, Inc.-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მონყობილობების ქარხნულ შემონმებაზე დასწრების მიზნით, 2017 წლის 11-დან 18 ივნისის ჩათვლით კომისიის წარმომადგენლები ქ. ფრიმონტში, კალიფორნიის შტატში იმყოფებოდნენ.
- კომისიის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, სერგო შავგულიძემ, როგორც ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის რადიოსაკომუნიკაციო სექტორის მე-5 შემსწავლელი ჯგუფის (ITU-R SG5) თავმჯდომარის მოადგილემ, 2017 წლის 22-28 მაისს და 14-21 ნოემბერს ქ. ჟენევაში, ITU-R SG5-ს და მასთან დაკავშირებული სამუშაო ქვეჯგუფების 5A (WP 5A), 5B (WP 5B), 5C (WP 5C) შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა.
- 2017 წლის 2-3 ნოემბერს, ქ. რომში ITU-ს ევროპის კოორდინაციის ოფისისა და იტალიის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ორგანიზებით, ITU-ს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების საკითხებზე ევროპის რეგიონალური ინიციატივის “ITU Regional Initiative for Europe on Development of Broadband Access and Adoption of Broadband” ფარგლებში, გაიმართა ექსპერტთა შეხვედრა ელექტრომაგნიტური ველის დონის და 5G-ის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, სადაც კომისიის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, სერგო შავგულიძემ, წარადგინა პრეზენტაცია თემაზე: IMT-სისტემების მომავალი განვითარება. (აღნიშნული პრეზენტაცია განთავსებულია ITU-ს ვებგვერდზე ბმულით: https://www.itu.int/en/ITU-D/Regional-Presence/Europe/Documents/Events/2017/EMF/Sergo%20Shavgulidze_Georgia.pdf).
- 2017 წლის მაისში, ქ. დუბლინში კომისიამ მონაწილეობა მიიღო CEPT-ის WG FM-ის შემსწავლელი ჯგუფის შეხვედრაში, რომლის ფარგლებშიც, CEPT-ის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სიხშირეთა განაწილების ეროვნული გეგმის, მისი ერთიან ევროპის ჰარმონიზებულ სიხშირულ ბადესთან („ECA table“) შესაბამისობაში მოყვანისა და CEPT-ის სხვადასხვა კითხვარებზე პასუხების მომზადების მიზნით, მუშაობა მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობდა.
- 2017 წელს კომისიამ სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ევროპულ ინსტიტუტთან (ETSI) გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო EN ტიპის 77 ევროპული სტანდარტის პროექტის განხილვაში, საიდანაც საქართველოში ევროპულ სტანდარტებად დასარეგისტრირებლად 56 სტანდარტი შეირჩა.
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლები ქ. ჟენევაში ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU) სატელეკომუნიკაციო ინდიკატორთა ექსპერტთა ჯგუფის (EGTI) მე-8 შეხვედრას დაესწრნენ, რომელიც ტელეკომუნიკაციის განვითარების ბიუროს (BDT) ორგანიზებით გაიმართა თემებზე: ICT ფასთა კალათების გადასინჯვა, ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების სიჩქარის დონეები და მინიმალური სიჩქარის განსაზღვრა, OTT (Over-the-top) სერვისები და IP კონვერგენცია და კიბერუსაფრთხოების ინდიკატორები. ასევე, წარმოდგენილი იყო ITU-ს პროექტი სახელწოდებით - „მეგა-მონაცემები (Big-Data) საინფორმაციო საზოგადოების გასაზომად“, რომელშიც ITU-ს მიერ შერჩეული ექვსი ქვეყანა მონაწილეობს: საქართველო, შვედეთი, კოლუმბია, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, კენია და ფილიპინები.

- კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის უფროსმა, ივანე მახარაძემ 2017 წელს ქ. ბუდაპეშტში ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ რეგიონულ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის ფარგლებში გამართული დისკუსია მედიის გამჭვირვალობას, სამართლებრივ სტანდარტებს, მედიის დამოუკიდებლობის მექანიზმებს, საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფუნქციონირებასა და ფინანსირებას, ასევე სარედაქციო და ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას შეეხო.
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა და უკრაინის ტელევიზიისა და რადიოს ეროვნული კომისიას შორის ორი სამუშაო შეხვედრა შედგა, სადაც უკრაინელები მაუწყებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობასა და აღსრულების მექანიზმებს გაეცნენ.
- 2017 წლის მარტში, კახეთში, ევროკავშირისა და ევროკომისიის ერთობლივი პროექტების ფარგლებში, აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების შესახებ სემინარები ჩატარდა, სადაც ევროპის საბჭოს ექსპერტებმა არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიმართულებით ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიდგომები და საუკეთესო პრაქტიკა, ასევე, ევროპული სტანდარტების შესაბამისი სატელევიზიო რეგულაციები განიხილეს.
- ევროკავშირის ექსპერტმა, ჟან ფრანსუა ფურნემონმა „ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 10 მარტის N2010/13/EU დირექტივა აუდიოვიზუალური მედიის მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა შეისწავლა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებების რეკომენდაციები შეიმუშავა. 2017 წლის 30-31 მაისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მედიის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მაუწყებლებთან გაიმართა შეხვედრა, რომელზეც ექსპერტმა პრეზენტაცია გამართა. რეკომენდაციები გამოცხებით აუდიო-ვიზუალურ მომსახურებებს (VOD), ვიდეო გაზიარების პლატფორმის (Video Sharing Platform) რეგულირებას, მედიაში არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის ეფექტური მექანიზმების შემუშავებას, სიძულვილის ენის რეგულირებას და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვას ეხებოდა.



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ბაზრის კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი რატი სხირტლაძე ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) მონაცემების დამუშავებისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსად დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ რატი სხირტლაძე საქართველოს პირველი მოქალაქეა, ვინც ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირში (ITU) შეუდგა საქმიანობას.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა




2017 წელს კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში სულ 283 საჩივარი⁴ შევიდა, აქედან 114 წერილობითი, ხოლო 169 - სატელეფონო. 3 საჩივარი მაუნყებლობის სფეროს ეხებოდა, 284 - ელექტრონული კომუნიკაციების, ხოლო 16 საჩივარი - სხვა საკითხებს.

2017 წლის საჩივრების სტატისტიკა თემატიკის და რეაგირების სტატუსის მიხედვით

თემატიკა	დაკმაყოფილდა	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა/ მიეცა განმარტება	დარღვევა არ დადასტურდა	ჯამი
უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	72	1	2	75
მომხმარებლის არასათანადო ინფორმირება	26			26
სატელეკომუნიკაციო მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე	18	3	3	24
სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების დაყოვნება/ დაუკმაყოფილებლობა	15	4	1	20
სააბონენტო ნომრების გასხვისება	10	1		11
სატელეკომუნიკაციო მომსახურების პაკეტების ცვლილება	10			10
სატელეკომუნიკაციო მომსახურების შეწყვეტა	9	2		9
სატელეკომუნიკაციო ანძებისგან გამონვეული რადიაცია	6	1		8
სპამი	6	2		7
მედიის მავნე ზეგავლენა არასრულწლოვნებზე	3	2	1	6
პორტირება	3			5
ციფრული მაუნყებლობა				4
ინტერნეტ მომსახურებაზე ფასის ზრდა	4			4
სხვა	85	5	5	94
ჯამი				303

⁴ საჩივრების საერთო რაოდენობა და თემატიკის მიხედვით გადანაწილებული საჩივრების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან ზოგიერთი საჩივარი ერთდროულად რამდენიმე საკითხს ეხებოდა.


საჩივრების სტატისტიკა პროვაიდერი კომპანიების მიხედვით



- სს სილქნეტი
- შპს „ჯეოსელი“
- შპს „მაგთიკომი“
- შპს „სტერეო+“
- შპს „ახალი ქსელები“
- შპს „მობიტელი“
- შპს „იმერ ტვ“
- შპს „GNN“
- შპს „სუპერ ტვ“
- შპს „ჯი-დი-ეს თივი“
- მე-7 არხი
- გლობალ ტვ
- შპს „ფრინეტი“
- შპს „ო ენდ ემ ჯგუფი“
- შპს „Georgia Air Link“
- შპს „გრინეტი“
- შპს „კრისტალბეთი“

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის რეაგირების შედეგები

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოსული 283 საჩივრიდან დაკმაყოფილდა 271 საჩივარი; აქედან სრულად დაკმაყოფილდა 249, ხოლო - 22 ნაწილობრივ. დარღვევა არ დადასტურდა 12 საჩივარზე.



- სრულად დაკმაყოფილდა
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა
- დარღვევა არ დადასტურდა

“ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” საქართველოს კანონის 15⁴ მუხლის შესაბამისად, საზოგადოებრივი დამცველი შესაბამის ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს არაუგვიანეს ყოველი წლის მარტისა წარუდგენს წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებასა და განუვლი საქმიანობის ანგარიშს, აგრეთვე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით მიაწვდის მათ საზოგადოებას. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის 2017 წლის სრული ანგარიში იხილეთ დანართში 34 ან ვებ-გვერდზე <http://momkhmarebeli.gncc.ge/>.


ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის დარგების განვითარების ტენდენციების მიმოხილვა




ზოგადი მიმოხილვა

2017 წელს კომუნიკაციების სექტორში მოქმედი პირების შემოსავალმა (დღგ-ს და აქციზის გარეშე)⁵ 1,328 მლნ ლარი შეადგინა⁶, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 5.5%-ით მეტია. 2017 წელს ელექტრონული კომუნიკაციებიდან მიღებულმა შემოსავალმა 1,136 მლნ ლარი, მაუწყებლობიდან მიღებულმა შემოსავალმა კი 107,5 მლნ ლარი შეადგინა. რეგულირებას დაქვემდებარებული პირების მიერ მიღებული არასაკომუნიკაციო შემოსავლის ოდენობა 84 მლნ იყო (სატელეკომუნიკაციო ტექნიკის იჯარა, რეალიზება და ა.შ).

სულ კომუნიკაციების სექტორიდან მიღებული შემოსავალი (მლნ ლარი)



კომუნიკაციების სექტორიდან მიღებული შემოსავალი სახეების მიხედვით (მლნ ლარი)



- ელექტრონული კომუნიკაციები
- მაუწყებლობა
- არასაკომუნიკაციო

შენატანები სახელმწიფო ბიუჯეტში

2017 წელს მაუწყებლების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების⁷ სახით გადახდილმა თანხამ 14,492,995.27 ლარი შეადგინა, ხოლო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული ან/და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ გადასახადების სახით შეტანილმა თანხამ - 250,296,698.66 ლარი.

რაც შეეხება ლიცენზირებას სულ 2017 წელს კომუნიკაციების სფეროდან სახელმწიფო ბიუჯეტში 33,223,821.06 შევიდა, ნუმერაციის რესურსიდან და სხვა სანებართვო მოსაკრებლებიდან - 966,665.80 ლარი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის ჯარიმის სახით ბიუჯეტში 10,500 ლარი ჩაირიცხა.

სულ 2017 წელს კომუნიკაციების დარგიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 284,497,685.52 ლარი შევიდა.

⁵ ანგარიშში შემოსავლები მოცემულია დღგ-ს და აქციზის გადასახადის გარეშე


⁶ დეტალური ინფორმაცია სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების შესახებ გთხოვთ იხილოთ: <http://gncc.ge/ge/news/press-releases/komisia-mauwyblebis-deklarirebul-shemosavlebtan-ertad-2012-2017-wlebis-satelevizio-sareklamo-shemosavlebis-analiz-aqveynebs.page>

⁷ საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი (სასოფლო-აღასასოფლო)


რეგულირებას დაეფემდებარებული მოქმედი პირები

2017 წელს ელექტრონული კომუნიკაციების დარგში 329 მოქმედი⁸ პირი დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ელექტრონული კომუნიკაციების დარგში 100 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 4-მა პირმა მიიღო (A კატეგორიის⁹ კომპანიები) და მათ მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი მთელი შემოსავლის 82.3%-ს შეადგენდა, იმ პირების ჯამური შემოსავალი კი, ვინც 2017 წელს 100,000 ლარზე ნაკლები შემოსავალი მიიღო (E კატეგორიის 214 პირი) მთელი შემოსავლების 0.7%-ს შეადგენდა.

ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედ პირთა რაოდენობა სეგმენტების მიხედვით




ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედ პირთა შემოსავლის განაწილება სეგმენტების მიხედვით




2017 წელს მაუწყებლობიდან 10 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 2-მა პირმა მიიღო (B კატეგორიის კომპანიები) და მათ მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი მთელი შემოსავლის 72.5%-ს შეადგენდა, იმ პირების ჯამური შემოსავალი კი, ვინც 2017 წელს 100,000 ლარზე ნაკლები შემოსავალი მიიღო (E კატეგორიის 53 პირი) მთელი შემოსავლების 1.5%-ს შეადგენდა.

მოქმედ მაუწყებელთა რაოდენობა სეგმენტების მიხედვით



მოქმედ მაუწყებელთა შემოსავლის განაწილება სეგმენტების მიხედვით




⁸ მოქმედად განვიხილავთ პირს, რომელსაც წლის განმავლობაში ელექტრონული კომუნიკაციებიდან/მაუწყებლობიდან რაიმე სახის შემოსავალი ჰქონდა
⁹ ტრადიციულად განვიხილავთ შემდეგ კატეგორიებს:

კატეგორია	წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი
A	100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი
B	10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე
C	1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე
D	100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე
E	100,000 ლარზე ნაკლები


მობილური კომუნიკაციები

საქართველოში მობილური აბონენტების¹⁰ რაოდენობამ 2017 წლის ბოლოს (მეოთხე კვარტალში) 5.7 მლნ აბონენტი შეადგინა. 2016 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 178.7 ათასი აბონენტით გაიზარდა, მობილური აბონენტების სიმკვრივემ¹¹ კი 154% შეადგინა.

აბონენტის რაოდენობა (მლნ ლარი)




სააბონენტო სიმკვრივე




მობილური ოპერატორების საბაზრო წილი აბონენტების რაოდენობების მიხედვით 2017 წელს განაწილდა შემდეგნაირად: 2017 წლის ბოლოს მაგთიკომის საბაზრო წილმა მობილური აბონენტების რაოდენობის მიხედვით 37.7% შეადგინა, ჯეოსელის - 35.4%, ვიონი საქართველოს (ბრენდული სახელი „ბილაინი“) - 26.65%, სილქნეტის კი - 0.3%.

ბაზრის წილები აბონენტების რაოდენობის მიხედვით



საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




¹⁰ აბონენტად განიხილება SIM ბარათი, რომლის გამოყენებითაც კვარტლის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა ან მიღებულ იქნა ხმოვანი ზარი, SMS, MMS, განუვლი იქნა ინტერნეტით ან სხვა დამატებითი მომსახურება, ან დაირიცხა სააბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების ჩათვლით და სატესტო ბარათების ჩათვლელად)

¹¹ აბონენტების რაოდენობა გაყოფილი ქვეყნის მოსახლეობაზე. 2015 წელს სააბონენტო სიმკვრივის მკვეთრი ზრდა განპირობებულია 2014 წლის აღწერის შედეგებით. კერძოდ, 2014 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობამ 3.7 მლნ შეადგინა, ნინა წლებში კი მოსახლეობის ოფიციალური რაოდენობა 4.4-4.5 მლნ-ს შორის მერყეობდა.



მობილური ოპერატორების საცალო შემოსავალი 2017 წელს 448 მლნ ლარი იყო, რაც 2016 წელს მიღებულ საცალო შემოსავალზე 7.8%-ით (32.7 მლნ ლარით) მეტია.

საცალო შემოსავლების თვალსაზრისით, მაგთიკომის საბაზრო წილი 46.3%-ს შეადგენდა, ჯეოსელის - 36.3%, ვიონი საქართველო - 16.6%, სილქნეტის კი 0.2%.

ბაზრის წილები საცალო შემოსავლის მიხედვით




თვის განმავლობაში აბონენტისგან მიღებულმა საშუალო შემოსავალმა (ARPU - Average Revenue Per User), 2017 წლის ბოლოს (მეოთხე კვარტალში) 6,67 ლარი შეადგინა. 2016 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, იგი 30 თეთრით გაიზარდა (4.8%-ით). აღსანიშნავია, რომ 2016 წელს „მაგთიკომის“, „ვიონი საქართველოს“ და „ჯეოსელის“ ARPU გაიზარდა, „სილქნეტის“ კი შემცირდა.




2017 წელს ჯამურმა გამავალმა ხმოვანმა ტრაფიკმა 9,7 მლრდ. წუთი შეადგინა. 2016 წელთან შედარებით, ტრაფიკი 5.9%-ით შემცირდა. შესაბამისად შემცირდა (MOU)¹² - თუ 2016 წლის მეოთხე კვარტალში იგი 156 წუთს შეადგენდა, 2017 წლის მეოთხე კვარტალში მან 138 წუთი შეადგინა.

გამავალი ტრაფიკი (მლრდ წთ)




MOU(წთ)



მობილური ოპერატორების გამავალი ტრაფიკის უდიდეს ნაწილს - 58%-ს - საკუთარ მობილურ ქსელზე დასრულებული ზარები შეადგენს. მას მოსდევს სხვა ოპერატორის მობილურ ქსელზე დასრულებული ზარები - 24%. ფიქსირებულ ქსელებზე დასრულებული ზარების წილი 2.2%-ია, საერთაშორისო ზარების - 0.6%.

გამავალი ტრაფიკის განაწილება მიმართულებების მიხედვით




¹² MOU - Minutes Of Use - თვეში საშუალოდ აბონენტის მიერ ნასაუბრები (იგულისხმება მხოლოდ გამავალი ზარები) წუთების რაოდენობა. გამოითვლება შემდეგნაირად: კვარტალში ჯამურად ნასაუბრები წუთები გაყოფილი კვარტალში აბონენტების რაოდენობაზე და გაყოფილი 3-ზე.


მობილური ინტერნეტი

2017 წლის მეოთხე კვარტალში ინტერნეტ მომსახურებით აბონენტების 49.9%-მა ისარგებლა (2.86 მლნ აბონენტმა). მოხმარებული ინტერნეტ-ტრაფიკის ოდენობა კვლავ მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. გაიზარდა საშუალოდ ერთი მომხმარებლის მიერ მოხმარებული ინტერნეტ-ტრაფიკის ოდენობა. თუ 2016 წლის ბოლოს იგი თვეში 1,362 მბ-ს შეადგენდა, 2017 წლის ბოლოს ამ მაჩვენებელმა 1,851 მბ შეადგინა (34%-ით მეტი).


მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა (მლნ)




მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა წილი აბონენტთა საერთო რაოდენობაში




კენეტრაცია (მობილური ინტერნეტის აბონენტების შეფარდება მოსახლეობის რაოდენობასთან)



მობილური ინტერნეტის გენერირებული ტრაფიკი (ტერაბაიტი)




ინტერნეტის მომხმარებლის მიერ გენერირებული საშუალო ტრაფიკი თვეში (მბ)




2017 წელს მობილური ინტერნეტის ტრაფიკის მხოლოდ 2.78%-ს შეადგენდა 2G ტრაფიკს. 3G ტრაფიკის წილმა 41.3% შეადგინა, 4G ტრაფიკის წილმა კი 56%. 2017 წელს ტექნოლოგიების და ოპერატორების მიხედვით ტრაფიკების განაწილება ქვემოთ მოყვანილ გრაფიკებზეა მოცემული:

მობილური ინტერნეტ ტრაფიკის განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით



ინტერნეტ ტრაფიკის განაწილება კომპანიების მიხედვით (ტერაბაიტი)



აღსანიშნავია, რომ 2017 წელს მობილური ინტერნეტის ტრაფიკის ზრდა კვლავ უმთავრესად 4G-ს ხარჯზე მოხდა და პრაქტიკულად 3G ტრაფიკს გადაუსწრო.

მობილური ინტერნეტის ფასების მიმოხილვა / ბენჩმარკინგი

2013-2017 წლების განმავლობაში მობილური ინტერნეტ პაკეტების ფასები საქართველოში საშუალოდ 59%-ით შემცირდა.

საქართველო


500-700 MB

ლარი	2013	2014	2015	2016	2017	ფასის კლება %
მაგთიკომი	10	10	3	3	3	70%
ჯოსელი	10	10	3	3	3	70%
ვიონი საქართველო	3		3	3		
საშუალო						70%

1- 1.5 GB


ლარი	2013	2014	2015	2016	2017	ფასის კლება %
მაგთიკომი	15	15	5	5	5	67%
ჯოსელი	15	15	5	5	5	67%
ვიონი საქართველო	7	4	4	4	4	43%
საშუალო						59%

მობილური ინტერნეტის ფასები საქართველოში




2017 წელს საქართველოში არსებული მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტის ფასების ევროპულ ქვეყნებში არსებულ ფასებთან შედარებისთვის, კომისიამ ევროკომისიის დაკვეთით საკონსულტაციო ჯგუფის „VanDijkConsultant“-ის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში გამოიყენა, რომლის მეთოდოლოგიაც უპირატესობას ანიჭებს წინასწარი გადახდის სატარიფო გეგმებს და დამუშავებულია ევროპის 31 ქვეყნის, ასევე ამერიკისა და კორეის სატარიფო პაკეტები. ტარიფები განიხილება გადასახადების ჩათვლით და არ ითვალისწინებს აქტივაციის საფასურს, პრომო აქციებსა და სხვა დამატებით გადასახადებს (მაგ. Device charge). განიხილება ერთთვიანი 500 მბ-იანი და 1000 მბ-იანი ინტერნეტ პაკეტები. კვლევაში განხილულია სტანდარტული პაკეტები (standalone)¹³ და გამოყენებულია ფასი გამოსახული ევროში, ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით (Euro PPP).

500 მბ-იანი პაკეტების ფასები ევრო PPP.




1000 მბ-იანი პაკეტების ფასები ევრო PPP.




13 სტანდარტული პაკეტის არარსებობის შემთხვევაში კვლევაში გამოყენებულია კომბინირებული პაკეტის ფასები

ევროკავშირის 31 ქვეყნის მობილური ინტერნეტ პაკეტების (500 მბ იანი და 1000 მბ-იანი) საშუალო ფასების შედარება საქართველოში არსებულ ანალოგიურ მობილური ინტერნეტის პაკეტების ფასებთან.

500 მბ-იანი პაკეტების ფასები ევრო PPP.




1000 მბ-იანი პაკეტების ფასები ევრო PPP.




კორტირება

2017 წელს მობილური ოპერატორების ქსელში 57,355 ნომრის კორტირება განხორციელდა. ყველაზე მეტი კორტირება მაგთიკომის ქსელში განხორციელდა - 23 ათასი, მას მოსდევს ჯეოსელი - 21 ათასი და ვიონი საქართველო - 14 ათასი ნომერი.

სულ კორტირებული მობილური ნომრების რაოდენობა (ათასი)




ოპერატორის ქსელში კორტირებული ნომრების რაოდენობა (ათასი)




2017 წელს მაგთიკომის ქსელში 284 აბონენტით მეტი დაპორტირდა ვიდრე მაგთიკომიდან გადავიდა. ჯეოსელის ქსელში 4,146 აბონენტით მეტი დაპორტირდა, ვიდრე „ჯეოსელიდან“ გადავიდა. „ვიონი საქართველოს“ ქსელიდან კი 4,387 აბონენტით მეტი გადავიდა სხვა ქსელზე, ვიდრე მათ ქსელში დაპორტირდა.


კორტირებით მიღებული და გადასული ნომრების რაოდენობა მატეიკოში (ათასი)



კორტირებით მიღებული და გადასული ნომრების რაოდენობა ჰეოსელი (ათასი)



კორტირებით მიღებული და გადასული ნომრების რაოდენობა ვიონი საქართველო (ათასი)




მობილური აკარატების განაწილება მწარმოებლების მიხედვით:

მწარმოებელი	რაოდენობა	%
Samsung	1,594,795	30.88%
Microsoft/Nokia	976,250	18.90%
other	973,098	18.84%
Apple	580,149	11.23%
HUAWEI	452,377	8.76%
Lenovo	232,939	4.51%
TCT	94,694	1.83%
Sony/Ericsson	94,038	1.82%
LG	78,533	1.52%
HTC	62,341	1.21%
ZTE	25,643	0.50%
სულ	5,164,857	


ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე გამოიყენებოდა როგორც სადენიანი, ისე უსადენო (CDMA) და VoIP (ხმოვანი კავშირი IP პროტოკოლით) ტექნოლოგიები. 2017 წელს ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე სულ 37 კომპანია ოპერირებდა. ფიქსირებულ სადენიან ტექნოლოგიას 13 ავტორიზებული პირი იყენებდა, უსადენოს – 4, VoIP-ს კი 26¹⁴.

ოპერატორების რაოდენობა



აბონენტების რაოდენობა (ათასი)



საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 2017 წლის ბოლოს (მეოთხე კვარტალში) 714 ათასი აბონენტი შეადგინა. 2016 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 13.1%-ით (124 ათასი აბონენტით) შემცირდა. ფიქსირებული ტელეფონიის აბონენტების (შესაბამისად, შემოსავლებისა და ტრაფიკის) შემცირება მსოფლიოში არსებული ტენდენციაა, რაც უმთავრესად მობილური კომუნიკაციებით ფიქსირებული ტელეფონიის ჩანაცვლების შედეგია.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების სიმკვრივემ მოსახლეობაზე¹⁵ 19% , ხოლო შინამეურნეობებზე 63%¹⁶ შეადგინა.


ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ჯამური საცალო შემოსავალი კლების ტენდენციით ხასიათდება. 2017 წელს საცალო შემოსავალმა სულ 46.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 7%-ით ნაკლებია (3.7 მლნ ლარით).

¹⁴ ზოგიერთი კომპანია ერთდროულად რამდენიმე ტექნოლოგიას იყენებს. შესაბამისად, ტექნოლოგიების მიხედვით ოპერატორთა რაოდენობის ჯამი არ უდრის სულ მოქმედი ოპერატორების ჯამს


¹⁵ ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობა შეფარდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე

¹⁶ ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობა შეფარდებულია ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე

საბონენო სიმკვრივე



აბონენტების რაოდენობა (ათასი)




ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო მომსახურების აბონენტთა რაოდენობამ 2017 წლის ბოლოს 432 ათასი აბონენტი შეადგინა, რაც 2016 წლის ბოლოსთან შედარებით 10%-ით ნაკლებია. 2010-2017 წლებში ფიქსირებული სადენიანი ტელეფონიის შემოსავლები მცირდებოდა. 2017 წელს საცალო შემოსავალმა სულ 30.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 10.8%-ით ნაკლებია (4.2 მლნ. ლარით).


CDMA აბონენტების რაოდენობა 2012 წლიდან მკვეთრად მცირდება. თუ 2011 წლის ბოლოს 734 ათასი CDMA აბონენტი ფიქსირდებოდა, 2017 წლის ბოლოს ამ მაჩვენებელმა 217 ათასი აბონენტი შეადგინა. 2017 წელს შემცირდა შესაბამისი საცალო შემოსავალიც. თუ 2016 წელს CDMA ტელეფონიის საცალო შემოსავალი 8.5 მლნ ლარს შეადგენდა, 2017 წელს მან 6.3 მლნ ლარი შეადგინა (20%-ით ნაკლები).

VoIP აბონენტების რაოდენობა 2017 წელს უმნიშვნელოდ გაიზარდა და სულ 65 ათასი VoIP აბონენტი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5.1%-ით მეტია. 2017 წელს გაიზარდა VoIP ტელეფონიის საცალო შემოსავალი და 9.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 38%-ით (2.7 მლნ ლარით) მეტია.

საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების გამავალი ტრაფიკი 2017 წელს შემცირდა. თუ 2016 წელს იგი 1.12 მლრდ. წუთს შეადგენდა, 2017 წელს მან 0.873 მლრდ. შეადგინა (21%-ით ნაკლები).

გამავალი ნუთები (მლნ)




გამავალი ნუთები (მლნ)




ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო მომსახურების გამავალმა ტრაფიკმა 2017 წელს 544 მლნ წუთ. შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 24.3%-ით ნაკლებია (174 მლნ წუთით). ასევე მოიკლო CDMA ტელეფონიის გამავალმა ტრაფიკმა: თუ 2016 წელს მან 305 მლნ წუთი შეადგინა, 2017 წელს 229 მლნ. წუთი იყო (21%-ით ნაკლები). აქვე აღსანიშნავია VoIP ტელეფონიის გამავალი ტრაფიკის ზრდა - 2017 წელს მან სულ 99 მლნ წუთი შეადგინა (2016 წელს - 82.7 მლნ წუთ).

ფიქსირებული სადენიანი სატელეფონო მომსახურების ბაზრის ძირითადი მოთამაშეები კვლავ არიან: სილქნეტი, ახალი ქსელები და ახტელი (ახალი ქსელები და ახტელი ურთიერთდამოკიდებული აფილირებული პირები არიან). საქართველოს მასშტაბით, სილქნეტი აბონენტების 65.8%-ს ფლობს, ახალი ქსელები - 18.0%-ს, ახტელი - 10.7%-ს სხვა დანარჩენი ოპერატორები კი ჯამში 5.5%-ს ფლობენ. ოპერატორების აბონენტთა რაოდენობა და, შესაბამისად, საბაზრო წილები, სტაბილურია.

სადენიანი აბონენტების განაწილება




უსადენო აბონენტების განაწილება



უსადენო ფიქსირებული ტელეფონის (CDMA) ბაზარზე ძირითადად ორი ოპერატორია წარმოდგენილი: მაგთიკომი და სილქნეტი. მაგთიკომი, აბონენტების რაოდენობის თვალსაზრისით, ბაზრის 88.1%-ფლობს, სილქნეტი - 11.9%-ს.

VoIP ტელეფონის ბაზარზე სულ 26 კომპანია ოპერირებს. მათ შორის ყველაზე მეტი აბონენტი სილქნეტს ჰყავს. იგი ბაზრის 47.3%-ს ფლობს. მას მოსდევს ჯეონეთი - 21.2%, მაგთიკომი კი - 4.9%.


VoIP აბონენტების განაწილება




ფიქსირებული ფართობლოვანი¹⁷ მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული ფართობლოვანი მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 2017 წლის მეოთხე კვარტალის მდგომარეობით 774 ათასი აბონენტი შეადგინა. 2016 წლის ბოლოსთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 11.6%-ით (73 ათასი აბონენტი) გაიზარდა. ფიქსირებული ფართობლოვანი აბონენტების სიმკვრივემ მოსახლეობაზე¹⁸ 21%, ხოლო შინამეურნეობებზე¹⁹ 70% შეადგინა.

აბონენტების რაოდენობა (ათასი)




სააბონენტო სიმკვრივე



¹⁷ ტექნოლოგია, რომელიც საშუალებების იძლევა მონაცემთა გადაცემა განხორციელდეს 256 კბ/წმ ან მეტი სიჩქარით
¹⁸ ფიქსირებული ფართობლოვანი აბონენტების რაოდენობის შეფარდება მოსახლეობის რაოდენობაზე
¹⁹ ფიქსირებული ფართობლოვანი აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე


საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)



ფიქსირებული ფართობლოვანი მომსახურებიდან მიღებული საცალო შემოსავალი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2017 წელს საცალო შემოსავალმა 212.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 7.7%-ით (14 მლნ. ლარით) მეტია.


საქართველოში ფიქსირებული ფართობლოვანი მომსახურების აბონენტების უმეტესი ნაწილი 2017 წელსაც ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიას იყენებდა (69.8%). Wi-Fi – 11.6%, xDSL მომსახურება – 14.7%, ფიქსირებული LTE – 3.5%. ყველა დანარჩენი სახის ტექნოლოგიებს (WiMAX, Canopy, თანამგზავრი) ჯამში ფართობლოვანი აბონენტების საერთო რაოდენობის 0.3% ეკავათ.

აბონენტების რაოდენობის განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით




2017 წელს ფიქსირებულ ფართობლოვან მომსახურებას სულ 197 პირი ეწეოდა, აქედან ოპტიკურ-ბოჭკოვან მომსახურებას - 62, xDSL მომსახურებას - 16, WiFi-ს -165, ფიქსირებულ LTE-ს კი 1 ავტორიზებული პირი.

ოპერატორების რაოდენობა



აბონენტების რაოდენობა (ათასი)




ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელით მომსახურების მიმღები აბონენტების რაოდენობის ზრდის ტემპი სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით მაღალია. 2017 წლის ბოლოს 540 ათასი ოპტიკურ-ბოჭკოვანი აბონენტი დაფიქსირდა, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 37.8%-ით (136 ათასი აბონენტი) მეტია.

xDSL ტექნოლოგიით მომსახურების მიმღები აბონენტების რაოდენობამ 2017 წლის ბოლოს 114 ათასი აბონენტი შეადგინა. 2016 წლის ბოლოსთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 21%-ით (38 ათასი აბონენტი) შემცირდა.

WiFi ტექნოლოგიით მომსახურების მიმღები აბონენტების რაოდენობამ 2017 წლის ბოლოს 90 ათასი აბონენტი შეადგინა, ხოლო **ფიქსირებული LTE** ტექნოლოგიის მომხმარებელ აბონენტთა რაოდენობამ 2017 წლის ბოლოს 27 ათასი აბონენტი შეადგინა, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე უმნიშვნელოდ მეტია.


2017 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, **ოპტიკურ-ბოჭკოვანი** მომსახურების აბონენტების 55.3%-ს მაგთიკომი ფლობდა, სილქნეტი - 31.9%-ს, ახალი ქსელები - 5.5%, კავკასიის ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია (CGC) - 3.2%, ყველა სხვა ოპერატორის წილი კი ჯამში 4.1%-ს შეადგენდა.

ოპტიკურ ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება



რაც შეეხება xDSL ტექნოლოგიას, აბონენტების 87.9%-ს სილქნეტი ფლობდა, ახალი ქსელები - 6.4%-ს, ახტელი - 3.5%-ს, ყველა სხვა ოპერატორის წილი კი ჯამში 2.2%-ს შეადგენდა (ახალი ქსელები და ახტელი ურთიერთდამოკიდებული აფილირებული პირები არიან).

xDSL ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება



საბაზრო წილის მქონე გამოკვეთილი ოპერატორები არ არიან. ბაზარზე 165 კომპანია ოპერირებს, რომელთაგან ყველაზე დიდი ოპერატორის - „სქაიტელის“ საბაზრო წილი 7%-ს შეადგენს.




2017 წლის ბოლოს საქართველოში ყველაზე მეტი აბონენტი ისეთ პაკეტებს იყენებდა, რომელთა დეკლარირებული სიჩქარე 10 მბ/წმ-დან 30 მბ/წმ-დე შუალედში იყო. ასეთი პაკეტების მომხმარებელთა წილი 34%-ს შეადგენდა. მას მოსდევდა 2-10 მბ/წმ შუალედში შეთავაზებული პაკეტები 28%-იანი მაჩვენებელით.


აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიების მიხედვით ყველაზე გავრცელებული პაკეტების სიჩქარეები განსხვავებულია, რაც ბუნებრივია. მაგალითად, ოპტიკურ-ბოჭკოვანი და ფიქსირებული LTE ტექნოლოგიის შემთხვევაში, პაკეტების უმეტესობის სიჩქარე 10-30 მბ/წმ შუალედშია (ოპტიკა - 50.4%, LTE - 44%), xDSL-ის და WiFi ტექნოლოგიების შემთხვევაში კი დეკლარირებული სიჩქარე ძირითადად 2-10 მბ/წმ შუალედში მერყეობს (xDSL - 96.7%, WiFi - 84.2%).

შინამეურნეობების 21.7% 2-10 მბ/წმ სიჩქარის პაკეტით სარგებლობს, 25.9% კი 10-30 მბ/წმ სიჩქარის პაკეტით. გაზრდილია (30 მბ/წმ და მეტი) სიჩქარის პაკეტების მოხმარება და 19.4%-ს შეადგენს, როცა 2016 წელს იგივე მაჩვენებელი 9.3% იყო.

აბონენტების გადაანაწილება ტექნოლოგიებისა და სიჩქარის მიხედვით




აბონენტების სიმაკრივე სიჩქარის მიხედვით შინამეურნეობაზე




კორპორატიული აბონენტების წილი ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე 4.8%-ს შეადგენს, თუმცა აღნიშნული აბონენტები ფიქსირებული ინტერნეტიდან მიღებული შემოსავლის 27.0%-ს აგენერირებენ.

კორპორატიული აბონენტების უმრავლესობა (72.3%-ი) ოპტიკურ ბოჭკოვან ტექნოლოგიას იყენებს. კორპორატიული ოპტიკურ-ბოჭკოვანი აბონენტების წილი 4.9%-ს შეადგენს, მათგან მიღებული შემოსავალი კი ოპტიკურ ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მიღებული შემოსავლის 31.6%-ს შეადგენს.

კორპორატიული აბონენტების წილი



კორპორატიული აბონენტების განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით




ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის მომხმარებელი აბონენტების უდიდესი ნაწილი თბილისშია (59.9%). ჯამში საქართველოს ხუთ ქალაქში (თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და ფოთში) ამ ტექნოლოგიის მომხმარებელთა 81%-ია თავმოყრილი, დანარჩენ საქართველოში კი სულ 19%. აღნიშნული განაწილების ძირითადი მიზეზი სოფლად შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობაა.

xDSL ტექნოლოგიის მომხმარებელთა ყველაზე დიდი ნაწილი თბილისშია - 43,3%. მათი რაოდენობა ასევე მაღალია ქუთაისსა და ბათუმში (შესაბამისად 7.2% და 10.3%).

რაც შეეხება, Wi-Fi ტექნოლოგიის მომხმარებლებს, მათი 84.8% ზემოთ ხსენებულ 5 ქალაქს გარეთ ფიქსირდება.


აბონენტების განაწილება ტექნოლოგიებისა და გეოგრაფიის მიხედვით



	Wi-Fi	xDSL	Fiber
● თბილისი	12.9	43.3	59.9
● ქუთაისი	0.2	7.2	6.1
● ბათუმი	1.8	10.3	6.5
● რუსთავი	0	1.2	6.8
● ფოთი	0.2	0.8	1.9
● სხვა	84.8	37.3	18.8

თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და ფოთში 2017 წლის ბოლოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის მომხმარებელთა რაოდენობა სჭარბობდა ყველა დანარჩენი ტექნოლოგიების მომხმარებელთა ჯამურ ოდენობას. აღსანიშნავია, რომ რუსთავში ასეთი აბონენტების წილი 96.3%-ს, ფოთში კი 91.1%-ს შეადგენდა.


აბონენტების განაწილება ტექნოლოგიებისა და გეოგრაფიის მიხედვით




ფიქსირებული ინტერნეტის ფასების მიმოხილვა/ბენჩმარკინგი

2017 წელს საქართველოში ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტის ფასების სხვა ქვეყნებში არსებულ ფასებთან შედარებისთვის გამოყენებულია ევროკომისიის დაკვეთით საკონსულტაციო ჯგუფის "Van Dijk Consultanst"-ის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, რომელშიც ევროპის 30 ქვეყნის, ასევე - ამერიკის, კანადის, იაპონიის და კორეის ყველაზე მოხმარებადი პაკეტების ტარიფებია მოცემული. ანგარიშში განხილულია ქვეყნის მასშტაბით იმ უდიდესი ოპერატორების შეთავაზებები, რომელთა ჯამური საბაზრო წილი ფიქსირებული ფართობოლოვანი საცალო მომსახურების ბაზარზე 40%-ს აღემატება. ოპერატორების განსაზღვრის შემდეგ, კონკრეტული კალათისთვის ქვეყნის მასშტაბით შერჩეულია ერთი ყველაზე იაფი პაკეტი. განიხილება 1 თვიანი, ან 1 თვესთან მიახლოებული ვადის მქონე სტანდარტული პაკეტები. მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს ინსტალაციის ფასს, პრომო აქციებსა და სხვა დამატებით გადასახადებს (მაგ. line rental fee). ანგარიშში გამოყენებულია ფასი გამოსახული ევროში, ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით (აღინიშნება Euro PPP).

12-30 მბ/ნმ კალათის ფასები ევრო PPP.




30-100 მბ/ნმ კალათის ფასები ევრო PPP.




ევროკავშირის 30 ქვეყნის ფიქსირებული ინტერნეტ კალათების (12-30 მბ/წმ და 30-100მბ/წმ) საშუალო ფასების შედარება საქართველოში არსებულ ანალოგიურ ფიქსირებული ინტერნეტის კალათების ფასებთან.

12-30 მბ-იანი პაკეტების ფასები ევრო PPP.




30-100 მბ-იანი პაკეტების ფასები ევრო PPP.




მაუწყებლობის ტრანზიტი

2017 წლის მეოთხე კვარტალში მაუწყებლობის ტრანზიტის მიმღები 605.6 ათასი აბონენტი დაფიქსირდა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 24.5%-ით (119 ათასი აბონენტით) მეტია. მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტების სიმკვრივემ მოსახლეობაზე²⁰ 16.2%, ხოლო შინამეურნეობებზე²¹ 54.6% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2011-2014 წლებში მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე 2015-2016 წლებში, ხოლო 2017 წელს კვლავ მკვეთრი ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა.

აბონენტების რაოდენობა (ათასი)




სააბონენტო სიმკვრივე




გაიზარდა მაუწყებლობის ტრანზიტიდან მიღებული საცალო შემოსავლის ოდენობაც - 2017 წელს მან 75.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14.9%-ით მეტია (9.6 მლნ ლარით მეტი).

საცალო შემოსავალი (მლნ. ლარი)



ოკერატორების რაოდენობა





²⁰ მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების რაოდენობის შედარება ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაზე
²¹ მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების რაოდენობის შედარება ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე

საქართველოში მაუწყებლობის ტრანზიტის მისაწოდებლად ყველაზე გავრცელებულია IPTV ტექნოლოგია. ამ ტექნოლოგიით მოსარგებლე აბონენტების წილი 2017 წლის მეოთხე კვარტალში 58.9%-ს შეადგენდა. მას მოსდევდა თანამგზავრის გამოყენებით მიწოდებული მაუწყებლობის ტრანზიტი - 19.2%, რადიოსიხშირით - 14.9%, კოაქსიალური კაბელით - 6.6%, ინტერნეტ-ტელევიზიის მომხმარებელთა წილმა კი 0.4% შეადგინა.



აბონენტების რაოდენობის განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით

საცალო შემოსავლების რაოდენობის განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით




აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)

საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




2017 წელს IPTV მომსახურების მიმღებ აბონენტთა რაოდენობა 163 ათასით გაიზარდა (84%-ით), შემოსავალი კი 11 მლნ ლარით (30%-ით). IPTV მომსახურებას 2017 წლის ბოლო კვარტალში ძირითადად ორი ოპერატორი - სილქნეტი (49%) და მაგთიკომი (45.6%) აწვდიდა. 2017 წელს შემცირდა რადიოსიხშირული ტექნოლოგიის გამოყენებით მოსარგებლე მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტთა რაოდენობა და 90.3 ათასი შეადგინა.

IPTV აბონენტების განაწილება




რადიოსიხშირული აბონენტების განაწილება




2017 წელს, 2016 წლის მსგავსად, შემცირდა მაუწყებლობის ტრანზიტის კოაქსიალური ტექნოლოგიის გამოყენებით მიმღებ აბონენტთა რაოდენობა. 2017 წლის მეოთხე კვარტალში ამ ტექნოლოგიით სულ 40 ათასი აბონენტი სარგებლობდა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13 ათასი აბონენტით (25%-ით) ნაკლებია. ბაზარზე ძირითადი მოთამაშეები არიან საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია (CGC), TV ერა, ტვ კომი.

კოაქსიალური აბონენტების განაწილება



ინტერნეტ ტელევიზიის აბონენტების განაწილება




მაუწყებლობის ტრანზიტი ინტერნეტის საშუალებით. ამ მომსახურების აბონენტთა რაოდენობა შედარებით მცირეა - სულ 2.4 ათასი აბონენტი. ინტერნეტის საშუალებით მაუწყებლობის ტრანზიტი იგულისხმება შესაბამის ვებსაიტზე რეგისტრაციის და სააბონენტო გადასახადის შემთხვევაში ინტერნეტის საშუალებით სატელევიზიო არხების ყურების საშუალების მიღება. ამ მომსახურებას საქართველოში მხოლოდ სამი კომპანია - სს „სილქნეტი“ (silktv.ge-ს საშუალებით), შპს „აი თი დი სი“ (myvideo.ge-ს საშუალებით) და კტვ 1 (shoni-tv.ge-ს საშუალებით) ეწევა.



- უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება;
- მომხმარებელთა არასათანადო ინფორმირება;
- სატელეკომუნიკაციო მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე;
- სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების დაყოვნება ან/და დაუკმაყოფილებლობა;
- სააბონენტო ნომრის გასხვისება;
- სატელეკომუნიკაციო მომსახურების პაკეტების ცვლილება;
- მომსახურების შეზღუდვის/შენწყვეტის კანონიერება;
- საანძო მეურნეობების განთავსების/ექსპლოატაციაში შეყვანის შედეგად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში რადიაციული დასხივება;
- მედიის მავნე ზეგავლენა არასრულწლოვნებზე;
- პორტირების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები;
- სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე ფასების ზრდა;
- საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ განხილული სხვა საჩივრები.


2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოვიდა 283 საჩივარი/პრეტენზია. აქედან 114 არის წერილობითი, 169 - სატელეფონო საჩივარი/პრეტენზია.

2017 წელს საგრძნობლად იმატა მომხმარებელთა წერილობითი და ზეპირი განცხადებებით/საჩივრებით მომართვიანობამ. კერძოდ, თუკი 2016 წელს სამსახურმა განიხილა 208 საჩივარი, 2017 წელს განხილული წერილობითი/ზეპირი საჩივრების მაჩვენებელი შეადგენს 283 განაცხადს. აღნიშნული განპირობებულია უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ მომხმარებელთა ცნობიერების დონის კიდევ უფრო ამაღლებით, კერძოდ, 2017 წელს საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის საჩივრების სტატისტიკური მაჩვენებელი ჯერ კიდევ არ შეესაბამება სამომხმარებლო ბაზარზე არსებული

პრობლემების რეალურ მაჩვენებელს, რაც თავის მხრივ განპირობებულია წლების განმავლობაში მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით გასატარებული ღონისძიებების ნაკლებობითა და უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირებით. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რიგ შემთხვევებში მომხმარებელი მიმართავს საზოგადოებრივ დამცველს კონკრეტული პრობლემით, მაგრამ არ სურს საკუთარი თავის იდენტიფიცირება და წერილობითი საჩივრით/ განცხადებით მიმართვა, რის გამოც შეუძლებელი ხდება ამ კატეგორიის მომხმარებლის ინტერესების დაცვა.

საჩივრებით მიმართვიანობის გაზრდილი მაჩვენებელი

2017 წელს საგრძნობლად იმატა მომხმარებელთა განცხადებებით/საჩივრებით მიმართვიანობამ. კერძოდ, თუკი 2016 წელს სამსახურმა განიხილა 208 საჩივარი, 2017 წელს განხილული წერილობითი/ ბეპირი საჩივრების მაჩვენებელი შეადგენს 283 განაცხადს.



უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება

უხარისხო მომსახურებაზე საჩივრების ნაწილი მოდის როგორც მობილური, ასევე ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების შეწყვეტის ან წყვეტით მიწოდების შემთხვევებზე, ნაწილი კი - ინტერნეტ მომსახურების ხარვეზებით მიწოდებაზე და მაუწყებლობის ტრანზიტით მიწოდებისას გამოვლენილ ხარვეზებზე. ზოგადად, სატელეკომუნიკაციო მომსახურების ხარისხთან მიმართებით საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში ბოლო 4 წლის განმავლობაში შემოსული საჩივრების მნიშვნელოვანი წილი ეხება ინტერნეტ-მომსახურების ხარისხს, კერძოდ, ინტერნეტ-მომსახურების მიუწოდებლობას ან შეფერხებით, წყვეტით, დაბალი სიჩქარით მიწოდებას. აღსანიშნავია, რომ ამ კონკრეტული პრობლემის მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება (2014 წელი - 29 %; 2015 - 68 %; 2016 - 61 % და 2017 წელი - 69 %).

აღნიშნულ თემასთან მიმართებით უმრავლეს შემთხვევაში სამსახურში შემოსული იყო იმ მომხმარებელთა საჩივრები, რომელთა მიმართვამ მომსახურების მიწოდებულ კომპანიებში შედეგი არ გამოიღო. მომსახურების მიწოდებული კომპანიები აჭიანურებდნენ მომსახურების ხარვეზის აღმოფხვრას ან საერთოდ მომსახურების აღდგენის პროცესს, ამასთან, არ უზრუნველყოფდნენ აბონენტებს მომსახურების სრულად აღდგენისათვის საჭირო ზუსტი ვადების შესახებ ინფორმაციით. მხოლოდ საზოგადოებრივი დამცველის ჩარევის შედეგად დაჩქარდა მომხმარებლებისთვის გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა და მომხმარებლებისთვის მომსახურების დროულად აღდგენა.

სატელეკომუნიკაციო მომსახურების პირველადი ჩართვის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების დაყოვნება ან/და დაუკმაყოფილებლობა

სამსახურში შემოსულია არაერთი საჩივარი, რომელიც ეხება სხვადასხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიღების (პირველადი ჩართვის) შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს ან ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების დაყოვნებას. ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როცა ამა თუ იმ მომსახურების

მიღების მსურველი მიმართავდა მომსახურების მიმწოდებელ კომპანიას და მისთვის მომსახურების ჩართვის პროცესი დროში ჭიანურდებოდა ან ტექნიკური საშუალების არარსებობის საფუძველით უარს ღებულობდა.

საზოგადოებრივი დამცველის რეაგირების შედეგად უმრავლეს შემთხვევაში საკითხი მომხმარებლის სასარგებლოდ გადაწყდა. მიუხედავად აღნიშნულისა, პრობლემა კვლავ აქტუალური რჩება, ვინაიდან ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების მისაწოდებლად კომპანიებს თბილისის ცალკეულ უბნებში საკაბელო ინფრასტრუქტურა არ აქვთ განვითარებული ან/და კონკრეტულ უბანზე წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სერვის-პროვაიდერი კომპანია, რომელიც რიგ შემთხვევებში ტექნიკური საშუალებების არქონის გამო მომხმარებელთა განცხადებებს ვერ აკმაყოფილებდა.

სატელეკომუნიკაციო მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე

წინა წლების მსგავსად, 2017 წელს კვლავ აქტუალური იყო მომხმარებლებსა და მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს შორის დავა მომსახურებისათვის დარიცხული დავალიანების სისწორეზე. ხშირად სადავო დავალიანების შემთხვევები გამოწვეული იყო მომხმარებელთათვის მომსახურების პირობების შესახებ არასათანადო ინფორმაციის მიწოდებით ან ტექნიკური ხარვეზის გამო. შემთხვევათა უმეტესი ნაწილი, როცა მომხმარებელი პრეტენზიას აცხადებდა მომსახურების საფასურის არასწორი დარიცხვის თაობაზე, უკავშირდებოდა ახალ საბილინგე სისტემაზე გადასვლის პროცესში თანმდევ ტექნიკურ ხარვეზებს. იყო შემთხვევები, როდესაც სადავო დავალიანებაზე პრეტენზია ეფუძნებოდა გაუნეველ და მიუღებელ მომსახურებაზე კომპანიის მიერ საფასურის დარიცხვას. მთელ რიგ შემთხვევებში, საზოგადოებრივი დამცველის რეკომენდაციებისა და დასაბუთებული მოთხოვნების შედეგად, არასწორად დარიცხული ან გაუნეველ და მიუღებელ მომსახურებაზე დარიცხული საფასური გადაუანგარიშდა არაერთ აბონენტს.

სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ბაზრდოლი ტარიფები

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში 2017 წელს შემოსული საჩივრების გარკვეული რაოდენობა ეხება სატელეკომუნიკაციო ბაზარზე არსებული მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების მიმწოდებელი პროვაიდერების მიერ სატარიფო პაკეტების ფასის ცვლილებას.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს 2017 წლის ნოემბრიდან ხშირად მიმართავდნენ მომხმარებლები და გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას საკაბელო ტელევიზიების მხრიდან სააბონენტო გადასახადის მოსალოდნელი გაზრდის თაობაზე, რაც გამოწვეული იყო შპს „მედია რაითს ჯორჯიას“ მიერ ქართული ტელეარხების სიგნალის გავრცელებისთვის, საკაბელო ოპერატორებისათვის შეთავაზებულ ქართული არხების სრულ პაკეტში მოთხოვნილი გადასახადით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახურს მომართეს საკაბელო ოპერატორებმა და დააფიქსირეს გაზრდილი სააბონენტო გადასახადის გამო სოციალურად დაუცველ და პენსიონერ მომხმარებელთა წრის მიერ გამოთქმული პრეტენზიები.

ზემოხსენებულ პრობლემურ საკითხთან მიმართებით, დამცველმა შპს „მედია რაითს ჯორჯიას“ მიმართა რეკომენდაციით, მხედველობაში მიეღოთ მომხმარებელთა კანონიერი ინტერესები და საკაბელო ოპერატორებთან გასაფომებელი ხელშეკრულების ძირითად პირობებში გაეთვალისწინებინათ ქართული ტელეარხების („რუსთავი 2“, „იმედი“, „მანსტრო“, „ჯი-დი-ეს“-ი, „მარაო“ და „კომედი არხი“) დაყოფის შესაძლებლობა, იმგვარად, რომ მომხმარებლებს მიცემოდათ მათთვის საინტერესო სამაუწყებლო არხების თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა, ამასთან, შეთავაზებული სამაუწყებლო პაკეტის ღირებულება გაუმართლებლად არ გაიზარდილიყო.

როუმინგული მომსახურებისას გამოვლენილი ხარვეზები

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში 2014 წლიდან დღემდე შემოსული და განხილული საჩივრების თემატიკა ყოველთვის იყო მრავალფეროვანი, თუმცა 2017 წლამდე არცერთ შემთხვევაში მობილური მომსახურების მომხმარებლების მხრიდან არ დაფიქსირებულა რაიმე სახის პრეტენზია/საჩივარი როუმინგული მომსახურების მიღების პროცესში წარმოშობილ პრობლემებთან მიმართებით.

2017 წელს პირველად მიმართა მომხმარებელმა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს საჩივრით, რომლითაც პრეტენზიას გამოთქვამდა როუმინგული მომსახურების მიღებისას გახარჯული მომსახურების მოცულობის სიზუსტესა და დარიცხული დავალიანების სისწორესთან მიმართებით. აღნიშნულ საკითხზე

საზოგადოებრივი დამცველის რეაგირების შედეგად მობილური კომპანიის მიერ გამოყენებულ იქნა საკომპენსაციო მექანიზმი და აბონენტს ჩამოეწერა უსაფუძვლოდ დარიცხული დავალიანება.

საანძო მეურნეობების განთავსების/მუსკლოატაციაში შეყვანის შედეგად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში რადიაციული დასახიზება

2017 წელს მომხმარებელთა მხრიდან შემოსული საჩივრებისა და სატელეფონო პრეტენზიების გარკვეული რაოდენობა ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების მიერ საცხოვრებელ კორპუსებთან ახლოს განთავსებული მაღალსიხშირული საანძო მეურნეობების, სარელეო ანძების ფუნქციონირებასა და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შესაძლო საშიშ დასახივებას ეხება.

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გარემოს დაცვის სფეროში მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. შესაბამისად, საზოგადოებრივი დამცველის მიერ კომპანიებისგან გამოთხოვილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია კანონმდებლობით განსაზღვრული რეაგირების უზრუნველსაყოფად ეგზავნებოდა სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოს“, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენდა თითოეულ საჩივარში დასმული საკითხის შესწავლასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. აღსანიშნავია, რომ ელექტრომაგნიტური ველის ენერჯის ნაკადის სიმკვრივის გაზომვის შედეგად არცერთ შემთხვევაში გაზომვის სიდიდემ არ გადააჭარბა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის N297/ნ ბრძანებით (გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ) გათვალისწინებულ ნორმებს (10 მკვტ/სმ²).

მომსახურების შეზღუდვის/შენწყვეტის კანონიერება

სამსახურში შემოსულ საჩივართა უმრავლესობა წარმოდგენილი იყო მომსახურების უსაფუძვლო შეზღუდვის/შენწყვეტის თაობაზე. საზოგადოებრივი დამცველის ჩარევის შედეგად, მსგავსი თემატიკის საჩივრების უმრავლესობა, პროვაიდერი კომპანიებისთვის განუვლი რეკომენდაციების საფუძველზე, მომხმარებლების სასარგებლოდ გადაწყდა და მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიერ მოხდა შეზღუდული/შენწყვეტილი მომსახურების აღდგენა. უმრავლეს შემთხვევაში მომხმარებლისთვის მომსახურება შეწყვეტილი იყო „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტით დადგენილი ვადებისა და პირობების დარღვევით.

სააბონენტო ნომრის ბასხვისება

2017 წელს დამცველის სამსახურში შემოსული საჩივრები ეხებოდა მობილური მომსახურების მიმწოდებელი პროვაიდერი კომპანიების მიერ აბონენტების სარგებლობაში არსებულ და შემდგომში ჩამორთმეული სააბონენტო ნომრების გასხვისების კანონიერებას. აღნიშნულ საკითხებზე სამსახურის რეაგირების ფორმები მოიცავდა, როგორც დამცველის მიმართვის საფუძველზე კომისიის მიერ ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომხმარებლის საჩივრის განხილვას და გადაწყვეტას, ასევე, პრობლემური საკითხის მოგვარება ხდებოდა უშუალოდ დამცველის სამსახურის რეაგირების საფუძველზე.

მაგალითად, ერთ-ერთი შემთხვევის დროს საზოგადოებრივი დამცველს შპს „ჯეოსელის“ წინააღმდეგ საჩივრით მიმართა კომპანიის აბონენტმა ლ.ი.მ. მომხმარებელი სადავოს ხდიდა მის სარგებლობაში არსებული სააბონენტო ნომრის ჩამორთმევის კანონიერებასა და მომსახურების შეზღუდვისა და შეწყვეტის შესახებ წინასწარი ინფორმირების ვალდებულების დაუცველობას კომპანიის მხრიდან.

საზოგადოებრივი დამცველის რეაგირების საფუძველზე შპს „ჯეოსელმა“ მხედველობაში მიიღო მომხმარებლის კანონიერი ინტერესი და მისი დარღვეული უფლებების აღდგენის უზრუნველსაყოფად აბონენტს დაუბრუნა მის სარგებლობაში არსებული და შემდგომში ჩამორთმეული სააბონენტო ნომერი.

მომხმარებელთა არასათანადო ინფორმირება

წინა წლის მსგავსად, 2017 წელსაც განსაკუთრებული აქტუალობით წარმოჩინდა საზოგადოების, როგორც სატელეკომუნიკაციო დარგის მომხმარებელთა არასათანადო ინფორმირების პრობლემა. მიმდინარე წელს აღნიშნულ საკითხზე მნიშვნელოვნად იმატა მოქალაქეთა მხრიდან მომართვიანობის მაჩვენებელმა. სამსახურში შემოსულ საჩივართა უმრავლესობა სხვა საკითხებთან ერთად ასევე ეხება მომსახურების პირობების შესახებ ინფორმაციის ხელმიუწვდომლობას ან მომსახურების

მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისთვის უზუსტო, არასწორი და ბუნდოვანი ინფორმაციის მიწოდებას. საზოგადოებრივი დამცველის სამსახური აგრძელებს სხვადასხვა ზომების მიღებას მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, სამსახური კონსულტაციებს უწევს მომხმარებლებს მათი უფლებების შესახებ, ხოლო მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს - მათი ვალდებულებების თაობაზე, ახორციელებს საინფორმაციო კამპანიებს, აწყობს სამუშაო შეხვედრებს, რეკომენდაციებით მიმართავს შესაბამის ორგანიზაციებს სატელეკომუნიკაციო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ, ავრცელებს საინფორმაციო ბროშურებს, აქტიურად თანამშრომლობს მედიის წარმომადგენლებთან და სხვ. ასევე სამსახური პერმანენტულად მიმართავს მომსახურების მიმწოდებლებს და მოითხოვს მათგან აბონენტებისთვის და პოტენციური მომხმარებლებისთვის ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებას.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ განხილული სხვა საჩივრები

2017 წელს საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოსული საჩივრები ასევე ეხება უხარისხო მაუწყებლობის ტრანზიტივ მომსახურებას და რეგიონებში მაუწყებლობის უხარისხო ან/და ხარვეზებით მიწოდებას. საზოგადოებრივი დამცველის ჩარევის შემდეგ საჩივრების უმრავლესობა დაკმაყოფილდა.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოსულია ასევე ნომრის პორტირებასთან დაკავშირებული საჩივრები. სამსახურის მიერ მიღებული ზომებისა და სათანადო განმარტებების შემდგომ მომხმარებლებს პრეტენზია არ ჰქონიათ.

ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, მოქალაქეების ა. არგანაშვილისა და ნ. გოჩიაშვილის საჩივარზე²³ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული იყო საზოგადოებრივი დამცველი. საჩივრის თანახმად, ქართულ ინტერნეტ სივრცეში (www.marketer.ge და www.vtube.ge) განთავსებულ ვიდეო რგოლში - „სანტას თოვლის ბაბუამ წაასწრო!-ბოლო გოზინაყი“ ნაჩვენებია სასტიკი ძალადობის სცენა. კერძოდ, თოვლის პაპა კლავს სანტა კლაუსს, გარდაცვლილის გვამი მოთავსებულია აბაზანაში და ზედ ასხამს მუავას იმ მიზნით, რომ გაანადგუროს გვამი და დამალოს დანაშაულის კვალი. სანტა კლაუსის მოკვლის სასტიკ სცენას უყურებს ბავშვი (დაახლოებით 5-6 წლის), რომელიც კიდეც საჩუქრებს ხელს და შეშინებული სახით გადის აბაზანიდან. ვიდეო რგოლი სრულდება სისხლით გაკეთებული წარწერით, რომ ახალ წელს გვილოცავს კომპანია New Studio. საჩივრის ავტორთა განმარტებით, www.vtube.ge-ზე განთავსებულ ვიდეო რგოლზე საერთოდ არ არის მინიშნება, ხოლო www.marketer.ge-ზე განთავსებული ვიდეო რგოლის გვერდით მითითებული წინადადება (რომ ვიდეო რგოლის ნახვა არ არის რეკომენდირებული არასრულწლოვანთათვის) არასაკმარისია იმისთვის, რომ მშობელმა მოახდინოს ეფექტური გაკონტროლება. საჭიროა გამაფრთხილებელი ნიშანი მითითებული იყოს თავად ვიდეოზე. მან აღნიშნა, რომ საჩივრის მიზანს წარმოადგენს, რომ ბავშვების უფლებები არ დაირღვეს, არ ნახონ მათთვის დამაზიანებელი პროდუქცია და ამ ყველაფრის ეფექტური გაკონტროლების საშუალება ჰქონდეს მშობელს.

საჩივრის თანახმად, სადავო ვიდეო რგოლში აღწერილი ძალადობრივი სცენა ბავშვისთვის (როგორც მონაწილე, ისე მაყურებელი) არის მატრამპირებული და შეიცავს ძალადობრივ გზავნილებს, რაც დამაზიანებლად აისახება არასრულწლოვნებზე. საჩივრის ავტორებმა კომისიისგან მოითხოვეს, რომ კომისიამ იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება ინტერნეტ სივრციდან სადავო ვიდეო რგოლის მოხსნის ან სხვა ღონისძიების შესახებ.

ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ წარმომადგენლებმა შემდგომში კომისიის სხდომაზე დაამხსტეს მოთხოვნა და მოითხოვეს სადავო ვიდეო რგოლზე ისეთი ნიშანდების უზრუნველყოფა, რომელიც მიუთითებს, რომ ვიდეოს ნახვა არ არის მიზანშეწონილი არასრულწლოვნებისათვის.

აღნიშნული საქმის განხილვის პროცესში კომისიას წარედგინა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული მიმართვის თანახმად, შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა ევროპის განვითარებულ ქვეყნებში (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, შვედეთი, ფინეთი) საკანონმდებლო კუთხით ონლაინ კონტენტის რეგულირება, რომელიც ორ ასპექტს მოიცავს:

- 1) უკანონო კონტენტის ზოგადი აკრძალვა;
- 2) ბავშვებისთვის შეუფერებელი კონტენტის შეზღუდვა განსაზღვრულ ასაკობრივ ზღვრამდე.

²³ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება N193/12, 23 მარტი, 2017

საზოგადოებრივი დამცველის შეფასებით, სადავო ვიდეო რგოლი ცალსახად არ ექცევა რეგლამენტის მე-3 მუხლის 3)2 ქვეპუნქტით განსაზღვრული „დაუშვებელი პროდუქციის“ ცნებაში, რასაც უნდა ჰქონოდა სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი შინაარსი. შესაბამისად, საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რეგლამენტის 102 მუხლის ა) ქვეპუნქტების თანახმად, www.marketer.ge-სა და www.vtube.ge-ს დაევალოს მათ ინტერნეტ გვერდებზე განთავსებულ სადავო ვიდეო რგოლს სათანადო ფორმით დაერთოს შესაბამისი ინფორმაცია მისი შინაარსისა და შემცველობის თაობაზე, ხოლო .GE დომენის გამცემს დაევალოს აღნიშნული ვალდებულების შესრულების კონტროლი, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში, სათანადო ზომების მისაღებად მიმართოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

ვინაიდან, რეგლამენტის 25-ე მუხლის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შეზღუდული დაშვების მექანიზმები სრულწლოვანისათვის განკუთვნილ მომსახურებაზე (მე-4 პუნქტის ვ) ქვეპუნქტი); ასევე, მიიღოს ზომები მომხმარებელთა დასაცავად მომსახურებით გამოწვეული ნებისმიერი შესაძლო რისკისაგან და, მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს მომხმარებელი საფილტრო პროგრამით (მე-4 პუნქტის ი) ქვეპუნქტი), საზოგადოებრივი დამცველი იძლევა რეკომენდაციას, რათა დაინტერესებულმა პირებმა იხელმძღვანელონ აღნიშნული დებულებებით, ასევე, რეგლამენტის 107 მუხლის მე-3 პუნქტით, რომელიც განსაზღვრავს ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებას, მიიღოს შესაბამისი ზომები, რომ მომხმარებელმა შეძლოს არასრულწლოვანთა ეფექტური გაკონტროლება ან დაანესოს შეზღუდული დაშვება იმ ინტერნეტ-გვერდებზე, რომლებიც შეიცავენ სრულწლოვან მომხმარებელზე გათვლილ პროდუქციას (107 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი). შესაბამისად, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია სერვის პროვაიდერისგან მოითხოვოს საფილტრო პროგრამით უზრუნველყოფა ან კონკრეტულ ინტერნეტ გვერდებზე შეზღუდული დაშვება.

გემოაღნიშნულ პრეცედენტულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში კომისიამ აღნიშნა, რომ სადავო ვიდეო რგოლი არ არის სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, ასევე აღნიშნული პროდუქციის ფორმა და შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონს, შესაბამისად, აღნიშნული პროდუქცია არ წარმოადგენს დაუშვებელ პროდუქციას „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის 3)2 ქვეპუნქტის შესაბამისად. აღნიშნულის საფუძველზე, შპს „კავკასუს ონლაინის“, როგორც .ge დომენის გამცემის ვალდებულება არ არის სახეზე, ვინაიდან დომენის გამცემი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები დაუშვებელი პროდუქციის განთავსებისას.

კომისიამ ასევე აღნიშნა, რომ როდესაც სახეზეა ინტერნეტ სივრცეში განთავსებული დაუშვებელი პროდუქცია, კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთი პროდუქციის ამოღებას ინტერნეტ სივრციდან. დაუშვებელი პროდუქციის შემთხვევაში კანონი არ ითვალისწინებს პროდუქტზე რაიმე ნიშანდებას ან გაფრთხილებას. ამ შემთხვევაში საგულისხმო იყო, საჩივრის ავტორთა მიერ დაბუსტებული მოთხოვნა, რომლის თანახმად, ითხოვდნენ ვიდეოზე ნიშანდებას. აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად კი უთითებდნენ „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტის“ 107 მუხლს. რეგლამენტის 107 მუხლთან დაკავშირებით, კომისია განმარტავს, რომ იგი ადგენს რეგულაციას იმ შემთხვევისათვის, როდესაც ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების თაობაზე ხელშეკრულება ფორმდება არასრულწლოვანისთვის მომსახურების მისაწოდებლად. აღნიშნული მუხლის თანახმად, არასრულწლოვანებისთვის მომსახურების მიწოდება ხორციელდება წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მომსახურების მიმწოდებელი პირები, ამ შემთხვევაში ინტერნეტ ოპერატორები ხელშეკრულებას აფორმებენ არასრულწლოვანის მშობელთან (კანონიერ წარმომადგენელთან). აღნიშნული მუხლით განსაზღვრულია, თუ როგორი პროდუქციის მიწოდება არის დაუშვებელი იმ მომხმარებლისთვის, რომლისთვის მიწოდებული მომსახურების მიმღებიც არის არასრულწლოვანი და ამ მუხლის მესამე პუნქტში განსაზღვრულია ის ვალდებულებები, რაც აკისრია მომსახურების მიმწოდებელს არასრულწლოვანისათვის მომსახურების მიწოდების დროს, კერძოდ: ა) უზრუნველყოს, რომ სრულწლოვანებზე გათვლილ მასალას ჰქონდეს შესაბამისი გაფრთხილება, რაც მომხმარებელს თავიდან აცნობს აღნიშნული პროდუქციის შინაარსისა და შემცველობის თაობაზე; ბ) მიიღოს შესაბამისი ზომები, რომ მომხმარებელმა შეძლოს არასრულწლოვანთა ეფექტური გაკონტროლება ან დაანესოს შეზღუდული დაშვება იმ ინტერნეტ-გვერდებზე, რომლებიც შეიცავენ სრულწლოვან მომხმარებელზე გათვლილ პროდუქციას. ასევე, გემოაღნიშნული მუხლი შეეხება მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) ინფორმირებას და შესაძლებლობის მიცემას არასრულწლოვანების გაკონტროლების თვალსაზრისით.

ყოველივე გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ მითითებულ საქმეზე აღნიშნა, რომ კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებით მიღებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში

მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი“ არ ითვალისწინებს ინტერნეტში განთავსებულ ვიდეო რგოლებზე ნიშანდების უზრუნველყოფის შესაძლებლობას, შესაბამისად, ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, მოქალაქე ა. არგანაშვილისა და მოქალაქე ნ. გოჩიაშვილის საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.


საჩივრების სტატისტიკა და რეაგირების შედეგები

თემატიკა	რაოდენობა
უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	75
მომხმარებელთა არასათანადო ინფორმირება	26
მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე	24
მომსახურების პირველადი მინოდების დაყოვნება ან/და დაუკმაყოფილებლობა	20
სააბონენტო ნომრის გასხვისება	11
სატელეკომუნიკაციო მომსახურების პაკეტების ცვლილება	10
სატელეკომუნიკაციო მომსახურების შეწყვეტა	9
საანძო მეურნეობა	8
სპამი	7
მედიის მავნე ზეგავლენა არასრულწლოვნებზე	6
პორტირება	5
ციფრული მუწყებლობა	4
ინტერნეტ მომსახურებაზე ფასების ზრდა	4
სხვა	94

2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში სულ შემოვიდა 283 საჩივარი. აქედან 114 არის წერილობითი, ხოლო 169 - სატელეფონო საჩივარი.

საჩივრების დიდ ნაწილს, კერძოდ, 75 საჩივარი შეეხებოდა უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურებას, 26 საჩივარი დაფიქსირდა კომპანიების მიერ აბონენტებისთვის არასათანადო ინფორმირების შესახებ, 24 საჩივარი კი - სატელეკომუნიკაციო მომსახურების დარიცხვის სისწორეს ეხება, 20 საჩივარი წარმოდგენილი იქნა სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების დაყოვნების ან/და დაუკმაყოფილებლობის თაობაზე; სააბონენტო ნომრის გასხვისებას ეხება 11 საჩივარი, სატელეკომუნიკაციო მომსახურების პაკეტების ცვლილების საკითხზე შემოვიდა 10 საჩივარი; სატელეკომუნიკაციო მომსახურების შეწყვეტის თაობაზე მიმართეს 9 საჩივრით; საანძო მეურნეობა - 8, ხოლო ე.წ. „სპამთან“ დაკავშირებულ საკითხებზე - 7 საჩივარი; მედიის მავნე ზეგავლენა არასრულწლოვნებზე - 6 საჩივარი; პორტირების თემაზე შემოსულ იქნა 5 საჩივარი, ციფრულ მუწყებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებს შეეხებოდა 4 საჩივარი; ინტერნეტ პაკეტებაზე ფასების ზრდას - 4; სხვადასხვა საკითხებზე - 94 საჩივარი.


საჩივრების სტატისტიკა პროვაიდერი კომპანიების მიხედვით



საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის რეაგირების შედეგები

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოსული 283 საჩივრიდან დაკმაყოფილდა 271 საჩივარი (აქედან სრულად დაკმაყოფილდა 249, ხოლო 22 ნაწილობრივ). დარღვევა არ დადასტურდა 12 საჩივარზე.

სამსახურის მიერ განხილული 283 საჩივრიდან დაკმაყოფილდა 271 საჩივარი (96%) (აქედან სრულად დაკმაყოფილდა 249, ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 22)



საზოგადოებრივი დამცველის რეაგირების საფუძველზე კომისიის მიერ განხილული საჩივრები

ფიზიკურ პირ კ.კალაძის საჩივარი შპს „მაგთიკომის“ წინააღმდეგ

აღნიშნულ საქმეში აბონენტი სადავოს ხდიდა მის სარგებლობაში არსებული სააბონენტო ნომრის ჩამორთმევის კანონიერებასა და მომსახურების შეზღუდვისა და შეწყვეტის შესახებ წინასწარი ინფორმირების ვალდებულების დაუცველობას კომპანიის მხრიდან. აგრეთვე, მომსახურების მიწოდების პროცესში წერილობითი ხელშეკრულების არ არსებობას, რის გამოც არ ჰქონდა სათანადო ინფორმაცია მომსახურების პირობების შესახებ, ასევე, ამ პირობების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

ვინაიდან მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია მომხმარებელს ინდივიდუალური შეტყობინებით მიაწოდოს ინფორმაცია, მომსახურების შეზღუდვის ან/და მომსახურების მიწოდებლის ინიციატივით

მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე. აგრეთვე, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარ აბონენტს დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მიანოდოს მომსახურება სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საზოგადოებრივმა დამცველმა მიიჩნია, რომ კომპანიის მხრიდან აღნიშნულ საქმეზე იკვეთებოდა მითითებული ვალდებულებების დარღვევის ფაქტები.

ფიზიკური პირის - კ. კალაძის საჩივრისა და საზოგადოებრივი დამცველის მიმართვის საფუძველზე შპს „მაგთიკომის“ წინააღმდეგ კომისიის მიერ დაწყებული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა, რადგან მხარეებს შორის დავა მორიგებით დასრულდა, კერძოდ, კომპანიამ აბონენტს დაუბრუნა მის სარგებლობაში არსებული და შემდგომში ჩამორთმეული სააბონენტო ნომერი.

ფიზიკურ პირ გ. ცერცვაძის საჩივარი შპს „მობიტელის“ წინააღმდეგ

ფიზიკური პირის გ. ცერცვაძის საჩივრისა და ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენის თამთა ტეფნაძის მიმართვის საფუძველზე, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში შპს „მობიტელის“ წინააღმდეგ დაწყებული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გ. ცერცვაძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. საქმე ეხებოდა სამომხმარებლო პაკეტით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში სატელეკომუნიკაციო მომსახურების საფასურის არასწორად დარიცხვასა და კომპანიის მხრიდან აბონენტის არასათანადო ინფორმირებას, კერძოდ კომპანიის ოპერატორის მიერ მომსახურების პირობებზე მომხმარებლისთვის უზუსტო და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდებას. ასევე, კომპანიის ცხელი ხაზის გაუმართაობას.

კომუნიკაციების ომბუდსმენის რეაგირების საფუძველზე განხილული დავის შედეგად, კომისიის გადაწყვეტილებით შპს „მობიტელს“ დაევალა 2017 წლის პირველ ივლისამდე მობილური სატელეფონო მომსახურების პაკეტების პირობებში მომხმარებლებისთვის პირდაპირ მიეთითებინა ინფორმაცია დამატებული ღირებულების მომსახურებისთვის განკუთვნილი ნომრების შესახებ, რომლებზეც არ ვრცელდება ამ მომსახურების პაკეტებით გათვალისწინებული სასაუბრო წუთები, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

დამცველის სამსახურის მიერ შემოსენებული საკითხების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიის მხრიდან არ მომხდარა აბონენტის წინასწარი ინფორმირება სამომხმარებლო პაკეტით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში განსაზღვრულ პირობებზე სპეციალური დანიშნულების და ფასიან ნომრებთან მიმართებით. ასევე, აღნიშნული პროდუქტის შესახებ შპს „მობიტელის“ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არ მოიცავდა დეფინიციას ფასიანი და სპეციალური დანიშნულების ნომრების თაობაზე. აბონენტი არ იყო ინფორმებული აღნიშნულის შესახებ არც სააბონენტო ხელშეკრულებით, რის საფუძველზეც, საზოგადოებრივმა დამცველმა მიიჩნია, რომ კომპანიის მხრიდან აღნიშნულ საქმეზე იკვეთებოდა მითითებული ვალდებულებების დარღვევის ფაქტები.

ფიზიკურ პირ რ. ცხვედიანის საჩივარი შპს „ჯეოსელს“ წინააღმდეგ

დავა ეხებოდა აბონენტის სარგებლობაში არსებულ შპს „ჯეოსელის“ მობილურ სატელეფონო ნომერზე კომპანიის „მეტი ულიმიტო“ პაკეტით სარგებლობის პირობებში (პირობების შესაბამისად, მომხმარებელს ტექსტური შეტყობინება უნდა გაეგზავნა უფასოდ), მომხმარებლის მიერ მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის შემდგომ, მობილურ სატელეფონო ნომერზე დავალიანების წარმოშობის შედეგად, მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდების შეზღუდვას.

საზოგადოებრივი დამცველის მიმართვის საფუძველზე, კომისიის მიერ დაწყებული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მომხმარებლის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

შპს „ჯეოსელს“ მიეცა გაფრთხილება და კომპანიას დაევალა 2018 წლის პირველ იანვრამდე „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის შესაბამისად, მომხმარებლებისთვის მათ სარგებლობაში არსებული სააბონენტო ნომრის ანგარიშზე არსებული თანხის მოსალოდნელი ამონურვისა და მომსახურების მოსალოდნელი შეზღუდვის თაობაზე ინდივიდუალური შეტყობინებით წინასწარ, მომსახურების შეზღუდვამდე/ბალანსის ამონურვამდე ინფორმირების უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემის დანერგვა, მიუხედავად გადახდის სისტემისა.

2017 წელს განხორციელებული ანალიტიკური სამუშაოები

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით საზოგადოებრივი დამცველისათვის განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, საზოგადოებრივი დამცველის სისტემატიურად მონაწილეობის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იმ ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს სატელეკომუნიკაციო დარგის მომხმარებელთა უფლებებზე და კანონიერ ინტერესებზე.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახური საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობის პროცესში მხედველობაში იღებს, როგორც გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს, აგრეთვე ევროკავშირის დირექტივებს, ითვალისწინებს უცხო ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებასა და პრაქტიკაში დანერგილ თანამედროვე მიდგომებს.

დისტანციური ბარიერების შესახებ ცვლილებები „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტში

2017 წელს კომისიაში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის ცვლილებების პროექტი მომხმარებლისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებაზე დისტანციური გარიგების დადების შესახებ. აღნიშნული ცვლილებების მომზადების პროცესში აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივი დამცველის სამსახური. მანამდე, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებაზე გარიგების დადება მხოლოდ წერილობითი ფორმით იყო შესაძლებელი.

ინტერნეტ მომსახურების ხარისხის კონტროლი

სხვადასხვა წლებში საზოგადოებრივი დამცველი წლიურ ანგარიშებში მუდმივად მიუთითებდა მომხმარებელთათვის ძრითად გამოწვევაზე, რომ მოქმედი კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული ინტერნეტ-მომსახურების ხარისხის მაჩვენებლები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა მომხმარებლისთვის მიწოდებული ინტერნეტ-მომსახურების ხარისხის მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის სათანადო წესით შეთანხმებული მომსახურების მიწოდების პირობებით განსაზღვრული ინტერნეტ-მომსახურების ხარისხთან შესაბამისობის დადგენა. მოქმედი კანონმდებლობით ასევე არ იყო განსაზღვრული ამ შესაბამისობის შემოწმების მეთოდოლოგიური წესები, ასევე, საბითუმო და საცალო ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებელთა უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს ბოლო მომხმარებლისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი მექანიზმის არსებობას.

შესაბამისად, სატელეკომუნიკაციო ბაზარზე გამოკვეთილი ხარვეზების და გამოწვევების ანალიზისას, საზოგადოებრივი დამცველი ყოველთვის მიუთითებდა, რომ ბოლო მომხმარებლებისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია დადგინდეს წესები, რომლებითაც განისაზღვრება ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხარისხის მაჩვენებლები, მათი შემოწმების მეთოდოლოგიური წესები და ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების სათანადო ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საბითუმო და საცალო ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებელთა უფლებები და ვალდებულებები.

2017 წელს კომისიის მიერ ინტერნეტის მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობით განახორციელა ანალიტიკური საქმიანობა, რის საფუძველზეც შემუშავებული იქნა „ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების პროექტი.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში ბოლო 4 წლის განმავლობაში შემოსული საჩივრების მნიშვნელოვანი წილი ეხებოდა ინტერნეტ-მომსახურების ხარისხს, კერძოდ, ინტერნეტ-მომსახურების მიწოდებლობას ან შეფერხებით, წყვეთით, დაბალი სიჩქარით მიწოდებას (2014 წელი - 29 %; 2015 - 68 %; 2016 - 61 % და 2017 წელი - 69 %).

უსაფრთხო ინტერნეტი ბავშვებისათვის

2017 წელს განსაკუთრებული აქტუალობით გამოიკვეთა უსაფრთხო ინტერნეტის როლი და მნიშვნელობა მოზარდების სწორი ფსიქოლოგიური და ფიზიკური განვითარების თვალსაზრისით. მედია საშუალებების მხრიდან გაშუქდა არაერთი შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვნების მხრიდან

ადგილი ჰქონდა ჯანმრთელობის თვითდაზიანების ფაქტებს, რასაც უკავშირებდნენ გარკვეულ სახიფათო ონლაინ თამაშებს. შედეგად, საზოგადოების გარკვეული სეგმენტი აქტიურად ამახვილებდა ყურადღებას არსებული რეგულაციების დახვეწის აუცილებლობაზე გამოხატვის თავისუფლების პრინციპთან შესაბამისობით.

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით შექმნილ სამუშაო ჯგუფში - „უსაფრთხო ინტერნეტი ბავშვებისათვის“ - აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივი დამცველის სამსახური. აღნიშნული კანონპროექტი მიზნად ისახავს მშობლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას უსაფრთხო ინტერნეტით სარგებლობასთან დაკავშირებით და, მოზარდთა ინტერესების დაცვის მიზნით, უკვე შემუშავებული და არსებული მექანიზმების თაობაზე ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიებს მხრიდან მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დაწესებას. მომზადებული კანონპროექტი ამჟამად გადის საბოლოო ექსპერტიზას.

საქველმოქმედო ზარების განხორციელებაზე საქართველოში არსებული პრაქტიკის ანალიზი და დამცველის რეკომენდაცია მობილურ მომსახურებაზე ავტორიზებულ პირებს

საქველმოქმედო ზარების განხორციელებაზე საქართველოში არსებული პრაქტიკის შესწავლის საკითხი სხვა აქტივობებთან ერთად გათვალისწინებული იყო საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის 2017 წლის სამოქმედო გეგმით.

საზოგადოებრივი დამცველი დაინტერესდა როგორ და რა სამართლებრივი საფუძვლით ანაწილებენ კომპანიები საქველმოქმედო ნომრებზე განხორციელებული თითოეული ზარის ღირებულებას; როგორ ხდება ერთი ზარის/სმს-ის ღირებულების ფასწარმოქმნა და რამდენად ხარჯზე ორიენტირებულია მობილური ოპერატორების მიერ საქველმოქმედო ზარების მომსახურებაზე დადგენილი საფასური. საზოგადოებრივი დამცველი ასევე დაინტერესდა საქველმოქმედო მიზნით მოძიებულ თანხებს რა შემთხვევაში და რა სამართლებრივ საფუძველზე მითითებით მიმართავს სრულად თითოეული მობილური კომპანია საქველმოქმედო ფონდის ანგარიშზე საგამონაკლისო წესით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კერძოდ, თითოეულ ზარზე/სმს-ზე შემოსულ სრულ თანხას დღგ-სა და აქციზის გადასახადის გარეშე; უზრუნველყოფენ თუ არა კომპანიები ფონდების მიერ საქველმოქმედო მიზნით მოძიებული თანხების მიზნობრივ განკარგვაზე მონიტორინგს და ამ თვალსაზრისით რა პროცედურები აქვთ შემუშავებული.

საზოგადოებრივი დამცველის ინიციატივით აღნიშნული საკითხით დაინტერესდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელმაც თავის მხრივ დეტალურად შეისწავლა კომპანიების მხრიდან მომსახურებაზე დადგენილი საფასურის ხარჯზე ორიენტირებულობის საკითხი და კომპანიებისგან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოავლინა კონკრეტული შეუსაბამობები. შედეგად დადგინდა, რომ საქველმოქმედო ზარების მომსახურებაზე განეული დანახარჯები დღგ-სა და აქციზის გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს: მობილურ ქსელში - 10 თეთრს ფიქსირებულ ქსელში - 5 თეთრს. დღეს არსებული პრაქტიკის თანახმად, მითითებულ მოცემულობას ბევრად აღემატება კომპანიების მიერ საქველმოქმედო ზარების მომსახურებაზე მიღებული შემოსავლები, რის თაობაზეც ინფორმაციას არ ფლობენ თავად ზარის განმხორციელებელი მომხმარებლები. უნდა აღინიშნოს, რომ საქველმოქმედო მიზნით ზარის წამოწყებისას მომხმარებელთა უდიდეს უმრავლესობას აქვს მოლოდინი, რომ ზარის ღირებულების საფასური (1 ლარი) სრულად ერიცხება ბენეფიციარს.

გემოაღნიშნული ვითარების შესწავლის შედეგად, როგორც საზოგადოებრივი დამცველის მხრიდან, ასევე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ სატელეკომუნიკაციო კომპანიებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ საქველმოქმედო ზარების მომსახურებაზე მიღებული შემოსავალი არ აღემატებოდეს მობილურ ქსელში - 10 თეთრს ფიქსირებულ ქსელში - 5 თეთრს.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის გემოაღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით ავტორიზებული პირების მიერ შესაბამისი ქმედების განხორციელებას დღემდე არ ქონია ადგილი.

ავტორიზებული პირების ვებ-გვერდების ფუნქციონირების მონიტორინგი და დამცველის რეკომენდაცია 147 კომპანიას

2017 წელს ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენის ინიციატივით საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა დაამონიტორინგა ინტერნეტ მომსახურებაზე ავტორიზებულ პირთა მხრიდან რეგლამენტით

გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების საკითხი; კერძოდ, 173 კომპანიას ეთხოვა სამსახურისათვის წარმოდგინა შესაბამისი ინფორმაცია კომპანიების ვებ-გვერდების გამართულად მუშაობის შესახებ, ვინაიდან, ზემოაღნიშნული რეგლამენტის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარ ვებ-გვერდზე ინტერნეტში განათავსოს ინფორმაცია მომხმარებლებისთვის შეთავაზებული მომსახურების პირობების, მათ შორის, მომსახურების პაკეტების და მომსახურების ტარიფების თაობაზე, ასევე ინფორმაცია მომსახურების მიღების, შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობებისა და მომსახურების პაკეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ვებ-გვერდების ფუნქციონირებას უზრუნველყოფს 54 ავტორიზებული პირი, მათგან 12 კომპანიის ვებ გვერდზე განთავსებულია სააბონენტო ხელშეკრულების ფორმები, ხოლო, 42 კომპანიის ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია კომპანიის შესახებ, ასევე მომხმარებელთათვის შეთავაზებული პროდუქტის აღწერილობა და ფასები. 13 კომპანიის ვებ გვერდი მომზადების პროცესშია. ოთხმა კომპანიამ დაადასტურა, რომ მათ არ გააჩნიათ ვებ-გვერდი. ამ უკანასკნელთა არგუმენტს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ დღევანდელი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით ვერ უძლებენ კონკურენციას, ვინაიდან მათი აბონენტების რაოდენობა მცირერიცხოვანია და უსახსრობის გამო ვერ უზრუნველყოფენ ვებ გვერდების შექმნასა და ფუნქციონირებას. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით საზოგადოებრივი დამცველის წერილობითი რეკომენდაცია და გაფრთხილება საერთო ჯამში გაეგზავნა 147 კომპანიას.

როუმინგული მომსახურების ხარვეზებზე მობილური კომპანიების მიერ განხილული საჩივრების სტატისტიკა და რეაგირების შედეგები

საზოგადოებრივი დამცველის ინიციატივით 2017 წელს შესწავლილ იქნა მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებში როუმინგულ მომსახურებასთან დაკავშირებით მომხმარებლებისგან შესული და განხილული პრეტენზიების/საჩივრების სტატისტიკური მონაცემები და აღნიშნული მომსახურების მინოდებისას დაფიქსირებული პრობლემები. საზოგადოებრივი დამცველი დაინტერესდა ბოლო ორი წლის განმავლობაში როუმინგულ მომსახურებაზე კომპანიებში შესული საჩივრების საერთო რაოდენობიდან რამდენი საჩივარი იქნა სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებული და კონკრეტულად რა სახის პრობლემები გამოიკვეთა განხილული საჩივრიდან.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ შპს „ჯეოსელის, შპს „მაგთიკომისა“ და შპს „ვიონი საქართველოსაგან“ 2017 წლის 7 ივლისს გამოთხოვილი იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

- 1) როუმინგულ მომსახურებასთან დაკავშირებით კომპანიაში შესული საჩივრების საერთო რაოდენობა 2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და 2017 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე;
- 2) რამდენი საჩივარი იქნა სრულად ან/და ნაწილობრივ დაკმაყოფილებული;
- 3) კონკრეტულად რა სახის პრობლემური საკითხები გამოიკვეთა მითითებულ პერიოდში როუმინგულ მომსახურებასთან დაკავშირებით კომპანიის მიერ განხილული საჩივრიდან (მომსახურების ხარისხი, საფასური ოდენობა, მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე და ა. შ.).

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში ზემოხსენებული კომპანიებიდან შემოვიდა საპასუხო წერილები, რომელთა თანახმად:

კომპანია	2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით როუმინგის მომსახურებასთან დაკავშირებით კომპანიებში შესული განცხადებები	2017 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე როუმინგის მომსახურებასთან დაკავშირებით კომპანიებში შესული განცხადებები
შპს „მაგთიკომი“	41	16
შპს „ჯეოსელი“	665	335
შპს „ვიონი საქართველო“	2	1

შპს „მაგთიკომი“ - სრულად დაკმაყოფილდა 42 საჩივარი, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 6 და არ დაკმაყოფილდა 9 საჩივარი.

განხილული საჩივრების თემატიკა: საჩივრების ძირითადი ნაწილი ეხება მიღებული სერვისის საფასურის დარიცხვის სისწორეს, (ტარიფი, ხანგრძლივობა, მბ.-ების ნაცვლად თანხის გახარჯვა და სხვ.), ხშირია ინტერნეტ პაკეტის შეცდომით შეძენის შემთხვევები, ხოლო ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები იშვიათად არის წარმოდგენილი.

შპს „ვიონი საქართველო“ - კომპანიის მიერ 2016 წელს განხილული 2 განცხადებიდან არცერთი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2017 წელს შესული 1 საჩივარი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ;

შპს „ჯეოსელი“ - კომპანიის მიერ 2017 წელს განხილული 335 საჩივრიდან დაკმაყოფილდა 316 განცხადება, არ დაკმაყოფილდა 10, ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 9 განცხადება. ხოლო, 2016 წელს კომპანიას არ მოუხდენია როუმინგულ მომსახურებასთან დაკავშირებით რობლემური საკითხების კუთხით დახარისხება.

შპს „ჯეოსელში“ როუმინგულ მომსახურებასთან დაკავშირებით 2017 წელს გამოიკვეთა შემდეგი სახის პრობლემური საკითხები: ქსელის დაჭერის ხარვეზი; შემავალი/გამავალიზარი/სმს; ინტერნეტის გამოყენება; დაანგარიშების სიზუსტე. ხოლო, შპს „ჯეოსელი“ 2016 წელს როუმინგულ მომსახურებასთან მიმართებით პრობლემური საკითხების კუთხით დახარისხებას არ ახორციელებდა.

შეჯამების სახით, როუმინგულ მომსახურებასთან დაკავშირებით სატელეკომუნიკაციო ბაზარზე 2017 წელს გამოიკვეთა შემდეგი სახის პრობლემური საკითხები: მობილური სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებში შესული პრეტენზიების/განცხადებებისა და საჩივრების ძირითადი ნაწილი ეხება როუმინგული მომსახურებით სარგებლობისას მიწოდებული სერვისის დაანგარიშების სიზუსტეს და დარიცხული საფასურის სისწორეს, (ტარიფი, ხანგრძლივობა, მეგაბაიტების ნაცვლად ძირითადი თანხის გახარჯვა და სხვ.). როგორც სერვის პროვაიდერმა კომპანიებმა განმარტეს, ამ სახის პრობლემები ძირითადად გამოწვეულია როუმინგ პარტნიორი ოპერატორის მიზებით და ასეთი შემთხვევები სწორდება როუმინგ პარტნიორთან ურთიერთშედეგების საფუძველზე. ხშირია ინტერნეტ პაკეტის შეცდომით შეძენის შემთხვევები (მაგალითად, აბონენტს სურს პაკეტით სარგებლობა ისეთ ქსელში, სადაც არ არის ამის შესაძლებლობა); ხოლო, ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები იშვიათად არის წარმოდგენილი. გარდა აღნიშნულისა, ფიქსირდება შემდეგი სახის ხარვეზები: ქსელის დაჭერის; შემავალი/გამავალიზარი/სმს; ინტერნეტის გამოყენება; მომსახურების საფასური დაანგარიშების სიზუსტე. ოპერატორების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ასევე გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც როუმინგულ მომსახურებაზე აბონენტის პრეტენზია გამოწვეული იყო გაუთვითცნობიერებულობით და არაინფორმირებულობით, კერძოდ, აბონენტმა ვერ ისარგებლა როუმინგით, რადგან მას გააქტიურებული ჰქონდა ფუნქცია - „როუმინგის აკრძალვა“.

კომპანიების საჩივრების განმხილველი სამსახურების მონიტორინგი

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მომხარებელთა საჩივრების განმხილველი სამსახურის მუშაობის ეფექტურობის შესწავლის მიზნით, ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენის ინიციატივით, განხორციელდა სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მონიტორინგი. სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელ 6 ძირითად ავტორიზებულ პირს ეთხოვა კომპანიების საჩივრების განმხილველი სამსახურების მიერ 2016 წლის იანვრიდან 2017 წლის 1 აპრილამდე შესული საჩივრების, მათი განხილვის პროცესის წარმართვის, გამოკვეთილი პრობლემების და მათზე რეაგირების საბოლოო შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად კომპანიების მომხარებელთა საჩივრების განმხილველი სამსახურის მუშაობის თვალსაზრისით რაიმე შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის მუშაობის ეფექტურობის შესწავლა/ანალიზი

საქართველოს მედიასფეროში არასრულწლოვანთა უფლებებთან დაკავშირებით საკანონმდებლო დონეზე არსებული გამოწვევებისა და კონკრეტული ნორმების პრაქტიკაში გამოყენების საკითხის შესწავლის მიზნით, საქართველოში მოქმედ 17 სამაუწყებლო კომპანიას საზოგადოებრივი დამცველის სამსახურისაგან ეთხოვა მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის მიერ განხილული საჩივრების შესახებ 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 მარტამდე განხილული საჩივრების შესახებ დეტალური

ინფორმაციის წარმოდგენა არასრულწლოვნებზე მედია კონტენტის მავნე ზეგავლენისაგან დაცვის საკითხების თვალსაზრისით.

სატელევიზიო კომპანიების მიერ წარმოდგენილი წერილობითი განცხადებებისგან გამოიკვეთა, რომ მითითებულ პერიოდში კომპანიების თვითრეგულირების მექანიზმის მიერ არცერთი საჩივარი არ განხილულა არასრულწლოვანთა ინტერსების დაცვის კუთხით.

- სატელეკომუნიკაციო სფეროში ავტორიზებულ პირთა ცხელი ხაზების სათანადო მუშაობის მონიტორინგი

საზოგადოებრივი დამცველის ინიციატივით 2017 წელს დამონიტორინგდა სატელეკომუნიკაციო სფეროში ავტორიზებული მსხვილი კომპანიების ცხელი ხაზების სათანადოდ მუშაობა. აღნიშნული აქტივობის შედეგად გამოვლინდა, რომ აბონენტთა მხრიდან ცხელ ხაზებზე განხორციელებულ სატელეფონო ზარებზე კომპანიების ოპერატორების მხრიდან რეაგირების მაჩვენებელი არაერთგვაროვანია. აგრეთვე რთულდება დადგინდეს რამდენად გონივრულ დროში ხდება ზარებზე რეაგირება, რადგან არ არსებობს ერთიანი მიდგომა და კონკრეტული სტანდარტი, რომელიც ასახული იქნებოდა საკანონმდებლო დონეზე. ამ მიმართულებით აუცილებელია შემუშავდეს ცხელი ხაზების მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, რათა მომხმარებლებმა კომპანიების მხრიდან გონივრულ ვადებში მიიღონ მომსახურება და საჭირო ინფორმაცია.

- საზოგადოებრივი დამცველის მიერ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის იმ გადაწყვეტილებების აღსრულების მონიტორინგი, რომლებიც მიზნად ისახავს მომხმარებელთა ინტერესების დაცვის გაუმჯობესებას ან შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს მომხმარებელთა უფლებრივ მდგომარეობაზე

საზოგადოებრივი დამცველის ინიციატივით 2017 წელს ჩატარდა კომისიის 2016 წლის 27 ოქტომბრის #705/22 გადაწყვეტილებით შპს „ჯეოსელისთვის“ დადგენილი ვალდებულების შესრულების მონიტორინგი. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „ჯეოსელს“ 2017 წლის 1 თებერვლამდე დაევალა ეფექტიანი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა ინდივიდუალური შეტყობინებით წინასწარ გაფრთხილებას მათ მიერ შეძენილი მომსახურების მოცულობის ამონურვისა და მომსახურების განსხვავებული ტარიფით მიწოდების გაგრძელების შესახებ, მიუხედავად მომხმარებლისთვის შეთავაზებული შემდგომი თუ წინასწარი გადახდის პირობისა.

საზოგადოებრივი დამცველის მიმართვაზე შპს „ჯეოსელის“ მიერ წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაციის თანახმად, კომისიის 2016 წლის 27 ოქტომბრის #705/22 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით კომპანიამ სრულად შეცვალა შემდგომი გადახდის აბონენტებისათვის არსებული საბილინგო სისტემა ახლით. რაც შეეხება ახალი საბილინგო სისტემის დანერგვის ეფექტიანობის შესახებ საზოგადოებრივი დამცველის შეკითხვებს, შპს „ჯეოსელმა“ განმარტა, რომ მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ძველისგან მდგომარეობს შემდგომი: ახალი სისტემა აკონტროლებს აბონენტების მიერ მომსახურების მიღების და შესაბამისი საფასურის დარიცხვას დროის რეალურ რეჟიმში (გარდა როუმინგული მომსახურებისა), რაც გულისხმობს იმას, რომ აბონენტებს აქვთ საშუალება აკონტროლონ/მართონ საკუთარი ანგარიშები (მაგ: აირჩიონ მათთვის სასურველი თანხობრივი ლიმიტი, რომლის მიღწევის შემდეგ ხორციელდება აბონენტის ინფორმირება და იზღუდება მომსახურება, რაც, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს აბონენტებს თავიდან აირიდონ გაუთვალისწინებელი ხარჯის განწევა; ასევე, მიიღონ მომსახურება მხოლოდ იმ თანხის ფარგლებში, რაც მათ მიერ წინასწარ არის გადახდილი - თანხის გახარჯვამდე ხორციელდება აბონენტის წინასწარი ინფორმირება და მომსახურება იზღუდება, როგორც კი განუვლი მომსახურების ღირებულება გაუტოლდება აბონენტის მიერ გადახდილი თანხის ოდენობას).

გარდა ზემოაღნიშნულისა, საზოგადოებრივი დამცველის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ახალი საბილინგო სისტემით უზრუნველყოფილია ინტერნეტ მომსახურების ან/და აბონენტის მიერ ნაყიდი პაკეტის ამონურვამდე (წინასწარ) მისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა - პაკეტში შემავალი მომსახურების მოცულობის 98%-ის ამონურვის/გახარჯვის დროს. აღნიშნული ცვლილებები შეეხოთ შემდგომი გადახდის სისტემის როგორც საცალო, ისე კორპორატიულ აბონენტებს, რომელთა დაახლოებით რაოდენობაა 400 000. ახალი საბილინგო სისტემაზე გადასვლა განხორციელდა 2016 წლის 01 დეკემბერს. „ჯეოსელმა“ უზრუნველყო მომხმარებელთა გაფრთხილება ინდივიდუალური შეტყობინების გაგზავნით 2016 წლის 29 ნოემბერს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით რეკომენდაციები კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

2017 წელს საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა კომისიაში წარადგინა რეკომენდაციები, რომლებიც ასახავდა სატელეკომუნიკაციო დარგის მომხმარებელთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი ღონისძიებების ნუსხას:

ინტერნეტ მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლები/პარამეტრები და მონიტორინგის სისტემის შემუშავების აუცილებლობა და მნიშვნელობა მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით;

სერვის პროვაიდერებსა და მომხმარებლებს შორის მომსახურების მიწოდების შესახებ დისტანციურად ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა;

არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება „მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში“ და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“;

ბავშვებისათვის უსაფრთხო ონლაინ გარემოს უზრუნველსაყოფად შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება;

შპს მომხმარებლების ეფექტიანი უნივერსალური მომსახურებით უზრუნველყოფის საკითხი, კერძოდ, შპს პირების სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ექვივალენტური წვდომისა და შესაბამისი ტერმინალური მონაცემებით უზრუნველყოფის საკითხი;

შპს პირთა სათანადო წვდომა აუდიო-ვიზუალურ კონტენტზე. ყველა საერთო მაუწყებელს უნდა გააჩნდეს სატელევიზიო პროგრამების ადაპტირებისა და შპს პირთათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფის ვალდებულება;

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში მომხმარებლის განცხადებაზე/საჩივარზე მიმდინარე საქმისწარმოებისა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში მომხმარებელთა ეტაპობრივი ინფორმირების უზრუნველსაყოფად ახალი ელექტრონული ბაზის ჩამოყალიბება, რომლის მეშვეობითაც განცხადების/საჩივრის ავტორი დისტანციურად, ელექტრონული ფორმით შეძლებს ეტაპობრივად გაეცნოს და ნებისმიერ დროს მიიღოს დაზუსტებული და ამომწურავი ინფორმაცია მის განცხადებაზე/საჩივარზე განხორციელებული შესაბამისი რეაგირების შედეგებისა და მიმდინარე პროცედურების თაობაზე.

საზოგადოებრივი დამცველის სხვა რეკომენდაციები

- რეკომენდაცია „მედია რაიტს ჯორჯიასა“ და ქართულ სამაუწყებლო არხებს

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს 2017 წლის ნოემბრიდან ხშირად მიმართავდნენ მომხმარებლები და გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას საკაბელო ტელევიზიების მხრიდან სააბონენტო გადასახადის მოსალოდნელი გაზრდის თაობაზე, რაც ერთგვარად გამოიწვია შპს „მედია რაიტს ჯორჯიას“ მიერ საკაბელო ოპერატორებისათვის ქართული არხების სრული პაკეტით შეთავაზებამ. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს საკაბელო ოპერატორების გაერთიანების შპს „კტვ1“-ს მხრიდან ასევე ეცნობა სოციალურად დაუცველ და პენსიონერ მომხმარებელთა წრის მიერ გამოთქმული პრეტენზიები სააბონენტო გადასახადის გაზრდის გამო.

ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენმა შპს „მედია რაიტს ჯორჯიასა“ და ქართულ სამაუწყებლო არხებს მიმართა რეკომენდაციით, რათა მხედველობაში მიეღოთ მომხმარებელთა/მაყურებელთა კანონიერი ინტერესები მომსახურების თავისუფლად არჩევის უფლებასთან დაკავშირებით და სახელშეკრულებო ურთიერთობების მონესრიგების პროცესში გაეთვალისწინებინათ ქართული ტელეარხების დაყოფის შესაძლებლობა იმგვარად, რომ მომხმარებლებისთვის/მაყურებლებისთვის უზრუნველყოთ მათთვის საინტერესო კონკრეტული სამაუწყებლო არხების შეთავაზება და სატელევიზიო გადაცემების თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა.

ზემოხსენებულ პრობლემური საკითხის მოგვარების მიზნით ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენმა რეკომენდაციით მიმართა როგორც შპს „მედია რაიტს ჯორჯიას“, ასევე, ქართულ სამაუწყებლო არხებს: „რუსთავი 2“, „იმედი“, „მაცსტრო“, „ჭი-დი-ეს“-ი“, „მარაო“ და „კომედი არხი“.

მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული აქტივობები

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, სამართლიანი და მაქსიმალურად გამჭვირვალე სისტემის უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნით, 2014 წლიდან ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენის ინიციატივით, ყოველწლიურად ხორციელდება აქტივობები, რაც კომპლექსურად მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს.

სატელეკომუნიკაციო და მედიაბაზარზე დაგროვილი პრობლემების ერთ-ერთი მიზეზი არაინფორმირებული და მოუზმადებელი მომხმარებელია, რომლისთვისაც ხშირად უცნობია მისი უფლებების შესახებ.

საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს რეგიონებში და განსაკუთრებით უმცირესობების დასახლებულ რაიონებში ბოლო მომხმარებლების გაცნობიერებულობის დაბალი დონე, რისთვისაც საჭიროა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და მასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ერთობლივი ჩართულობით პერმანენტული ღონისძიებების გატარება.

2017 წელს საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:

საინფორმაციო შინაარსის შეხვედრები რეგიონებში მცხოვრებ მომხმარებლებთან, ადგილობრივი მედიის და სერვის პროვაიდერი კომპანიების წარმომადგენლებთან;

სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის ტრენინგების ჩატარება ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების ვალდებულებების შესახებ;

სატელეფონო, ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელის მეშვეობით და პირადი შეხვედრების დროს მოქალაქეთა კონსულტაციებით უზრუნველყოფა ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში არსებულ უფლებებთან და სამართლებრივი დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით;

ვებ-გვერდზე პერმანენტულად განთავსებული სტატიები - www.mokhmarebeli.gncc.ge;

სოციალურ ქსელში - Communications Ombudsman - დარგში არსებულ სიახლეებზე სტატიების განთავსება მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით;

სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან სამუშაო შეხვედრები;

მედიასთან ურთიერთობა;

დისკუსიებში ჩართულობა;

2017 წლიდან სამსახური უზრუნველყოფს შემოსული საჩივრების/განცხადებების რაოდენობისა და მათზე რეაგირების შედეგების შესახებ კვარტალური, ნახევარწლიანი და წლიური მონაცემების საჯაროობას როგორც ვებ-გვერდის, აგრეთვე სოციალური ქსელის მეშვეობით;

მხედველობადაქვეითებული და უსინათლო მომხმარებლების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით ბრაილის შრიფტით შესრულებული საინფორმაციო ხასიათის ბროშურების დამზადება სატელეკომუნიკაციო დარგში მომხმარებელთა უფლებებისა და მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების ვალდებულებებზე;

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით 100-ზე მეტი მოქმედი ადვოკატისთვის ტრენინგების უზრუნველყოფა თემაზე: „ინტერნეტ სამართალი“ (17.05.17; 10.06.17; 21.06.17); აღნიშნული აქტივობით ადვოკატები გაეცნენ დარგში მომხმარებელთა უფლებებსა და კომპანიების ვალდებულებებს, საჩივრით მიმართვიანობისა პროცედურებსა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების სათანადოდ გამოყენების საკითხებს.

ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში სემინარი სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.

საჯარო ლექციები საქართველოს მასშტაბით 20 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის

ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენმა, თამთა ტეფნაძემ 2017 წელს უზრუნველყო მთელი წლის განმავლობაში 20 საჯარო ლექციის ჩატარება ბათუმის, ქუთაისის, გორის, ახალციხის, თელავის და თბილისის უნივერსიტეტებში, სადაც დამსწრე აუდიტორიას უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები წარმოადგენდნენ. საჯარო ლექციების თემას წარმოადგენდა: „ინტერნეტ მომხმარებელთა უფლებები და კომპანიების ვალდებულებები“.

აღნიშნული აქტივობის მთავარი მიზანი იყო საზოგადოების, კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური წრის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება სატელეკომუნიკაციო დარგში არსებულ მომხმარებელთა უფლებებზე, კომპანიების ვალდებულებებზე, საჩივრის/განცხადების განხილვის პროცედურებზე, ასევე საზოგადოებრივი დამცველისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ კომპეტენციაზე და მომხმარებელთა უფლებების დაცვის არსებულ მექანიზმებზე.

ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენის საჯარო ლექციები საზოგადოებრივი დამცველის სამსახურისა და ანტიკორუფციული საბჭოს მიერ 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს განეკუთვნებოდა.

ზემოაღნიშნული საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა შემდეგ უნივერსიტეტებში:

- 28.03.17 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 29.03.17 - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA);
- 26.04.17 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი);
- 04.05.17 - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 04.05.17 - ბათუმის საზღვაო აკადემია;
- 05.05.17 - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი;
- 16.05.17 - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;
- 31.10.17 - ქუთაისის უნივერსიტეტი;
- 31.10.17 - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 01.11.17 - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- 02.11.17 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- 07.11.17 - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 20.11.17 - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- 21.11.17 - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 24.11.17 - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი;
- 27.11.17 - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
- 28.11.17 - ნიუ ვიფენ უნივერსიტეტი;
- 29.11.17 - კავკასიის უნივერსიტეტი;
- 30.11.17 - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი;
- 06.12.17 - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სატელეკომუნიკაციო დარგში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. აქედან გამომდინარე, ომბუდსმენს დაგეგმილი აქვს მომდევნო წელსაც აქტიურად იმუშაოს ამ მიმართულებით. დამცველის სამსახური აქტიურად გააგრძელებს შეხვედრებს ბოლო მომხმარებლებთან და კომპლექსური ნაბიჯების განხორციელებით ეტაპობრივად უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას სატელეკომუნიკაციო დარგში.

სამუშაო შეხვედრები/დისკუსიები/კონფერენციები

ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის ხელშეწყობით ორგანიზებული საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის საერთო კრება

2017 წლის 18-19 აპრილს ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენმა, თამთა ტეფნაძემ სტუმრის სტატუსით მონაწილეობა მიიღო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის საერთო კრებაზე, სადაც საზოგადოებრივმა დამცველმა პრეზენტაცია გააკეთა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირების ვალდებულებებისა და ინტერნეტ მომხმარებლების უფლებების შესახებ. მცირე და საშუალო კომპანიების წარმომადგენლებს დამცველმა დეტალურად გააცნო მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მოქმედი კანონმდებლობით

დადგენილი ვალდებულებები, ასევე ისაუბრა მოქმედი ნორმების დახვეწის აუცილებლობაზე. თავის მხრივ, კომპანიების წარმომადგენლებმა საზოგადოებრივ დამცველს გააცნეს პრაქტიკაში არსებული გამოწვევები, მომსახურების მიწოდების პროცესში გამოვლენილი ხელშემშლელი ფაქტორები. ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენმა დეტალურად და ამომწურავად უპასუხა ოპერატორების მხრიდან დასმულ შეკითხვებს.

ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის – „ინტერნეტ თავისუფლების დაცვა კანონმდებლობისა და დაინტერესებულ მხარეებისათვის დიალოგის ხელშეწყობის დახმარებით“ – ფარგლებში სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ტრენინგის ჩატარება

2017 წლის 20-21 აპრილს ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენმა თამთა ტეფნაძემ ზემოხსენებული ორდღიანი შეხვედრის ფარგლებში სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და მომავალი ჟურნალისტებისთვის ტრენინგის რამდენიმე სესიას წარუძღვა. მან სტუდენტებს გააცნო მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის არსი, მიზნები და ამოცანები; მომხმარებელთა უფლებები და კომპანიების ვალდებულებები ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში; კომუნიკაციების ომბუდსმენის ერთ-ერთი პრეზენტაცია დაეთმო თემას – ახალი მედია საქართველოში და მომხმარებელთა წვდომა ინფორმაციაზე; თამთა ტეფნაძემ ასევე ისაუბრა ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენაზე. ომბუდსმენმა სტუდენტებთან საუბრისას აქცენტი გააკეთა იმ ცვლილებებზე, რომელიც უახლოეს მომავალში მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტში უნდა აისახოს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მონაწილეობა 2017 წლის 24 აპრილს გამართულ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივმა დამცველმა საბჭოს წინაშე მოხსენება გააკეთა საბჭოს 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენის სამსახურის მიერ შესრულებულ ვალდებულებებზე და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებებზე. ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენი, თამთა ტეფნაძე 2015 წლის 4 თებერვლიდან აღნიშნული საბჭოს წევრია.

პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ორგანიზებული კონფერენცია - “მედიის როლი და საჭიროებები”

2017 წლის 3 მაისს ქ.ბათუმში, სასტუმრო “ჰილტონში” გაიმართა კონფერენცია თემაზე: “მედიის როლი და საჭიროებები”, რომელიც პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო” და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის ორგანიზებით ხორციელდება. კონფერენციას ესწრებოდა ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენი თამთა ტეფნაძე.

საპარტფელოში მესამე ინტერნეტ მმართველობის ფორუმი - GeolGF 2017

2017 წლის 11-12 სექტემბერს საქართველოში ინტერნეტ მმართველობის ფორუმზე სპიკერად მიწვეული იყო ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენი თამთა ტეფნაძე. საზოგადოებრივი დამცველის პრეზენტაცია შეეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორცაა არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვა ონლაინ სივრცეში და არსებული რეგულაციები. ფორუმში ევროპის საბჭოს (COE), ინტერნეტ საზოგადოების (ISOC), მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის (ICANN) და ევროპის რეგიონალური ინტერნეტ რეგისტრატორის (RIPENCC) მხარდაჭერით და მონაწილეობით ჩატარდა.

მოქმედი ადვოკატებისთვის გამართული სასწავლო სემინარი - „მომხმარებელთა უფლებები და მათი დაცვის სტანდარტი“

2017 წლის 12 ოქტომბერს ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენმა, თამთა ტეფნაძემ მონაწილეობა მიიღო სასწავლო სემინარში – „მომხმარებელთა უფლებები და მათი დაცვის სტანდარტი“. მისი მოხსენების თემა იყო ინტერნეტ მომხმარებელთა უფლებები და კომპანიების პასუხისმგებლობის ძირითადი საკითხები. აღნიშნული სემინარი იურდიული პროფესიის განვითარების ცენტრის, საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომერციული სამართლის კომიტეტი USAID-ის პროექტ G4G-ის მხარდაჭერით ჩატარდა.

შეხვედრაზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: მომხმარებლის ცნება და მისი სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, მხარის ინფორმირების ვალდებულება წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში და მისი სამართლებრივი შედეგები, სტანდარტული პირობები, ინტერნეტ

მომხმარებელთა უფლებები და კომპანიების პასუხისმგებლობის ძირითადი საკითხები, ხელშეკრულების მხარეთა ინფორმირების სტანდარტი სადაზღვევო და საბანკო ურთიერთობებში. აქცენტები ძირითადად იმ გამონაკვეთებზე გაკეთდა, რომლის წინაშეც, როგორც ინტერნეტ მომხმარებლები, ასევე სხვა დარგის მომხმარებლები დგანან.

პოლონეთის მარეგულირებელი ორგანოს (UKE) წარმომადგენლებთან შეხვედრა

2017 წლის 17-18 ოქტომბერს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გაიმართა შეხვედრები პოლონეთის მარეგულირებელი ორგანოს წარმომადგენლებთან. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივმა დამცველმაც. ვიბიტის ფარგლებში პოლონეთის დელეგაციამ ქართულ მხარეს ფიქსირებული ფართობოლოვანი ბაზრის, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის რეგულირების, მათ შორის აქტიურ და პასიურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების და ინტერნეტის ხარისხის მონიტორინგის საკითხებში გამოცდილება გაუზიარა.

აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების კლატფორმის (EaPeReg Network) ფარგლებში სამუშაო შეხვედრა ქსელის ნეიტრალურობის თემაზე ე.მინსკში

2017 წლის 24 ოქტომბერს აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების პლატფორმის (EaPeReg Network) ფარგლებში, მინსკში, ბელორუსიაში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე: “ქსელის ნეიტრალურობა”. კომუნიკაციების ომბუდსმენმა, თამთა ტეფნაძემ აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში, რომელიც შეეხო ქსელის ნეიტრალურობის უზრუნველყოფის პროცესში საერთო გამოწვევებთან გამკლავებას. შეხვედრაზე ასევე გაზიარებულ იქნა უკრაინის, ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიის, მოლდოვის, ხორვატიის, ჰოლანდიის ქვეყნებში მოქმედი მარეგულირებელი ორგანოების პრაქტიკა და საუკეთესო გამოცდილება ქსელის ნეიტრალურობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღნიშნული შეხვედრის მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნებში ქსელის ნეიტრალურობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული რეგულაციების მიმოხილვა და დახვეწა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მეტი გარანტიების შესაქმნელად საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და იდენტიფიცირებული გამოწვევების გადასაჭრელად ეფექტიანი ნაბიჯების შემუშავება. ქსელის ნეიტრალურობის უზრუნველყოფა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინტერნეტ მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რადგან იგი ხელს უწყობს ყველა სახის ინტერნეტ კონტენტზე, საიტზე და პლატფორმაზე თანაბარ წვდომას ყოველგვარი დისკრიმინაციის, ბლოკირების, მომსახურების ხარისხის დეგრადაციის, ხელოვნური ჩარევის და ამა თუ იმ აპლიკაციისთვის პრიორიტეტების მინიჭების გარეშე.

შეხვედრა საქართველოს საკატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში

2017 წლის 9 დეკემბერს, საქართველოს საკატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში გამართულ შეხვედრაზე ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენმა – თამთა ტეფნაძემ ონლაინ სივრცეში არასრულწლოვანთა დაცვის არსებულ მექანიზმებზე, იდენტიფიცირებულ გამოწვევებზე და ამ მიმართულებით განსახორციელებელ აუცილებელ ცვლილებებზე ისაუბრა.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ გამართული დისკუსია - “ბავშვები და მათი უსაფრთხოება ინტერნეტში”

2017 წლის 11 დეკემბერს გაეროს ბავშვთა ფონდმა გამართა დისკუსია “ბავშვები და მათი უსაფრთხოება ინტერნეტში”, სადაც განიხილეს გაეროს ბავშვთა ფონდის გლობალური ანგარიშის პრეზენტაცია: „მსოფლიო ბავშვთა მდგომარეობა: ბავშვები ციფრულ სამყაროში“. დისკუსიის მონაწილეებმა განიხილეს საკითხები, თუ რა გავლენას ახდენს ციფრული ტექნოლოგიები ბავშვების ცხოვრებაზე, რომელიც ერთის მხრივ მოზარდებს სთვამობს უდიდეს შესაძლებლობებს, ხოლო, მეორეს მხრივ, ასევე შეიცავს გარკვეულ რისკებს.

დისკუსიის ფორმატში თამთა ტეფნაძემ წარადგინა პრეზენტაცია და შეხვედრის მონაწილეებს დეტალურად გააცნო საქართველოში არსებული მდგომარეობა, მოქმედი რეგულაციები და გამოვლენილი ხარვეზები, მან აგრეთვე ისაუბრა ამ საკითხებზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მიმდინარე სამუშაო პროცესზე.

შეხვედრის მთავარი მომხსენებელი იყო მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ავტორიტეტი ბავშვების მიერ

ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებში, გაეროს, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მრჩეველი - ჯონ კარი.

ბავშვების მიერ ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებში გაეროს, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მრჩეველთან - ბრიტანელ ექსპერტ ჯონ კართან შეხვედა

2017 წლის 13 დეკემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენის, თამთა ტეფნაძისა და ბრიტანელი ექსპერტის ჯონ კარის შეხვედრა შედგა. შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: ონლაინ სივრცეში არასრულწლოვანთა უსაფრთხოება და მავნე ზეგავლენისგან მათი დაცვის ეფექტიანი მექანიზმები, ამ მიმართულებით დიდ ბრიტანეთში არსებული პრაქტიკა და საერთაშორისო დონეზე აღიარებული მიდგომები.

საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და მედიასთან თანამშრომლობა

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეფექტური მექანიზმის შექმნა, სამართლიანი და მაქსიმალურად გამჭვირვალე სისტემის უზრუნველყოფა. მომხმარებელთა, მედიისა და სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა დროული და სათანადო ინფორმირების მიზნით საზოგადოებრივი დამცველის სამსახური პერმანენტულად მიმართავს შესაბამის ღონისძიებებს, რათა ყველა დაინტერესებული მხარისათვის უზრუნველყოს სამსახურის საქმიანობის შესახებ გამჭვირვალობა.

„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საზოგადოებრივი დამცველი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას არაუგვიანეს ყოველი წლის მარტისა წარუდგენს განუყოფელი საქმიანობის ანგარიშს, აგრეთვე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით მიაწვდის მას საზოგადოებას.

მედიასთან თანამშრომლობა

2017 წლის განმავლობაში ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენი სტუმრად იყო მინვეული შემდეგ სატელევიზიო, რადიო გადაცემებში და ონლაინ გამოცემებში:

11 მაისი - ინტერპრესნიუსი - საზოგადოებრივი დამცველი „სილქნეტის“ სააბონენტო ხელშეკრულების თაობაზე განცხადებას ავრცელებს

11 მაისი - ტვ პირველი - „საქმის კურსი“ სინქრონი - ინტერნეტ მომხმარებელთა უფლებები და კომპანიების პასუხისმგებლობის ძირითადი საკითხები

9 დეკემბერი - 1 არხი - კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში ცვლილებებს გეგმავს.

11 დეკემბერი - Edu.aris.ge - როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ მოზარდებს ინტერნეტთან, - რეკომენდაციები მშობლებს და მთავრობას

11 დეკემბერი - გურია ნიუსი ბავშვების უსაფრთხოება ინტერნეტში_ UNICEF-ის ახალი კვლევა საქართველოში

13 დეკემბერი - ლიბერალი თამთა ტეფნაძემ არასრულწლოვანთა დაცვის არსებულ მექანიზმებზე პრეზენტაცია წარმოადგინა

15 დეკემბერი - საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი „კვირა“ - ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენის, თამთა ტეფნაძის პრესკონფერენცია - პორტალ „კვირას“ პრესკლუბში. თემა: „ონლაინ სივრცეში არასრულწლოვანთა დაცვა“

15 დეკემბერი - საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი „კვირა“ - ინტერნეტთამაშების შედეგად, ბავშვები სავალალო შედეგებამდე მიდიან - „კომუნიკაციების ომბუდსმენის“ რეკომენდაცია მშობლებს

15 დეკემბერი - საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ - ინტერნეტ თამაშების შედეგად, ბავშვები

სავალალო შედეგებამდე მიდიან - „კომუნიკაციების ომბუდსმენის“ რეკომენდაცია მშობლებს

15 დეკემბერი - TOP NEWS - კომუნიკაციების ომბუდსმენი - „გარკვეული ინტერნეტ თამაშების გამო ბავშვები სავალალო შედეგებამდე მიდიან“

15 დეკემბერი - საინფორმაციო სააგენტო „თაიმერი“ - ინტერნეტთამაშების შედეგად, ბავშვები სავალალო შედეგებამდე მიდიან - „კომუნიკაციების ომბუდსმენის“ რეკომენდაცია მშობლებს

15 დეკემბერი - ინტერპრესნიუსი - კომუნიკაციების ომბუდსმენი - „გარკვეული ინტერნეტ თამაშების გამო ბავშვები სავალალო შედეგებამდე მიდიან“

15 დეკემბერი - ტელეკომპანია “მაესტროს” პირდაპირ ეთერში - ონლაინ სივრცეში არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის საკითხები

15 დეკემბერი - NewPosts - 15.12.1 „ გარკვეული ინტერნეტ თამაშების გამო ბავშვები სავალალო შედეგებამდე მიდიან“ - კომუნიკაციების ომბუდსმენი

18 დეკემბერი - ტელეკომპანია “მაესტრო” გადაცემა - “მთავარი თემა”
ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენი, თამთა ტეფნაძე ბავშვთა და მოზარდთა ინტერნეტ საფრთხეებზე საუბრობს

20 დეკემბერი - ტელეკომპანია “კავკასიის” პირდაპირ ეთერში, გადაცემაში “თქვენი დრო” - ბავშვთა და მოზარდთა ინტერნეტ საფრთხეებზე საუბრობს.

21 დეკემბერი - რადიო - პირველი არხი, FM 102.4 გადაცემა “ღია სტუდია” თემა: “ბავშვები და ინტერნეტსივრცე”, თამთა ტეფნაძე პირდაპირ ეთერში

25 დეკემბერი - პალიტრანიუსი - გადაცემა „360 გრადუსი“ გადაცემის მთავარი თემა, ონლაინ სივრცეში არასრულწლოვანთა დაცვის საკითხებს შეიცავდა. საზოგადოებრივმა დამცველმა ისაუბრა იმ საფრთხეებზე, რომლებიც ინტერნეტიდან მავნე ზეგავლენას ახდენს ბავშვებსა და მოზარდებზე და ხაზი გაუსვა პრობლემების გადაჭრის იმ აუცილებელ გზებს, რომლებიც გამოიყენება ევროპულ ქვეყნებში ამ მიმართულებით.

სატელეკომუნიკაციო ბაზარზე 2017 წელს იდენტიფიცირებული გამოწვევები

სამომხმარებლო ბაზრის მდგომარეობის ამსახველი ერთიანი სურათის შექმნისათვის მნიშვნელოვანია სატელეკომუნიკაციო და მედია ბაზარზე დაგროვილი პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ 2017 წელს სატელეკომუნიკაციო დარგში კვლავ იკვეთებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გამოწვევები:

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში პერსონალური მონაცემების დაცვა და საკომუნიკაციო ქსელების უსაფრთხოება. საკანონმდებლო დონეზე სათანადო სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში პერსონალური მონაცემების დაცვისა და საკომუნიკაციო ქსელების უსაფრთხოებისა და ერთიანობის უზრუნველყოფის საკითხი. საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურების მიწოდებლობა, ქსელების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების ადექვატურად მართვის მიზნით, უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ტექნიკური და საორგანიზაციო ზომების გატარება, რათა არ დაუშვან და შეამცირონ უსაფრთხოების კუთხით არსებული რისკები და ინციდენტები ურთიერთჩართული ქსელებისა და მომხმარებლების მიმართ. ასევე, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქსელის ერთიანობა და ქსელით მიწოდებული მომსახურების უწყვეტობა.

კიბერსაფრთხეებთან ბრძოლის სტრატეგია და საკანონმდებლო ბაზის განვითარების აუცილებლობა. ინტერნეტ ტექნოლოგიების მზარდი განვითარების პროცესში წარმოიშვა ახალი საფრთხე, როგორცაა კიბერდანამაული ინდივიდების, სხვადასხვა სახის ბიზნესისა თუ სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ. მნიშვნელოვანია კიბერსაფრთხეების წარმოშობის წყაროების, თავდასხმის ტიპების და ამ საფრთხეებთან ბრძოლის სტრატეგიების შესწავლა და აღნიშნული თვალსაზრისით საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მიმართულებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში შესაბამისი კანონმდებლობის არამხოლოდ შექმნა, არამედ დახვეწა და განვითარება, რაც შესაძლებელს გახდის სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების თანამშრომლობას ქვეყნის ინფორმაციული სივრცისა და ქსელის დაცვაზე.

მომსახურების ხარისხის პარამეტრების და მონიტორინგის სიტემის არარსებობა. მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის კუთხით დღემდე მნიშვნელოვანი პრობლემად გვევლინებოდა, რომ შემუშავებული და დადგენილი არ იყო სატელეკომუნიკაციო დარგში მომსახურების ხარისხის პარამეტრები, არ არსებობდა ტექნიკური ხასიათის დადგენილება/რეგლამენტი, რომლითაც განვიხილავთ იქნებოდა ხარისხობრივი მაჩვენებლები და სტანდარტები. შესაბამისად, არც მომხმარებლისთვის მიწოდებული მომსახურების ხარისხის კვლევის მეთოდოლოგია და მონიტორინგის სისტემა იყო ხელმისაწვდომი. ვინაიდან 2017 წელს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი და წარმატებული პროექტი განახორციელა კომისიამ, რომლის ფარგლებშიც ყველა ზემოთხსენებულ გამოწვევაზე საპასუხო ნაბიჯები გადაიდგა და შედეგად შეიქმნა დადგენილების პროექტი - „ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესის დამტკიცების თაობაზე“, ამ მიმართულებით შემდგომი წლისთვის საყურადღებო გამოწვევად რჩება ინტერნეტ მომსახურების ხარისხის შესახებ სტანდარტიზებული, აბონენტებისათვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბებული იმ პარამეტრების ჩამონათვალი, რომელთა გამჭვირვალობაც უნდა უზრუნველყონ (ხელშეკრულებებში უნდა ასახონ) ინტერნეტ პროვაიდერებმა და, ასევე, აბონენტებისთვის მარტივად აღსაქმელი გაიდლაინების შემუშავება და მათთვის შექმნილი მონიტორინგის მეთოდოლოგიის ხელმისაწვდომობა. მომხმარებელთა ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით შემუშავებული გზამკვლევი და აპლიკაცია საშუალებას მისცემს აბონენტებს თითოეული ოპერატორის ჭრილში მიიღონ მართებული, ადექვატური და ურთიერთმედარებადი ინფორმაცია მიწოდებული ინტერნეტის ხარისხის შესახებ და მიიღონ გათვითცნობიერებული გადაწყვეტილება მომსახურების მიწოდებისა თუ სამომხმარებლო პაკეტის არჩევის შესახებ. აღნიშნული ასევე მომხმარებლებს მისცემს შესაძლებლობას, დავის წარმოშობის შემთხვევაში, საჩივრის ჩამოყალიბებისას იქონიონ მყარი და საფუძვლიანი არგუმენტ(ებ)ი.

მომხმარებელთა მიერ მომსახურების მიწოდებული კომპანიის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა. როგორც თბილისის ცალკეულ უბნებში, ასევე რეგიონებში მთავარ პრობლემას წარმოადგენს მხოლოდ ერთი პროვაიდერი კომპანიის არსებობა, რის გამოც მომხმარებელი მოკლებულია თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას, რითაც ერთგვარად სარგებლობენ კომპანიები და მომსახურებაზე შეუსაბამოდ მაღალ ფასებს აწესებენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინტერნეტ მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის და სამომხმარებლო ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნის, ჩამოყალიბებისა და განვითარების უზრუნველყოფა.

მედია სფეროში არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის საკითხებთან მიმართებით საჭირო ღონისძიებები. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროება კვლავ დგას მედია სფეროში არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის საკითხებთან მიმართებით, კერძოდ, „მაუნყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „მაუნყებელთა ქცევის კოდექსით“ განსაზღვრულ დებულებებთან მიმართებით. კერძოდ, არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის თვალსაზრისით დღეს არსებული მექანიზმი არ არის ეფექტური. „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მარეგულირებელი ნორმები ასახულ იქნა მაუნყებელთა ქცევის კოდექსში, რომელიც არ საჩივრდება არც სასამართლოში და არც კომისიაში, შესაბამისად, არც საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს მომართავენ საჩივრებით. საგულისხმოა ისიც, რომ მოქმედი რეგულაციებით შეზღუდულია პირთა წრე, ვისაც მსგავსი პრობლემის შემთხვევაში საჩივრით მიმართვის უფლება აქვს. შედეგად, მომხმარებელი მოკლებულია შესაძლებლობას, რომ მის ოჯახში მცხოვრები არასრულწლოვანი დაიცვას თუკი მიაჩნია, რომ სატელევიზიო პროგრამის მეშვეობით რაიმე სახით მავნე ზეგავლენას განიცდის მორალური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სოციალური განვითარების თვალსაზრისით.

ონლაინ სივრცეში არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენის დაცვის მიზნით საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება და გამოხატვის თავისუფლების პრინციპთან შესაბამისობით ერთიანი საფილტრო პროგრამის შემუშავების აუცილებლობა. მომხმარებლების უფლებების დაცვის კუთხით ინტერნეტ სფეროში ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვა, ბავშვებისათვის უსაფრთხო online გარემოს შექმნის უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც მოიაზრება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ბავშვების უსაფრთხო კონტენტზე წვდომის უზრუნველყოფა, მშობლების, მეურვეების, აღმზრდელების, პედაგოგების, მოსწავლეების ინფორმირების დონის ამაღლება სხვადასხვა კომპლექსური და ადექვატური საინფორმაციო კამპანიების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების გზით, აგრეთვე, მშობლებისათვის ქმედითი და ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების შექმნა.

მიზანშეწონილია, დაიწყო ფართო კონსულტაციები და ღია დიალოგი ყველა დაინტერესებულ მხარესთან (საქართველოს კომუნიკაციის ეროვნულ კომისიასთან, შესაბამის სამინისტროებთან, ინტერნეტ პროვაიდერებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვ.), რათა ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით და სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირების აქტიური

მონაწილეობით შემუშავდეს კონკრეტული წინადადებები, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვის დაცვის დამატებითი მექანიზმების შექმნას გამოხატვის თავისუფლების პრინციპთან შესაბამისობაში.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია დაიხვეწოს „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტით განსაზღვრული საფილტრო მექანიზმი და გამოხატვის თავისუფლების პრინციპთან შესაბამისობით შეიქმნას ეფექტიანი საფილტრო სქემები. ეფექტიანი საფილტრო პროგრამის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის, არსებითია საზოგადოების თითქმის ყველა სეგმენტის წარმომადგენელთა ჩართულობა - ფილტრის მექანიზმის შემუშავების პროცესში უნდა ჩაერთოს როგორც სახელმწიფო ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის წარმომადგენლები, ასევე მშობლები, მასწავლებლები და ბავშვთა ფსიქოლოგები. უნდა განისაზღვროს ფილტრის კატალოგში შემავალი ვებ-გვერდების პერმანენტულ განახლებამზე და საფილტრო მექანიზმის ადმინისტრირებამზე პასუხისმგებელ სუბიექტთა წრე.

ონლაინ სივრცეში დაუშვებელი პროდუქციის მარეგულირებელი ნორმების დახვეწის მნიშვნელობა. ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, მოქალაქეების ა. არგანაშვილისა და ნ. გოჩიაშვილის საინივიტაციო კომისიის მიერ განხილული პრეცედენტული საქმე მიუთითებს სამი ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზის თაობაზე ონლაინ სივრცეში არარსულწლოვანთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

პირველი, ესაა დაუშვებელი პროდუქციის ფართო და ყოვლისმომცველი დეფინიცია, რომლის არაკეთილსინდისიერად გამოყენების შემთხვევაში ადვილად შეიძლება შეექმნას საფრთხე გამოხატვის თავისუფლებას ონლაინ სივრცეში. ამას გარდა, საკანონმდებლო დონეზე ასევე მოუწესრიგებელია ამა თუ იმ კონტენტის „დაუშვებელ პროდუქციად“ შეფასების აუცილებელი კრიტერიუმების არსებობა, რაზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს ონლაინ განვრცელებული პროდუქციის შეფასება.

მეორე, ასევე მნიშვნელოვანი ხარვეზია ის, რომ დღეისთვის არ არსებობს მარეგულირებელი ნორმა ან განმარტება ვებ-გვერდზე განთავსებულ კონტენტთან მიმართებაში და შესაბამისად - ვებ-გვერდის მფლობელის ვალდებულებებთან დაკავშირებით. სათანადო საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობის პირობებში ვებ-გვერდის მფლობელს შეუძლია მარტივად იდავოს, რომ ეს საკითხი კომისიის რეგულირების სფეროში საერთოდ არ შედის. კერძოდ, მოქმედი რეგულაციების ხარვეზია, რომ მხოლოდ ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებაა უზრუნველყოს გამაფრთხილებელი ნიშანდება სრულწლოვნებზე გათვლილ მასალაზე; ხოლო, მსგავსი შინაარსის მავალდებულებელი ნორმა არ არსებობს ვებ-გვერდის მფლობელთან მიმართებით, რაც ერთგვარ შესაძლებლობას შექმნიდა მშობლისთვის (კანონიერი წარმომადგენლისთვის) მათი ინფორმირებისა და არასრულწლოვნების ეფექტიანი გაკონტროლების თვალსაზრისით. აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებით საკულისხმოა შემდეგი: 2010 წლის ევროდირექტივის პრეამბულის 24-ე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ მედია კონტენტის თანამედროვე გამოწვევა არის ის, რომ მომხმარებელს მოლოდინი აქვს, რომ დღეს ე.წ. video on demand სერვისები არის სატელევიზიო გადაცემების მსგავსი და ზუსტად იგივენაირ დაცვას ელიან სახელმწიფოსგან, როგორც სატელევიზიო გადაცემების შემთხვევაში. შესაბამისად, ცალსახაა, რომ ევროდირექტივით განსაზღვრული რეგულაციის საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაცია არის რეალური გზა, რომ საკანონმდებლო დონეზე იარსებოს მომხმარებელთა დაცვის კონკრეტულმა ბერკეტმა.

მესამე მნიშვნელოვანი ხარვეზი, რაც მოქმედ კანონმდებლობაში გვევლინება ბავშვებისათვის უსაფრთხო ონლაინ სივრცის უზრუნველყოფის ხელშემშლელ ფაქტორად, არის ის, რომ მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებაა მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს მომხმარებელი საფილტრო პროგრამით²⁴, ხოლო მას არანაირი ვალდებულება არ გააჩნია რომ აღნიშნული უფლებისა და საფილტრო სქემის არსებობის თაობაზე თავიდანვე ინფორმირებული ამყოფოს მომხმარებელი (ამ შემთხვევაში: მშობელი, მეურვე, აღმზრდელი). ამასთან დაკავშირებით ასევე აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ეფექტიანი საფილტრო მექანიზმის შექმნის და ფუნქციონირების კრიტერიუმები, ასევე, ფილტრის კატალოგში შემავალი ვებ-გვერდების პერიოდულად განახლებამზე პასუხისმგებელი სუბიექტი. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრისა და სათანადო რეგულაციების შემოღების გარეშე რთულია დღევანდელ პირობებში ქართველი ბავშვებისა და მოზარდებისათვის უსაფრთხო ონლაინ სივრცის შექმნა.

მაღალსიხშირული საანძო მეურნეობების ექსპლუატაციაში შეყვანის წესებისა და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის არარსებობა. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული მაღალსიხშირული საანძო მეურნეობებისა და რადიო მონყობილობების ბაზარზე დაშვების საკითხის რეგულირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს ტექნიკური

²⁴ რეგლამენტის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის ი) ქვეპუნქტი.

რეგლამენტი, რომელიც დაადგენს მაღალსიხშირული ტექნიკური მოწყობილობების ბაზარზე დაშვების წესებს და უზრუნველყოფს აღნიშნული წესების დაცვაზე კონტროლის ეფექტიან მექანიზმს.

შპს პირების უნივერსალური მომსახურებით უზრუნველყოფა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომხმარებლების ეფექტიანი უნივერსალური მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში მნიშვნელოვანია აისახოს მომხმარებლების უნივერსალური საკომუნიკაციო მომსახურებით უზრუნველყოფისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ექვივალენტური წვდომისა და შესაბამისი ტერმინალური მოწყობილობებით უზრუნველყოფის საკითხი.

საქველმოქმედო ზარებზე საქართველოში არსებული პრაქტიკა. საზოგადოებრივი დამცველის ინიციატივით 2017 წელს შესწავლილ იქნა საქართველოში საქველმოქმედო ზარების მომსახურებაზე არსებული პრაქტიკა. შედეგად დადგინდა, რომ მობილური მომსახურების მიმწოდებელი კომპანიებისგან აღნიშნულ მომსახურებაზე მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვნად აღემატება რეალურ ხარჯებს. კომპანიებისგან წარმოდგენილი ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საქველმოქმედო ზარების მომსახურებაზე განხორციელებული დანახარჯები დღგ-სა და აქციზის გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს: მობილურ ქსელში - 10 თეთრს ფიქსირებულ ქსელში - 5 თეთრს.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ დღეს არსებული პრაქტიკის თანახმად, კომპანიების მიერ საქველმოქმედო ზარების მომსახურებაზე მიღებული შემოსავლების და მათი ოდენობის თაობაზე ინფორმაციას არ ფლობენ თავად ზარის განმხორციელებელი მომხმარებლები. უნდა აღინიშნოს, რომ საქველმოქმედო მიზნით ზარის წამოწყებისას მომხმარებელთა უდიდეს უმრავლესობას აქვს მოლოდინი, რომ ზარის ღირებულების საფასური (1 ლარი) სრულად ერიცხება ბენეფიციარს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ვითარების შესწავლის შედეგად, როგორც საზოგადოებრივი დამცველის მხრიდან, ასევე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ სატელეკომუნიკაციო კომპანიებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ საქველმოქმედო ზარების მომსახურებაზე მიღებული შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს მობილურ ქსელში - 10 თეთრს ფიქსირებულ ქსელში - 5 თეთრს, რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით ავტორიზებული პირების მიერ შესაბამისი ქმედების განხორციელებას დღემდე არ ქონია აღდგომა.

ცხელი ხაზების გამართულად მუშაობის საკითხი. საზოგადოებრივი დამცველის ინიციატივით ჩატარებული ანალიზის შედეგად 2017 წელს გამოვლინდა, რომ აბონენტთა მხრიდან ცხელ ხაზებზე განხორციელებულ სატელეფონო ზარებზე კომპანიების ოპერატორების მხრიდან რეაგირების მაჩვენებელი არაერთგვაროვანია. აგრეთვე რთულდება დადგინდეს რამდენად გონივრულ დროში ხდება ზარებზე რეაგირება, რადგან არ არსებობს ერთიანი მიდგომა და კონკრეტული სტანდარტი, რომელიც ასახული იქნებოდა საკანონმდებლო დონეზე. ამ მიმართულებით აუცილებელია შემუშავდეს ცხელი ხაზების მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, რათა მომხმარებლებმა კომპანიების მხრიდან გონივრულ ვადებში მიიღონ მომსახურება და საჭირო ინფორმაცია.

ინტერნეტ მომსახურებაზე მცირე და საშუალო ოპერატორების ვებ-გვერდების გამართულად მუშაობის საკითხი. საზოგადოებრივი დამცველის ინიციატივით განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით ვებ-გვერდების გამართულად მუშაობის საკითხი ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე. ინტერნეტ მომსახურებაზე ავტორიზებულ პირთა უმრავლესობის მხრიდან დღემდე უზრუნველყოფილი არ არის ვებ-გვერდების გამართულად მუშაობის საკითხი. „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის თანახმად, მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია საკუთარ ვებ-გვერდზე ინტერნეტში განათავსოს ინფორმაცია მომხმარებლებისთვის შეთავაზებული მომსახურების პირობების, მათ შორის, მომსახურების პაკეტების და მომსახურების ტარიფების თაობაზე, ასევე ინფორმაცია მომსახურების მიღების, შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობებისა და მომსახურების პაკეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე.²⁵ აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა გაგრძელდეს შესაბამისი კომპანიებისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი, რათა არ დაირღვეს მომხმარებელთა ერთ-ერთი უფლება, რომ მათი ინფორმირების მიზნით მომსახურების მიწოდებელი კომპანიების ვებ-გვერდებზე განთავსებული უნდა იყოს შესაბამისი ინფორმაცია სახელშეკრულებო პირობებისა და სამომხმარებლო პაკეტების თაობაზე.

²⁵ რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი.

